# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 აპრილი ოთხშაბათი 2011
№079 (13376) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შალკემ იტალიას ინტერესი გაუქრო



### რაული: ძეგლი ისევ კაცად იქცა

9



## მადრიდში იგრეალეს



### ინგლისური დერბი ლიგაში



დღეს:
ჩელსი-მანჩესტერი
ბარსელონა-შახტარი

წინათქმა 8



## ტატიშვილი: დოკიჩი უკან, კირილენკო და ასეული წინ

10

## არნემი, დიდი დიუსელდორფობა





### საქართველოს სიხარულის დღეს ჰოლანდიაშიც აღნიშნავენ



### თაოსანი, რა თქმა უნდა, მერაბ ჟორდანიაა, ზეიმს კი, შესაძლოა, რომან აბრამოვიჩი დაესწროს

წლევანდელი 13 მაისი თბილისის „დინამოს" მიერ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებიდან 30 წლის საიუბილეო თარიღია. ბუნებრივია, ქართული ფეხბურთისა და, ზოგადად, ქართული სპორტის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენს ქვეყანაში ღირსეულად აღინიშნება, მაგრამ, როგორც გუშინ გვაცნობეს, არც უცხოეთში დარჩებიან გულგრილნი.

უდავოდ დიდად საამაყოა, რომ ქართული საფეხბურთო კლუბის 1981 წლის ტრიუმფის საზეიმოდ აღნიშვნა ჰოლანდიაშიც გადაწყვიტეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ ქვეყანაში, კერძოდ, ქალაქ არნემში ამ ღონისძიების მოთავე და ავან-ჩავანი ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანიაა.**

უკვე შეთანხმებულია, რომ ზეიმი არნემში 9 ივლისს გაიმართება. მოედანზე ჯერ თბილისის „დინამოს" 1981 წლის შემადგენლობის ფეხბურთელები და „ვიტესის" ვეტერანები გამოვლენ. მერაბ ჟორდანია ორივე გუნდში თითო ტაიმს ითამაშებს. შემდეგ გაიმართება „ვიტესისა" და ლონდონის „ჩელსის" ამხანაგური მატჩი. ივარაუდება, რომ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად იმ დღეს არნემში ჩავა „ჩელსის" მფლობელი **რომან აბრამოვიჩი.** ღონისძიება გრანდიოზული ვახშმით დასრულდება.

გვაცნობეს ისიც, რომ თბილისიდან უკვე გადაიგზავნა დიუსელდორფის ისტორიული მატჩის მონაწილე ფეხბურთელების დოსიეები და ფოტოსურათები. ჰოლანდიის მასმედია თითოეულ ფეხბურთელს საზეიმო ღონისძიებამდე ყოველდღიურად წარადგენს, რაც კიდევ უფრო გაუღვივებს ინტერესს ჰოლანდიელ ფეხბურთის გულშემატკივარს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**



## ქართული ფეხბურთი

ევროვნული ნაკრები | სიტუაცია

# მიზეზი არ დაილია, თანაც დელიკატური

### ხორვატებმა, რომის პაპს და თქვენს ნაკრებს ერთ დღეს ვერ ვუმასპინძლებთო


ხორვატიის დელეგაცია თბილისში. შუაში დავორ შუკერი



4 ივნისს ხორვატები განსაკუთრებით ელიან, რადგან იქ რომის პაპის, ბენედიქტ XVI-ის ვიზიტია დაგეგმილი, რაც ამ ბალკანური ქვეყნისთვის დიდი მოვლენაა. ამის გამო ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ დღეს დანიშნული ხორვატია-საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ევრო 2012-ის შესარჩევი მატჩის ერთი დღით ადრე, 3 ივნისს გამართვა ითხოვა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თქმით, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **თემურ ქეცბაია** ხორვატებთან თამაშამდე ორკვირიან შეკრებას გეგმავს.

არ არის გამორიცხული, ხორვატებთან მატჩის შემდეგ 7 ივნისს "ჯვაროსნებმა" თბილისში ჩრდილოეთ კორეის ნაკრებს უმასპინძლონ. თუმცა, ფედერაციის პიარმენეჯერ **თათია ბურდულის** თქმით, მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა.

## ერთი გაფიქრება: საქართველოს თამაშები რა, სათამაშოა? გადადე, გადმოდე...

ქართველები რუსეთში

**დ**ოიდიხანია, რუსეთის პრემიერლიგაში ქართველი ფეხბურთელები ასე არ დაუფასებიათ. წლეულს კი მათი რიცხვიც გაიზარდა და ხარისხიც.

"სოვეტსკი სპორტი" რუსეთის პრემიერლიგის ფეხბურთელებს ყოველ ტურში ხუთბალიანი სისტემით აფასებს. გუშინ გაზეთში პრემიერლიგის გუნდების საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულები გამოქვეყნდა.

ცხადია, მოსალოდნელი იყო ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ქართველთა წარმოჩენა, მაგრამ სამეულში მხოლოდ **გოჩა ხოჯავა** მოხვდა: სამი ტურის შემდეგ საშუალოდ 3,7 ქულით გუნდში პირველ-მესამე ადგილებს იყოფს.

საქართველოს ნაკრების მცველმა **ალეკო ამისულაშვილმა** კი დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ დანიშნეს "კრასნოდარის" კაპიტნად და რომ მასში 3 მილიონი ევრო არ გადაუყრიათ – ალეკო 4,0 შეფასებით გუნდში საუკეთესოა. ბოლო ტურში პრემიერლიგის დებიუტანტმა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან მოსკოვის ცსკა-სთან 1:1 ალეკოს საგოლე გადაცემითა და დაცვაში საიმედო თამაშის წყალობითაც ითამაშა.

*საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი არა მხოლოდ გუნდში, პრემიერლიგის მარჯვენა ცენტრალურ მცველებშიც გამოარჩიეს – ამისულაშვილი მეორე-მესამე ადგილებს ყაზანის "რუბინის" ესპანელ უკანახაზელ სეზარ გონსალეს ნავასსთან ერთად იყოფს.*

უცნაური იყო საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველებში პლეიმეიკერ ხოჯავას დასახელება, მაგრამ აღიარეს და საწყენიც რა არის – "ვოლგას" ფეხბურთელი 3,7 ქულით მოსკოვის "სპარტაკის" ბრაზილიელ ნახევარმცველ **იბსონთან** მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს.

ამისულაშვილი და ხოჯავა ინტერნეტპორტალმა "ევრო-ფუტბოლმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

ცსკა-ს მცველმა **სერგეი იგნაშევიჩმა** "ფენტეზი-ფუტბოლში" თავის მეწყვილედ სწორედ ამისულაშვილი დაასახელა, რითაც ყველას მიანიშნა, რომ თურქეთში ხანმოკლე მივლინებიდან რუსეთში დაბრუნებული ფეხბურთელი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მცველია. ამისულაშვილმა გაცემული ავანსები გაამართლა და ეს განსაკუთრებით სწორედ არმიელებთან გამოჩნდა. სტუმრებმა შეხვედრა "მშრალად" ვერ დაასრულეს, მაგრამ ალექსანდრე ისე თამაშობდა, როგორც ლიდერს შეშვენის. ამას გარდა, "მეორე სართულზე" თამაშით ცნობილმა მცველმა საგოლე გადაცემაც გააკეთა.

*...ხოჯავა "ვოლგას" გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა. ჯერ "კანფეტივით" პასით მიხაილ პლეშჩანს გაატანინა, შემდეგ ჯარიმით თავად შეაგდო. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხოჯავა მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიურობდა, ის ჩრდილში იყო და თავის სამუშაოს ასრულებდა. მაგრამ შემტევი ფეხბურთელისთვის მთავარი მაინც გადამწყვეტ ეპიზოდში თავის გამოჩენაა"* – წერს "ევროფუტბოლ.რუ".

გამოცემამ ტურის სიმბოლური ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ომარ თეთრაძე** დაასახელა, სათადარიგოებში კი კიდევ ერთი ვოლგელი, **ოთარ მარცვალაძე** შეიყვანა.

ინტერნეტგამოცემა "კულიჩკი.რუმ" კი მესამე ტურის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა მკითხველს მიანდო და არჩევანის გასაკეთებლად 26 ფეხბურთელის სია შესთავაზა – მათ შორის იყვნენ მახაჩყალის "ანჟის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, ალეკო ამისულაშვილი, "ვოლგას" ქართველებიდან **გია გრიგალავა** და გოჩა ხოჯავა.

მოგეხსენებათ, ინტერნეტგამოკითხვები სუბიექტურობით გამოირჩევა და ყველა თავისიანს სწყალობს. ვფიქრობ, სწორედ ამის ბრალია, რომ ხოჯავა, რომელმაც მესამე ტურში ყველა აალაპარაკა, მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. არადა, მისნაირად სამეულში მოხვედრილ არც ერთ ფეხბურთელს არ უთამაშია.

დაბოლოს: უკრაინულმა ინტერნეტგაზეთმა "ფუტბოლ.უამ", რომელიც რუსეთის პრემიერლიგასაც საკუთარზე არანაკლებად აშუქებს, ხოჯავა მესამე ტურის გმირად დაასახელა. გაზეთმა ტურის სიმბოლურ ნაკრებში ამისულაშვილთან და ხოჯავასთან ერთად, ოთარ მარცვალაძეც შეიყვანა. სამი ქართველი პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში სახუმარო ამბავი ნამდვილად არ არის.



## გოჩაობა რუსეთში

### იგნაშევიჩმა ამისულაშვილი აირჩია



TV-ფეხბურთი

# კამერები გვიმრავლოს ღმერთმა, ბელე...



**მიხეილ სააკაშვილმა** ჩვენი უმაღლესი ლიგის ცენტრალური მატჩების ტრანსლირების უზრუნველყოფა "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაავალა.

არხის სპორტული მიმართულების პროდიუსერი **დავით მინაშვილი** ამბობს, რომ ახალი ტექნიკა მატჩების ბევრად უკეთესად გაშუქების საშუალებას იძლევა: "„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" შეიძინა 12-კამერიანი თანამედროვე მოძრავი სატელევიზიო სადგური (ე.წ. პეტეესი), რომელზეც, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ შეიძლება კამერების დამატება.

*ცხადია, 12 კამერით მატჩების ტრანსლირების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და ეს ეროვნული ჩემპიონატის უკეთ გაშუქების საშუალებას მოგვცემს. პრობლემა ისაა, რომ 12 კამერით მუშაობა მხოლოდ ოთხ სტადიონზეა შესაძლებელი - ეროვნულზე, მიხეილ მესხის სახელობის, რუსთავისა და ქუთაისის არენებზე. სამწუხაროდ, სხვაგან ჯერ ამის საშუალება არ არის, თუნდაც ზესტაფონში, საიდანაც 10 აპრილს "ზესტაფონი"-"დინამოს" მატჩის რეპორტაჟი ვგეგმავთ და ამიტომ 7-8 კამერით ვიმუშავებთ.*

*ჩვენ ამ თანამშრომლობისთვის ყოველთვის მზად ვიყავით. არ ვიცი, მომავალი სეზონისთვის რა შეიცვლება, მაგრამ თუ ტრანსლირება გაგრძელდება, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთადერთი თხოვნა გვექნება - გაითვალისწინონ სატელევიზიო ბადის მოთხოვნები, რაც მაყურებლისა და თავად ფედერაციის ინტერესშიც შედის - მატჩები მკაფიოდ განსაზღვრულ დროს დაიწყოს, რათა ყველამ იცოდეს, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში, მაგალითად, შაბათს 18 საათზე იხილავს. ფედერაციის თავკაცი დაგვპირდა, რომ ამ საკითხს ახალი ჩემპიონატის კალენდრის შედგენისას გაითვალისწინებს. რატომ დაიწყო ისრაელი-საქართველოს შეხვედრა 21:05-ზე და არა 21 საათზე? იმიტომ, რომ ტელევიზიის ინტერესი გაითვალისწინეს. ვფიქრობ, ჩვენ აუცილებლად შევთანხმდებით".*

ლეგიონერი

# ზაქარიას ჰაუპტვახტი მორჩა


ზაქარია ბეგლარიშვილი

**ზაქარია ბეგლარიშვილი** ტალინის "ფლორას" "ჰაუპტვახტიდან", ანუ ესტონეთის ჩემპიონის დუბლშემადგენლობიდან "დაიხსნეს", სადაც ის ზამთარში მოსამზადებელ ეტაპზე რუსთავის "ოლიმპში" ვარჯიშის გამო "ჩასვეს".

ეს არ იყო ფეხბურთელის თვითნებობით გამოწვეული სასჯელი, "ოლიმპში" წასვლის შესახებ ზაქარიას და ქართულ კლუბს "ფლორასთან" წინასწარი შეთანხმება ჰქონდათ, მაგრამ ანთალიიდან ესტონეთში გათავისუფლების ფურცლის ასალებად ჩასულ ქართველ პლეიმეიკერს სასჯელი დაახვედრეს.

ასე გრძელდებოდა ესტონეთის ჩემპიონატის დაწყების შემდეგ, მაგრამ ბეგლარიშვილმა "სასჯელი" მოიხადა, ამნისტია შეეხო და ესტონეთის ჩემპიონის ძირითად შემადგენლობაში დააბრუნეს.

*"სამწუხაროდ, დუბლებში დიდი დრო გამიცდა, მაგრამ უკვე ძირითად შემადგენლობაში დამაბრუნეს. საქმე ისაა, რომ ესტონეთის ჩემპიონატის დაწყების შემდეგ დუბლებში სამი თამაში ჩავატარე, სამივეში გავიტანე და მიხვდნენ, დუბლებში ჩემი გაჩერება არ ღირდა. ეტყობა, წყენამაც გადაუარათ და ჩვენი ურთიერთობებიც დალაგდა. ალბათ, ოთხშაბათს "ბალტიის თასზე" ლატვიურ "ვენტსპილსთან" მათამაშებენ".*

ახლა კი არის ყველაფერი კარგად, მაგრამ ბეგლარიშვილი იმაზე დარდობს, რომ მომხდარის გამო **ოთარ გაბელიამ** ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებულ სიაში არ შეიყვანა და, ცხადია, ავსტრიის ოთხთა ტურნირზეც არ წაიყვანა.

*"სამწუხაროდ, ესტონელების გამო მოსამზადებელი ეტაპის ნაწილი გამიცდა და ბევრიც დავკარგე. ყველაზე ცუდი ისაა, ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებულ სიაშიც რომ ვერ მოვხვდი. კარგად მესმის, რომ "ფლორას" დუბლშემადგენლობიდან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არავინ მიმიწვევდა. მაგრამ ეს ჩემთვის დამატებითი სტიმულია, რადგან ნაკრებში თამაში ყველაზე მეტად მახარებს. შეკრებებზე გაორმაგებული მონდომებით ვვარჯიშობდი, ნაკრებში თავი რომ არ შემერცხვინა. ვფიქრობ, ახლა კარგ ფორმაში ვარ, იმედია, "ფლორას" ძირითადში თამაშის შანსი მომეცემა და ნაკრებში გამოძახებას დავიმსახურებ"* – ამბობს ბეგლარიშვილი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● რა ჯობია კეთილ სიტყვას

# გაუმარჯოს აფრიკას და, გაუმარჯოს საქართველოს!

## გოდიში, ძმაო, ნიკა გელაშვილის ნახვა სად შეიძლება?

თელ ავივში ქართულის გაგონება გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ როცა უცხო ქვეყანაში ასეთი შეკითხვით ორი მუქკანიანი მოგმართავს, ცოტა დაიბნევი. მცირე დაკვირვების შემდეგ მივხვდით, რომ უცნობები სულაც არ ყოფილან უცნობები – ერთი ბოლნისის "სიონისა" და "ზესტაფონის" ყოფილი კამერუნელი ფორვარდი **ერიკ რომეო ჩასემი** იყო, მეორე კი თბილისის "დინამოს" ყოფილი გაბონელი თავდამსხმელი **ჯორჯ აკირემი**.

სასტუმრო "ქროუნ პლაზას" მისაღებში მათ სანახავად ის ქართველი ფეხბურთელები ჩავიდნენ, რომლებიც საქართველოში ჩასემისა და აკირემის თანაგუნდელები იყვნენ.



მარცხნიდან: ერიკ რომეო ჩასემი, რონ კვასხვაძე, ნიკა გელაშვილი და ჯორჯ აკირემი

ავტორის ფოტო

ალბათ გახსოვთ, რომ საქართველოდან წასვლის შემდეგ აფრიკულმა დუეტმა კარიერა ისრაელში გააგრძელა. ორივე რანგით მეორე ლიგაში თამაშობს – ჩასემი ნეს ციონას "მაქაბის", ხოლო აკირემი ირონის "რამათ ჰაშარონის" ღირსებას იცავს. ამ უკანასკნელმა "ლელოსთან" ამასწინანდელ ინტერვიუში თქვა, საქართველოდან წასვლით შეცდომა დავუშვიო და ახლაც იგივე გაიმეორა. ჩასემმა, საქართველო მეც მენატრება, მაგრამ ოჯახის ინტერესებს ანგარიში გავუწიე და იქ წავედი, სადაც მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი ვარო. აფრიკელებს უფრო ისრაელი-საქართველოს მატჩზე ვესაუბრეთ. მათ თამაშამდე შევხვდით და ორივეს ქართველთა გამარჯვების იმედი ჰქონდა.

თავდაპირველად მათ საქართველო-ხორვატიის შთაბეჭდილებებზე დავეკითხეთ.

ჩასემი: *"ხორვატიასთან თამაშს ვუყურე და საქართველოს ნაკრების თამაშით აღფრთოვანებული დავრჩი. კარგად ვიცოდი, რომ ახალი მწვრთნელის ხელში თქვენს გუნდს საგრძნობი პროგრესი ჰქონდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ხორვატიასთან ფრეც კი ძალიან გამიკვირდებოდა".*

აკირემი: *"თამაშის მომენტები ვნახე და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ საქართველოს ნაკრებს ძალიან გაუმართლა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი შედეგია, ხორვატიის დამარცხებით კი მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ნაკრები თუ დაიკვეხნის".*

ისრაელი-საქართველოს სანახავად სტადიონზე ორივე მოვიდა და ჩვენს გუნდს მხურვალედაც უქომაგა. ჩასემსა და აკირემის **ლუის ფერნანდესის** გუნდის თამაშები ადრეც უნახავთ და მასზე დიდი წარმოდგენისა არ ყოფილან. ისრაელი არაფრით გამორჩეული გუნდია და საქართველოს ნაკრებს თელ ავივში გამარჯვების კარგი შანსი აქვს – ასეთი იყო აფრიკელების პროგნოზი და, სამწუხაროდ, მწარედ შეცდნენ.

როცა საქართველოს უმაღლესი და ისრაელის მეორე ლიგების ერთმანეთთან შედარება ვთხოვეთ, უპირატესობა ორივემ პირველის სასარგებლოდ გააკეთა. მთავარ ებრაულ ლიგაზე კი გვითხრეს, ლიდერები მართლაც ძლიერები არიან, დანარჩენები კი ქართულ კლუბებს მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობებით ალემატებიანო.

ებრაული კარიერით ორივე კმაყოფილია, ამბობენ, რომ იქაურ საფეხბურთო სტილს იოლად შეეწყვნენ, ქვეყანასთან შეგუება კი გაუჭირდათ.

ჩასემი: *"ყველაფერი მხოლოდ ფულით არ იზომება, ქართველებს გვიყვარს საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა და ამ სიამოვნებას აქ მოკლებული ვარ. მაინცდამაინც ვერც თანაგუნდელებს დავუმეგობრდი და უცხო ხალხთან კონტაქტს ხომ საერთოდ არ აქვს აზრი".*

აკირემი: *"თბილისში ბევრ საინტერესო ადგილზე დავდიოდი, აქ კი გარეთ გასვლა არც მსიამოვნებს, თავისუფალ დროს სახლში ვატარებ. ქართველები და აფრიკელები ერთმანეთს იოლად უგებენ, აქაურებზე კი ამას ვერ ვიტყვი, ჩამოსულები გულზე არ ეხატებათ".*

საქართველოში გატარებულ წლებს დიდი სითბოთი იხსენებენ.

ჩასემი: *"საქართველო ჩემს მეორე კი არა, მგონი, უკვე პირველ სამშობლოდ მიმაჩნია. იქ ხომ საკმაო ხანი გავატარე და არსად შემხვედრია ასეთი თბილი ხალხი. უამრავი მეგობარი შევიძინე და ისრაელში ჩამოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ მათნაირი ხალხის პოვნა ძალიან ძნელია. მინდა, ქართველებსა და საქართველოს ყოველივე საუკეთესო ვუსურვო".*

აკირემი: *"ვიყავი თბილისელი, ვიყავი დინამოელი და ორივე უდიდესი ბედნიერება იყო. საქართველო და იქაური მეგობრები ყოველდღე მენატრება და იქ რამდენიმე დღით ჩასვლა ძალიან მინდა. ვრჩები "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ძალიან დიდ გულშემატკივრად. მეც და ერიკსაც თელ ავივში ძველი გუნდელების ნახვამ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა".*

საქართველოში დარჩენილ მეგობრებს ინტერნეტის მეშვეობით სისტემატურად ეკონტაქტებიან, ინტერესდებიან ჩვენი ჩემპიონატის შედეგებითა და ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე ამბებით. ჩასემი "სიონის" ქომაგად რჩება და ძალიან უნდა, ბოლნისელებმა კვლავ ტიტულებისთვის იბრძოლონ, აკირემიმ კი "დინამოს" გაძლიერების შესახებ დეტალურად იცის და იმედოვნებს, რომ მისი ყოფილი გუნდი საქართველოს ჩემპიონობას წლეულსვე დაიბრუნებს.

როცა ვკითხეთ, ხომ არ აპირებთ საქართველოში საცხოვრებლად და სათამაშოდ დაბრუნებასო, ერთხმად გვიპასუხეს, საქართველოს თავიდან კარიერულ ტრამპლინად განვიხილავდით, დღეს კი უსაყვარლეს ადგილად მიგვაჩნია და თუ ღმერთმა ინება, აუცილებლად დავბრუნდებითო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ინტერვიუ

# ხალხი, ხალხია საოცარი...

## იაპონელებით აღფრთოვანებული დავით მუჯირი, ჯეი-ლიგა და შიში – ფუკუშიმა



**"სანფრეჩე ჰიროსიმას" ნახევარმცველი დავით მუჯირი რუსულ "სოვსპორტს" იაპონურ შთაბეჭდილებებსა და საზარელ მიწისძვრაზე ესაუბრა. ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.**

**- როგორია ჰიროსიმაში ცხოვრება?**

- ბრწყინვალე ქალაქია, მილიონნახევრიანი მოსახლეობითა და ულამაზესი ხედებით. მე ქალაქის ცენტრში ვცხოვრობ. აქაურობას საერთოდ არ ეტყობა იმ ამბების კვალი, რაც აქ მეორე მსოფლიო ომისას მოხდა. ტრაგიკულ წარსულს მხოლოდ მემორიალური მუზეუმი გვახსენებს.

**- სად იყავით მიწისძვრისას?**

- მეუღლესთან ერთად ქალაქის ცენტრში ვსეირნობდი. მხოლოდ მცირე ბიძგები ვიგრძენით, რადგან აქაურობა სტიქიის ეპიცენტრიდან შორსაა. დატრიალებული უბედურების შესახებ მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებით შევიტყვე. იაპონიაში შენობები მიწისძვრას კი უძლებს, მაგრამ, საუბედუროდ, ცუნამის წინ ვერაფერი აღუდგება.

**- იაპონიის ჩემპიონატი შეწყდა. რას აკეთებთ ამ დროს ფეხბურთელები?**

- მხოლოდ ორი ვარჯიში გაგვიცდა, შემდეგ კი საწვრთნელი პროცესი ჩვეულებრივად გაგრძელდა. ჯეი-ლიგის გუნდებთან ამხანაგურ მატჩებს ვატარებთ, მათი ნაწილი საქველმოქმედოა და შემოსავალი დაზარალებულთა ოჯახებს ხმარდება.

**- თქვენი თანაგუნდელებიდან ვინმე ხომ არ დაზარალდა?**

- ერთ-ერთის ოჯახი უბედურების ზონაში ცხოვრობდა. მისი ბებია უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მშობლები კი ამ დროს სამსახურში იყვნენ და დროულად გაიხიზნენ. საერთოდ, იაპონელებით გაოცებული და აღფრთოვანებული ვარ, ამხელა უბედურება მშვიდად და ღირსეულად გადაიტანეს და ცხოვრებას ძველ რიტმში აგრძელებენ.

**- მომხდარმა სხვა ქვეყანაში გადასახლება ხომ არ გაფიქრებინათ?**

- არა, აქაურობა ძალიან მომწონს და სწორედ აქ მინდა თამაში. ქვეყანაც განუმეორებელია და საფეხბურთო დონეც შესანიშავი.

**- სამშობლოში ოჯახი მაინც არ დაგიბრუნებიათ?**

- ბავშვები ისედაც თბილისში არიან – არ მინდოდა, სკოლა გაეცდინათ, მეუღლე კი ყოველთვის ჩემს გვერდითაა.

**- ჯეი-ლიგა 23 აპრილს განახლდება თუ შეიძლება, პაუზა კიდევ გაგრძელდეს?**

- ძალიან მინდა, მართლაც 23 აპრილს განახლდეს, მაგრამ გამორიცხული არაფერია – გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები ფუკუშიმას ბირთვულ რეაქტორზე. თუ თამაში 23 აპრილიდან დავიწყეთ, გამოტოვებული ხუთი ტური ზაფხულში გაიმართება. მძიმე კალენდარი გვექნება – კვირაში ორი მატჩი მოგვიწევს, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც იაპონელმა ხალხმა გადაიტანა, ფეხბურთელებს საწუწუნო არაფერი გვაქვს.

**მოამზადა ლევან ჯანეზაშვილმა**

● დინამო — სასარგებლო ვიზიტი

# დინამო საერთაშორისო კონგრესზე

დონეცკის „შახტარმა" ამ ბოლო წლებში არნახულ წარმატებებს მიაღწია: სწორი მენეჯმენტის, გემოვნებიანი და ეფექტური სატრანსფერო პოლიტიკისა და საკლუბო ინფრასტრუქტურის განვითარებით ამ კლუბმა ჯერ კიევის „დინამოს" მრავალწლიანი ჰეგემონია დაამხო უკრაინის ჩემპიონატში, შემდეგ კი უკვე საერთაშორისო სარბიელზეც გაითქვა სახელი. შეგახსენებთ, რომ 2009 წელს დონეცკელებმა უეფას თასი მოიგეს, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში არიან გასულები.

ამ ცოტა ხნის წინათ „შახტარის" 75 წლის იუბილე აღინიშნა; იუბილეზე დონეცკელებმა აღმოსავლეთ ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა მწვრთნელების პირველ საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლეს. კონგრესში სხვადასხვა ქვეყნის კლუბების 250 წარმომადგენელი მონაწილეობდა და მილანის „ინტერის", „ბარსელონასა" და „აიაქსის" საფეხბურთო აკადემიებთან ერთად დონეცკში თბილისის „დინამოს" დელეგაციაც იმყოფებოდა.

**თამაზ სამხარაძე („დინამოს" საფეხბურთო აკადემიის მთავარი მწვრთნელი):** *„ნათლად დავინახეთ, თუ როგორი უნდა იყოს ისეთი კლუბების საფეხბურთო აკადემიები, რომლებსაც სერიოზული ამბიციები აქვთ. ევროპის საუკეთესო კლუბების საფეხბურთო აკადემიებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, რომელიც როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა. ბევრი ახალი და საინტერესო ვნახეთ, რასაც მომავალ საქმიანობაში აქტიურად გამოვიყენებთ".*

**თეიმურაზ შალამბერიძე („დინამოს" დუბლშემადგენლობის მეორე მწვრთნელი):** *„ბევრი საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ. პირადად ჩემთვის მთავარი იყო კლუბების საფეხბურთო აკადემიის ჭაბუკთა განვითარების ეტაპები წლოვანების მიხედვით; ანუ, რა პრიორიტეტებია და რაზე კეთდება აქცენტი სხვადასხვა ასაკობრივ ფაზებში".*

**გიორგი ყოლბაია (საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" გენერალური დირექტორის ასისტენტი):** *„დინამომ" ძალიან საინტერესო საფეხბურთო ფორუმში მიიღო მონაწილეობა. მნიშვნელოვანი საფეხბურთო კონტაქტები დავამყარეთ, რომელიც სამომავლო ურთიერთობებს დაუდებს სათავეს. სასიხარულოა, რომ „დინამო" კვლავაც ხდება საერთაშორისო საფეხბურთო თანამეგობრობის წევრი.*

**გია ტუხაშვილი**

● ზესტაფონი

# გელაშვილი: ხვალ და ხვალვე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ეროვნული ჩემპიონატის დღევანდელი ტურისთვის დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების სიაა გამოქვეყნებული, სადაც **ნიკა გელაშვილიცაა** მოხსენიებული.

შეგახსენებთ, "ზესტაფონის" თავდამსხმელის მოთამაშის ბარათი "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** ფედერაციაში წაიღო – თანამსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა კი ხვალისთვისაა დანიშნული და ხვალვე გახდება ცნობილი, "ზესტაფონის" თავდამსხმელს მხოლოდ "ტორპედოსთან" მატჩის გამოტოვებას აკმარებენ თუ უფრო სერიოზულად დასჯიან.

"ზესტაფონი" კი გელაშვილს საუკეთესო შემთხვევაში 10 აპრილს, "დინამოსთან" საშინაო მატჩში თუ დაიხმარს – ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ კლუბის მიერ შეტანილი საჩივარი შედეგს გამოიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არც ერთი უმოტივაციო

...უკვე არახალ ამბავზე გვინდა გიამბოთ და იმედია, ჩვენი ფეხბურთელებიც მეტ-ნაკლებად შეგუებული იქნებიან ერთობ შემჭიდროებული გრაფიკით ასპარეზობას. ანუ, „ბოქსინგ-დეი" მხოლოდ ინგლისში (ისიც, წინასაახალწლო-წინასაშობაო დღეებში) კი არ არის, არამედ უკვე მეორე-მესამე სეზონია საქართველოს ჩემპიონატშიც დამკვიდრდა. თანაც, მიმდინარე სეზონში ჩვენს ფეხბურთელებს უკვე მეორედ მოუწევთ „გამძლეობის ტესტის" ჩაბარება და ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ოფიციალური მატჩების თავისთვის სასურველი შედეგით დამთავრების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, რალა თქმა უნდა, გრძელი სათადარიგოთა სკამი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდების მწვრთნელთა უმრავლესობა ნამდვილად არ არის განებივრებული ისეთი ფუფუნებით, შემადგენლობის ხშირი და, რაც მთავარია, ეფექტიანი როტაცია რომ მოახდინოს. ასეა თუ ისე, სეზონის მეორე „ბოქსინგ-დეი" მართლაც მოულოდნელობებით დაიწყო (წინა ტურს ვგულისხმობთ, როცა ვერც ერთმა ლიდერმა ვერ მოიგო) და აპრილის ბოლომდე, ალბათ, კვლავაც რამდენიმე სენსაციას ვნახავთ. შედარებისათვის: პირველ ეტაპზე რომ გვქონდა მსგავსი გადატვირთული კალენდარი, 10 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით თითოეულ გუნდს ხუთ-ხუთი მატჩის ჩატარებამ მოუწია; ახლა კი, ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე, 2-დან 30 აპრილამდე ზოგ გუნდს რვა (!) შეხვედრის ჩატარება მოუწევს, ზოგს - შვიდის, დანარჩენებს კი ექვს-ექვსის. მოკლედ, ის დრო დგება, რასაც „გადამწყვეტი მატჩების პერიოდს" ვუწოდებთ ხოლმე. თანაც, დღეიდან ხომ ჩემპიონატის დასკვნითი, მეოთხე წრე იწყება და საერთოდაც, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ სატურნირო თვალსაზრისით სწორედ აპრილმა უნდა გაარკვიოს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თითქმის ყოველ ტურში უშუალო კონკურენტების პაექრობები გველოდება და, რაც მთავარია, წინა სეზონებისგან განსხვავებით, ეს ჩემპიონატი არნახულად დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. თანაც, ეს დაძაბულობაც და ინტერესიც ცხრილის ზედა ნაწილშიც იგრძნობა და გასავარდნ ზონაშიც, — ანუ, ფაქტობრივად, ჩემპიონატში უმოტივაციო გუნდი ჯერჯერობით არც ერთია და იმედი დავიტოვოთ, რომ სეზონის ბოლომდეც ასე გაგრძელდება...

| სულ | | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 27 | 17 | 5 | 5 | 52 | 15 | 56 | 13 | 10 | 2 | 1 | 32 | 3 | 32 | 14 | 7 | 3 | 4 | 20 | 12 | 24 |
| 2 | ოლიმპი | 27 | 16 | 6 | 5 | 40 | 20 | 54 | 15 | 13 | 2 | 0 | 27 | 4 | 41 | 12 | 3 | 4 | 5 | 13 | 16 | 13 |
| 3 | დინამო | 25 | 13 | 8 | 4 | 35 | 12 | 47 | 12 | 8 | 4 | 0 | 25 | 6 | 28 | 13 | 5 | 4 | 4 | 10 | 6 | 19 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 3 | 11 | 29 | 30 | 39 | 13 | 7 | 2 | 4 | 19 | 15 | 23 | 13 | 5 | 1 | 7 | 10 | 15 | 16 |
| 5 | ბაია | 26 | 10 | 5 | 11 | 25 | 34 | 35 | 14 | 9 | 3 | 2 | 18 | 10 | 30 | 12 | 1 | 2 | 9 | 7 | 24 | 5 |
| 6 | ტორპედო | 27 | 8 | 10 | 9 | 17 | 17 | 34 | 12 | 5 | 6 | 1 | 8 | 3 | 21 | 15 | 3 | 4 | 8 | 9 | 14 | 13 |
| 7 | სიონი | 27 | 7 | 8 | 12 | 17 | 33 | 29 | 13 | 6 | 3 | 4 | 12 | 11 | 21 | 14 | 1 | 5 | 8 | 5 | 22 | 8 |
| 8 | სპარტაკი | 27 | 6 | 7 | 14 | 26 | 32 | 25 | 14 | 5 | 4 | 5 | 23 | 15 | 19 | 13 | 1 | 3 | 9 | 3 | 17 | 6 |
| 9 | კოლხეთი | 27 | 6 | 7 | 14 | 16 | 37 | 25 | 14 | 6 | 3 | 5 | 13 | 12 | 21 | 13 | 0 | 4 | 9 | 3 | 25 | 4 |
| 10 | სამტრედია | 27 | 6 | 5 | 16 | 23 | 50 | 23 | 13 | 6 | 3 | 4 | 14 | 10 | 21 | 14 | 0 | 2 | 12 | 9 | 40 | 2 |

## ტორპედო–ზესტაფონი

Bwin: 4.60 3.20 1.72

06.04. ქუთაისი. ტორპედო 19:00

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

ტურის ცენტრალური დაპირისპირება ქუთაისში შედგება და „იმერული დერბი" მართლაც დიდ ინტერესს იწვევს. ერთი შეხედვით, დღევანდელ მეტოქეებს ჩემპიონატში განსხვავებული მიზნები აქვთ: „ტორპედო" პირველ სამეულს გვარიანად ჩამორჩება და არც პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე უნდა დაემუქროს; „ზესტაფონი" კი სეზონის სტარტიდან მოყოლებული ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას და ნამდვილად არ იყო შემთხვევითი ის ფაქტი, რომ სამი წრის შემდეგ ცხრილის სათავეში სწორედ **გია გეგუჩაძის** გუნდი იმყოფება. თუმცა, ამ ბოლო დროს „ზესტაფონს", ცოტა არ იყოს, არასტაბილურობა დასჩემდა — უკანასკნელი ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და სამი ფრედ დაამთავრა. ვერც „ტორპედოს" ქომაგები იქნებიან კმაყოფილნი თავიანთი საყვარელი გუნდის ბოლოდროინდელი ასპარეზობით: **გია გიგატაძის** შეგირდებმა ბოლო ოთხ შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულა შემატეს თავის არქივს...

ამ სეზონში დღევანდელი მეტოქეების წინა სამივე დაპირისპირება უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა და სამივე შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით მთავრდებოდა; პირველ წრეში „ტორპედო" ახლოს იყო ხმაურიან სენსაციამდე (**თენგიზ ჩიკვილაძის** გოლით იგებდა), მაგრამ მატჩის მიწურულს **ბუბა დაუშვილის** „დუბლმა" „ზესტაფონს" რთული გამარჯვება მოუტანა. მესამე წრის მატჩშიც მინიმალური სხვაობა დაფიქსირდა: გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლი ჯაბა დვალმა გაიტანა (ალსანიშნავია, რომ დღევანდელ „იმერულ დერბის" დისკვალიფიკაციის გამო დაუშვილიც დააკლდება და დვალიც). აი, რაც შეეხება „ტორპედოს" ერთადერთ გამარჯვებას პრინციპულ მეტოქესთან, ამ შემთხვევაშიც ერთი გოლი აღმოჩნდა საკმარისი - 17 ოქტომბერს ჩატარებულ მატჩში თავი 17 წლის ნახევარ მცველმა **მერაბ გიგაურმა** გამოიჩინა.

დაბოლოს, ამ წყვილის კიდევ ერთ „თავისებურებაზეც: „ტორპედო" და „ზესტაფონი" სეზონის ბოლომდე კიდევ ორჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს; თანაც, არანაკლები მნიშვნელობის მატჩები გველოდება ამ ორი გუნდის მონაწილეობით... საქართველოს თასის ნახევარფინალში!

## სიონი–ბაია

Bwin: 1.88 3.20 3.75

06.04. ბოლნისი. თ. სტეფანია 16:00

არბიტრი: ხ. გაგნიძე; ასისტენტები: ბ. ქიქინაძე, დ. კვეტენაძე
მეოთხე მსაჯი: თ. გვანცელაძე

ზედიზედ ორი მატჩია „სიონი" თავის ერთგულ ქომაგებსაც ახარებს და ქართული სპორტული მასმედიის ყურადღების ცენტრშიც არის მოქცეული; აბა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ჯერ ზესტაფონიდან ქულის წამოღება და მერე უკვე შინ, ქვეყნის ჩემპიონის „ოლიმპის" დამარცხება?! ამ ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებული ოთხი ქულა ბოლნისელების სატურნირო მდგომარეობაზეც დადებითად აისახა, თორემ საწინააღმდეგო შემთხვევაში ქვემოქართლური კლუბი გასავარდნ ზონაში აღმოჩნდებოდა. მოკლედ, „სიონს" მართლაც მოუხდა მორიგი საკადრო გადაადგილება: თავის სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ბოლნისში მესამედ მისულმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** ძირითად შემადგენლობაშიც რამდენიმე ცვლილება მოახდინა, „გზადაგზა" ერთი-ორი ახალწვეულიც (**კობა შალამბერიძე, ვლადიმერ ზუხბაია**) დაიმატა და შედეგიც სახეზეა. თუმცა, ორ ფავორიტთან მოპოვებული 4 ქულა იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ „სიონის" მდგომარეობას „მშვიდი" ვუწოდოთ — წინ ხომ მთელი წრეა სათამაშო. სხვათა შორის, ამ სეზონში „სიონმა" თითქმის ყველა ფავორიტის გამწარება „მოასწრო", მაგრამ დაუგეგმავი ქულებიც მრავლად დაკარგა და დღესაც თავის ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქეს ხვდება. თავად განსაჯეთ: ამ სეზონში ჩატარებული წინა სამი მატჩიდან ორი შეხვედრა, „ბაიამ" მოიგო, ერთი კი ფრედ დასრულდა. საერთოდაც, „ბაიას" ერთადერთი გამარჯვება აქვს სტუმრად მოპოვებული და ისიც... ბოლნისში! არადა, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი გასვლით მატჩებსაც ისე რომ ატარებდეს, როგორც საშინაო შეხვედრებს, ბევრად უკეთესი შედეგი ექნებოდა. თუმცა, ამ ეტაპისათვის „ბაია" ერთობ „კომფორტულ", მეხუთე პოზიციაზე იმყოფება და არა გვგონია, რომ ზუგდიდურ გუნდს პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე დაემუქროს.

## სპარტაკი–დინამო

Bwin: 3.10 3.10 2.15

06.04. გორი. ქართლი 16:00

არბიტრი: ლ. კვარაცხელია; ასისტენტები: ზვ. ერქვანია, ზ. ბერულავა
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი



ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე მყოფი გუნდების დაპირისპირებაშიც ძნელია რომელიმე მეტოქეს ფავორიტის სტატუსი მივანიჭოთ, - უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლ „სპარტაკსაც" სჭირდება ქულები და საჩემპიონო რბოლაში ჩართულ „დინამოსაც". თანაც, ამ სეზონში „სპარტაკმა" უკვე ორჯერ მოახერხა და თავისზე ბევრად ძლიერ მეტოქეს ფრედ ეთამაშა (მეორე და მესამე წრეში). საერთოდაც, ამ ბოლო წლებში „დინამოსთვის" ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქედ სწორედ „სპარტაკი" მიიჩნევა — სეზონი არ გავა, ჩვენმა მარადიულმა ფავორიტმა რომ ცხინვალის გუნდთან ქულები არ დაკარგოს. დღევანდელი მეტოქეების „განსაკუთრებული ურთიერთობის" სხვა დეტალებიც უნდა ვახსენოთ: „სპარტაკში" არაერთი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, სხვადასხვა დროს „დინამოში" რომ ასპარეზობდა; ყოფილი გუნდის წინააღმდეგ კი, მოგეხსენებათ, ყველა განსაკუთრებული მოტივაციით ასპარეზობს და ამის ნათელი დადასტურებაც იყო დღევანდელი მეტოქეების ბოლო შეხვედრა, სადაც „დინამოს" კარში გოლი **ზვიად მეტრეველმა** გაიტანა. ეს ფორვარდი ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე „დინამოში" ასპარეზობდა, თუმცა ჩემპიონატში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა; სამაგიეროდ, „სპარტაკში" გადასულს „გოლის გემო" გაახსენდა და დღესდღეობით ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ. თუმცა, „დინამოს" სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს დღევანდელ მატჩში მხოლოდ და მხოლოდ მოგება დააკმაყოფილებთ — **კახა კაჭარავას** გუნდს ხომ ამის შემდეგ ორი უპრინციპულესი მატჩი ელოდება თავის უშუალო კონკურენტებთან („ზესტაფონთან" და „ოლიმპთან").

## ვიტ ჯორჯია–ოლიმპი

Bwin: 3.20 3.10 2.10

06.04. თბილისი. შატილი 16:00

არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე
მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა

„იმერული დერბის" მსგავსად, არანაკლებ ინტერესს იწვევს თბილისური მატჩიც, სადაც მეორე ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი „ვიტ ჯორჯია" ქვეყნის ჩემპიონს უმასპინძლებს. 12 თებერვალს, მეორე ეტაპის საწყის ტურში „ოლიმპმა" დაძაბულ ბრძოლაში აჯობა „ვიტ ჯორჯიას" და აი, იმის მერე „ვეტერინარებს" თამაში არ წაუგიათ! არადა, რამდენს ეგონა, რომ ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი... ნაკლებად მოტივირებული იასპარეზებდა და მთელ ყურადღებას სათასო პაექრობებს დაუთმობდა („ვიტ ჯორჯია" ნახევარფინალშია გასული); თუმცა, ერთიანად გაახალგაზრდავებული გუნდი არც ერთ მეტოქეს არ ეპუება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე თვეა წაუგებლად ასპარეზობს. ასეთ შემთხვევაში მთელი გუნდი ქებას იმსახურებს, მაგრამ განსაკუთრებით გვინდა „ვეტერინართა" ახალი კაპიტნის, **გიგა ბეჭვაიას** შედეგიანი თამაში აღვნიშნოთ, რომელიც, ფაქტობრივად, ყოველ ტურში გოლით ან საგოლე პასით უნდა გამოირჩეს-ხოლმე.

...ამ სეზონის დაწყებამდე „ვიტ ჯორჯიას" ურთიერთშეხვედრებში მცირე უპირატესობა ჰქონდა „ოლიმპთან"; ეგ კი არა, აქამდე არასდროს მომხდარა, რომ „ვეტერინარებს" კონკრეტულ სეზონში ყველა მატჩი წაეგოთ „ოლიმპთან" და აი, ამ ჩემპიონატში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: რუსთაველებმა სამივე დაპირისპირებაში აჯობეს თავისთვის მუდამ უხერხულ მეტოქეს. მოკლედ, მართლაც საინტერესო მატჩი გველოდება და ისიც საინტერესოა, როდის უნდა დაარღვიოს ჩემპიონმა მართლაც უსიამოვნო ტრადიცია: 20 ნოემბრის შემდეგ გუნდს სტუმრად არ მოუგია! ამასაც თავი რომ დავანებოთ, „ვეტერინარებთან" შეხვედრის შემდეგ **თორნიკე მაისურაძის** გუნდს სამი ურთულესი მატჩი ელოდება: „ტორპედოსთან", „დინამოსთან" და „ზესტაფონთან"...

## სამტრედია–კოლხეთი

Bwin: 1.91 3.20 3.70

06.04. სამტრედია. ე. მანჯგალაძე 16:00

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი; ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, კ. ტეფნაძე
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

წინა ტურამდე „სამტრედიას" მართლაც რომ საშინელი სტატისტიკა ჰქონდა: მეორე ეტაპის დაწყებიდან გუნდმა 8 შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვა! ალბათ, ამიტომაც იყო, რომ, ცოტა არ იყოს, ავჩქარდით და „სამტრედიას" სატურნირო მდგომარეობა უიმედოდ შევაფასეთ. ამასობაში კი, **ლევან ანჯაფარიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ასე ნანატრი გამარჯვება (პირველად, 11 დეკემბრის შემდეგ) მოიპოვა და სატურნირო ცხრილს თუ შევხედავთ, უკვე ველარავინ იტყვის, რომ „სამტრედიას" მდგომარეობა კატასტროფულად უიმედოაო. თანაც, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ სწორედ დღევანდელმა და მომავალმა ტურმა უნდა გაარკვიოს: „სამტრედიას" ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა ელოდება თავის უშუალო კონკურენტებთან („კოლხეთთან" და „სპარტაკთან"). მოკლედ, ამ ორმა „ექვსქულიანმა" მატჩმა ცხრილის ქვედა ნაწილში ძალიან ბევრი რამ უნდა გაარკვიოს; ისე, „სამტრედიის" ხანგრძლივი მოუგებელი სერია ვახსენეთ და ამ მხრივ, არც „კოლხეთს" აქვს საქმე „საამაყოდ": ფოთელებმა უკანასკნელად მეორე ეტაპის საწყის ტურში (12 თებერვალს) მოიგეს და მეტოქე... „სამტრედია" იყო. ბოლო პერიოდში „კოლხეთმა" რამდენიმე სიურპრიზი კი შემოგვთავაზა, საკუთარ კარში ძალიან ცოტა გოლსაც უშვებს, მაგრამ აი, მეტოქის კარის დალაშქვრისა კი რა მოგახსენოთ. თავად განსაჯეთ: 12 თებერვლის მატჩი რომ ვახსენეთ, იმის შემდეგ „კოლხეთმა" 8 მატჩი ჩაატარა და მოწინააღმდეგის კარში არც ერთი გოლი აღარ გაუტანია...

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოხეტიალე თავდამსხმელი

# არსენალის ფანებს დღემდე ვუყვარვარ



**ემანუელ ადებაიორმა** თქვა, რომ „მანჩესტერ სიტი" ფანების გამო დატოვა. თურმე, ისტლენდელ გულშემატკივარს ის საკმარისად არ უყვარებია. შეგახსენებთ: იანვარში ტოგოელმა თავდამსხმელმა სეზონის ბოლომდე ესპანეთს მიაშურა — „რეალში" გადავიდა.

უცხო თვალისთვის გულშემატკივრისა და ადებაიორის ურთიერთობა ძნელი შესამჩნევი იყო. გარედან ისე ჩანდა, რომ 27 წლის ფორვარდმა მანჩესტერელთა ძირითადი შემადგენლობიდან **კარლოს ტევესის** ამოგდება ვერ შეძლო. მეტიც, „სიტის" თავკაცი **რობერტო მანჩინი** მასზე წინ ახალშეძენილ **ედინ ჯეკოს** და აფროიტალიელ ყმაწვილკაც **მარიო ბალოტელისაც** კი აყენებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ ადებაიორი მანჩინის სტილს ვერ მოერგო. გავიხსენოთ როდის გადავიდა ტოგოელი „არსენალიდან" ისტლენდზე — ეს ორი წლის წინ მოხდა, როდესაც „მანჩესტერ სიტის" ჯერ კიდევ **მარკ ჰიუზი** ედგა სათავეში. ჰიუზმა, მაშინ, ლონდონელებს ამ თავდამსხმელში 25 მილიონი ფუნტი გადაუხადა. უნდა ითქვას, რომ თავიდან ადებაიორი სულაც არ თამაშობდა ცუდად — პირველ სეზონში, 34 შეხვედრაში 14 გოლი შეაგდო, მაგრამ 2009-ის დეკემბერში მანჩინის გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა.

*„თავიდან „მანჩესტერ სიტიში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მათამაშებდნენ და გოლი გოლზე გამქონდა. შემდეგ კი გაიმართა საბედისწერო თამაში ჩემს ყოფილ გუნდ „არსენალთან". ყველას კარგად გახსოვთ, რაც მოხდა იმ დღეს - გულშემატკივრის გალიზიანებისთვის რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია მომისაჯეს. ის იყო და ის, მერე ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.*

*ჩემთვის მწვრთნელის შეცვლაც რთული მომენტი გამოდგა. მარკ ჰიუზი რობერტო მანჩინიმ შეცვალა და ამან კიდევ უფრო დამწია უკან, თუმცა დღეს, როდესაც უკვე დანყნარებული ჩემს ორ ბოლო ტრანსფერს ვიხსენებ და ვადარებ, აშკარა განსხვავებას ვხედავ. „არსენალში" ფანებს ვუყვარდი. შეიძლება გაგიკვირდეთ რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ „მეთოფეთა" ფანებს დღესაც ვუყვარვარ. გულშემატკივრის მხარდაჭერა აქ, მადრიდშიც აშკარად ვიგრძენი. ამ მხრივ არც „სანტიაგო ბერნაბეუზე" მაქვს საქმე საწუწუნოდ. აქ, ხალხსაც ვუყვარვარ, თანაგუნდელებსაც და კლუბის თანამშრომლებსაც.*

*ჰკითხეთ ნებისმიერ ფეხბურთელს რამდენად მნიშვნელოვანია ქომაგების მხარდაჭერა. ტრიბუნებიდან წამოსულ სიყვარულს უდიდესი ძალა აქვს. მოთამაშემ ეს აუცილებლად უნდა იგრძნოს".*

ემანუელ ადებაიორი „არსენალიდან" „მანჩესტერ სიტიში" რომ არ გადასულიყო კარიერის ყველაზე უსიამოვნო ნახევარი წელიწადი არ დაუდგებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად ტოგოელი ლონდონიდან მანჩესტერში გადაბარგებას არ ნანობს:

*„არა, „მანჩესტერ სიტიში" გადასვლა ნამდვილად არ მინანია* — უთხრა ფორვარდმა ინგლისელ ჟურნალისტებს „რეალისა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" გუშინდელი თამაშის წინ — *„არსენალში" სული და გული ჩავდე, მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი გუნდისთვის რაც შეიძლება სასარგებლო ვყოფილიყავი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ლონდონელებთან ერთად ვერანაირ ჯილდოს ვერ მოვიპოვებდი. ის დღე, როდესაც შვებულებიდან დაბრუნებული „არსენალის" შეფებმა დამიბარეს და გუნდიდან წასვლა მთხოვეს, ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეთაგანი იყო. მე ხომ ბავშვობიდან „არსენალში" თამაშსა და ამ გუნდთან ერთად ტიტულების მოგებაზე ვოცნებობდი. და აი, საკუთარ ოცნებასთან გამომშვიდობება დამჭირდა.*

*არ იფიქროთ, რომ რამეს ვაჭარბებ. ძალიან კარგად ვიცი, რომ ამქვეყნად „არსენალზე" დიდი კლუბებიც არსებობენ, მაგრამ იქ, ჩემი ბავშვობის კერპი ნვანკვო კანუ თამაშობდა და „მეთოფეები" ამიტომაც იყვნენ ჩემთვის მნიშვნელოვანი.*

*ერთი სიტყვით, „არსენალმა" გამიშვა, ამ დროს გამოჩნდა „მანჩესტერ სიტი" და ტრანსფერიც შედგა".*

მაგრამ, მას მერე, რაც ისტლენდზე მანჩინი მივიდა, გუნდის ტაქტიკა შეიცვალა. „სიტიმ" უფრო დაცვიდან დაიწყო თამაში და შეტევაშიც სხვა ტიპის თავდამსხმელებს მიანიჭეს უპირატესობა. შედეგად, ადებაიორმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და სულ ორჯერ მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში. ცეცხლს ნავთი „სიტის" საწვრთნელ ბაზაზე სექტემბერში მწვრთნელთან კამათმა და იანვარში, თანაგუნდელ **კოლო ტურესთან** მომხდარმა ხელჩართულმა ჩხუბმაც დაასხა. თუმცა, დღეს ადებაიორი კმაყოფილია. ის ამბობს, რომ **ჟოზე მოურინიოს** „რეალში" გადასვლამ კარიერა გადაურჩინა. ცნობისთვის: „რეალში" ადებაიორმა 13 შეხვედრაში 3 გოლი შეაგდო.

და რა მოხდება მას მერე, რაც ივნისში „რეალთან" დროებითი კონტრაქტის ვადა ამოეწურება? ადებაიორი არ გამორიცხავს, რომ ის კვლავ ინგლისში დაბრუნდება:

*„ჯერ იყო და რამდენიმე წელიწადი საფრანგეთში გავატარე, შემდეგ ხუთი წელიწადი ინგლისში ვიყავი, ასე რომ, ახლა ესპანეთისთვის ზედგამოჭრილი დრო იყო. თქვენ გაინტერესებთ, რას ვიზამ, ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ინგლისში დაბრუნების შესაძლებლობა თუ მომეცემა? უარს არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი. მე ინგლისური ფეხბურთი და ამ ქვეყნის სტადიონების ატმოსფერო მიყვარს, თუმცა ესპანეთში თავს ბედნიერად ვგრძნობ".*

მაგრამ, როგორ გრძნობს ტოგოელი ფორვარდი თავს ესპანეთში ბედნიერად თუკი „რეალი" ცხრილში „ბარსელონას" 8 ქულით ჩამორჩება? განა თავად არ თქვა, „არსენალის" ის არ მომწონდა, რომ მივხვდი, ამ გუნდთან ერთად ჯილდოს ვერ ვიგებდიო?

*„ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, სადაც საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და ყველა ერთსულოვანია. „ლა ლიგაში" „ბარსელონას" 8 ქულით კი ჩამოვრჩებით, მაგრამ ლიდერს ჯერ კიდევ უნდა ვუმასპინძლოთ. რასაკვირველია, „ბარსელონასთვის" ხელის შეშლა ახლა უკვე ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ სეზონის ბოლომდე კუდში ვსდევთ და მოსვენებას არ მივცემთ".*

დაბოლოს, ადებაიორმა ჟოზე მოურინიო შეაქო. ისე, ტოგოელს მწვრთნელებში ყოველთვის უმართლებდა. ჩამოვთვალოთ, ვისთან უმუშავია „მონაკოს", „არსენალისა" და „სიტის" ყოფილ ფორვარდს? **დიდიე დეშამთან, არსენ ვენგერთან, მარკ ჰიუზთან, რობერტო მანჩინისთან** და ახლა მოურინიოსთან.

*„არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. ჩვენი თანამშრომლობა შესაძლოა სადმე გაგრძელდეს"* — დაავგვირგვინა ადებაიორმა.



● სადისციპლინო საკითხი

# რუნი დღეს დაიბარეს

**უეინ რუნიმ** აღიარა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ბილწსიტყვაობისთვის სამართლიანად წაუყენა ბრალდება, მაგრამ ავტომატური ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია გააპროტესტა. გუშინვე, ფეხბურთის ასოციაციამ დაადასტურა, რომ რუნის კლუბმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა", მოთამაშის ანალოგიური პოზიცია წარმოაჩინა, ასე რომ, საქმეს ხელახალი განხილვა სჭირდება და ის დღეს გაიმართება. თუ რუნის არგუმენტები სადისციპლინო კომისიას არ დააკმაყოფილებს, მაშინ ფეხბურთელს შესაძლოა ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია აღარ აკმარონ. შეგახსენებთ, რომ ორთამაშიან დისკვალიფიკაციაში შედიოდა პრემიერლიგის უახლოესი შეხვედრა „ფულჰემთან" და ასოციაციის თასის ნახევარფინალური მატჩი „მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ.

რა დააშავა უეინ რუნიმ? პრემიერლიგის ბოლო ტურში, „ვესტ ჰემთან", „იუნაიტედი" 2:0-ს აგებდა, რასაც რუნის ჰეთ-ტრიკი მოჰყვა და ბოლოს ერთიც **ხავიერ ერნანდესმა** დაამატა. სამი გოლის შეგდებით და თამაშის ბედის შემოტრიალებით გახარებულმა რუნიმ ტელეკამერას უწმაწური სიტყვები ჩასძახა.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წინადღეს, ვარჯიშზე, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ ამ თემაზე ლაპარაკისგან უჯობს თავი შეიკავოს.

*„სათქმელი არაფერი მაქვს. მირჩევნია საერთოდ თუ გავჩუმდები. ჩვენ, ჩვენი პოზიცია ფეხბურთის ასოციაციას წერილობით წარვუდგინეთ".*

● ამბები

# ფერნანდო ანდრეი არ გეგონოთ



„სანმა" ხუმრობა დაიწყო: ეს რა გავიგეთ, თურმე „ჩელსის" ვარჯიშებზე **ფერნანდო ტორესს** გოლები გააქვსო. მოკლედ, ტორესისა და გოლის ერთად ხსენება უკვე ოხუნჯობად იქცა, თუმცა „ლურჯების" მეკარე **პეტრ ჩეხი**, რომელიც ამ ბოლო დროს დაუნანებლად „არიგებს" ინტერვიუებს დარწმუნებულია, რომ აქ სასაცილო არაფერია.

ტორესმა ბოლოს გოლი ორი თვის, ორი კვირის და ორი დღის წინ გაიტანა, მაგრამ მაშინ „ლივერპულის" მაისური ეცვა. რაც „ჩელსის" ლურჯი ფორმა მოირგო, ესპანელმა ვარსკვლავმა 10 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მეტოქეთა კარის დალაშქვრა ერთხელაც ვერ შეძლო. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** პრემიერლიგის ბოლო ტურში, „სტოკის" წინააღმდეგ, ტორესი სათადარიგოთა სკამზე დასვა და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვა. რასაკვირველია, იმ კაცის სკამზე დასმა, რომელშიც 50 მილიონი ფუნტია გადახდილი ცოტა ძნელი და გაუგებარია, მაგრამ იტალიელ მწვრთნელს სხვა გზა არ ჰქონდა.

ჩეხმა თქვა: *„ისევე როგორც ყველა სხვას, ვარჯიშებზე გოლები ტორესსაც გააქვს. აშკარად ვხედავ, რომ ამ კაცმა ძალიან კარგად იცის იმ ლიგის ნიუანსები, რომელშიც გამოდის და ჩემი აზრით, ეს დიდი უპირატესობაა.*

*ხანდახან კლუბები დიდძალ თანხას იხდიან ვარსკვლავებში, რომლებსაც სხვა ქვეყნებში თამაშის გამოცდილება აქვთ. არის შემთხვევები, როდესაც ასეთები ახალ ლიგას მხარს ვერ უბამენ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ანდრეი შევჩენკოა. ჩვენთან რომ გადმოვიდა ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო, მაგრამ წინასწარ ვერასდროს იტყვი, ვინ როგორ შეეგუება ახალ სტილსა და გარემოს. ანდრეის არ გაუმართლა.*

*სწორედ ამიტომ არ ვნერვიულობ, როდესაც ფერნანდოზე მელაპარაკებიან. შეხედეთ, როგორ გადაადგილდება მოედანზე, როგორ აწყობს თანაგუნდელებთან კომბინაციებს და დარწმუნდებით, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცის, სად არის და რას აკეთებს. ჯერჯერობით მას არ უმართლებს, რადგან მომენტებს კი ქმნის, მაგრამ გოლები ვერ გააქვს. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ ეს დროის ამბავია. დარწმუნებული ვარ, საკმარისია ერთი გოლი შეაგდოს, რომ იმ ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და ასე შემდეგ".*

შემდეგ ჩეხმა „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩზე** ილაპარაკა. მეკარემ თქვა, რომ „ლურჯებისთვის" ოქროს საწმისი ჩემპიონთა ლიგაა:

*„დეკემბერი და იანვარი ჩვენთვის ცუდი თვეები იყო. ყველამ კარგად ვიცით, როგორ იქცევა ამ დროს ჩვენი კლუბის მეპატრონე — როდესაც ის დარწმუნდება, რომ საქმეში მისი ჩარევაა საჭირო, ჯიბიდან საფულეს იღებს. წლეულსაც თვალნათლივ დამტკიცდა, რომ მას „ჩელსის" ბედი ძველებურად აღელვებს. ეს ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო.*

*მე „სტემფორდ ბრიჯზე" უკვე შვიდი წელიწადია ვარ და აბრამოვიჩსაც კარგად ვიცნობ. ის, ისევე როგორც რამდენიმე წლის წინ, ვარჯიშებზეც დადის და თამაშებზეც. ის „ჩელსის" თითოეულ წევრს ელაპარაკება და ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ თუ დაგვჭირდა, პრეზიდენტი მოგვისმენს. მას ფეხბურთი უყვარს. „ჩელსი" მისთვის თოჯინა არ არის. ერთადერთი, რაც დღეს აბრამოვიჩის კაბინეტს აკლია, ჩემპიონთა თასია".*

# ბენ არფა ბრუნდება

**ჰატემ ბენ არფა** „ნიუკასლის" საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშს შეუდგა. არადა, იმ კოშმარული ტრავმის შემდეგ, რომელიც „მანჩესტერ სიტის" ჰოლანდიელმა გლადიატორმა **ნაიჯელ დე იონგმა** მიაყენა, კინაღამ ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

24 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა ნახევარი წელიწადი მკურნალობას მოანდომა. ის ამბობს:

*„კარიერას ვკარგავდი. ძალიან შევშინდი. ნოემბერში მეორე ოპერაცია დამჭირდა, რადგან ექიმებს ინფექცია გაეპარათ. ყველაფერმა მეტისმეტად სახიფათო მასშტაბები მიიღო. ექიმები მალე რომ არ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა, ფეხი გამიხდებოდა მოსაკვეთი.*

*დღეს ბედნიერი ვარ, რადგან კვლავ ფეხბურთელი ვარ და მოედანზე დასაბრუნებლად ვემზადები. როდესაც ჩემი ტრავმის ფოტოებს ვუყურებ, ცუდად ვხდები. ეს სურათები დაახლოებით ასჯერ მაქვს ნანახი. დე იონგმა მესიჯი მომწერა, მაგრამ ინგლისური კარგად არ ვიცი და ამიტომ ყველაფერი ვერ გავიგე. თუმცა, მივხვდი, რასაც მეუბნებოდა: განზრახ არაფერი გამიკეთებია და მაპატიეო. მე არ გავებუტე. პასუხად მივწერე, რომ ეს ფეხბურთია, ფეხბურთში კი ასეთი რამ ხდება, თუმცა აუცილებლად დავძენ, რომ მსაჯობას მიხედვა სჭირდება. იმ შემზარავ ეპიზოდში, წითელ ბარათს თავი დავანებოთ, არბიტრმა ჩვეულებრივი ჯარიმაც კი არ დანიშნა. საერთოდ არ დაუსტვენია. ისე არ გამიგოთ, რომ ჯოხის გადატეხა მსაჯებზე მინდა, მაგრამ ფეხბურთელებს დაცვა სჭირდებათ და ამისათვის რამე უნდა იღონონ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● იუვენტუსი

# ზაფხულზე ქალბატონს სპალეტი ჩაიბარებს

სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" იტალიელი თავკაცი **ლუჩანო სპალეტი** მომავალი სეზონიდან "იუვენტუსს" ჩაიბარებს. ასეთი სპეკულაციები გაჩნდა გუშინ რუსულ ვებგვერდებზე. მათი მტკიცებით, ტურინელები მოლაპარაკებათა პროცესს უახლოეს 1 თვეში დაასრულებენ, რათა ზაფხულისთვის თავი მშვიდად დაიგულონ და სწორედ 52 წლის სპეციალისტთან ერთად დაგეგმონ ახალი სეზონი. *"ლუჩანომ უკვე გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება,* - განუცხადა ჟურნალისტს ერთ-ერთმა იტალიელმა აგენტმა. *– ვერ ვიტყვი, რომ მას "ზენიტში" რამე არ აკმაყოფილებს, მაგრამ ისეთი კლუბისგან სამსახურის შეთავაზება, როგორიც "იუვენტუსია", იშვიათი შანსია და მასზე უარს ბევრი ვერ იტყვის. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში შედარებით მცირე ანაზღაურებას სთავაზობენ, მან ეს გადაწყვეტილება მაინც მიიღო. გარწმუნებთ, "იუვეს" ბოსები მოლაპარაკებათა პროცესს მალე ზენიტელ კოლეგებთანაც დაიწყებენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კომპრომისი მალე მოინახება. "ქალბატონის" ხელმძღვანელების აზრით, ლუიჯი დელ ნერის თანამდებობაზე უკეთესი ალტერნატივის მოძებნა უბრალოდ შეუძლებელია. მათ მშვენივრად ახსოვთ ლუჩანოს შედეგიანი მუშაობა "რომაში" და დარწმუნებულნი არიან, რომ ის წარმატებებს მათთანაც მიაღწევს".*



ყოველივე ამის შემდეგ ჟურნალისტები სპალეტის დაუკავშირდნენ და კომენტარი სთხოვეს. ის თავდაპირველად შეეცადა თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხებისთვის, თუმცა შემდეგ განაცხადა, რომ ეს ხმები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და რომ ის მთლიანად "ზენიტზეა" კონცენტრირებული. *"არანაირი წინადადება "იუვენტუსისგან" არ მქონია,* - განაცხადა სპალეტიმ. *– არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩემი ფიქრები ახლანდელ კლუბს დასტრიალებს თავს".*

ასეთი უარის მიღების მიუხედავად ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ახალი წლის შემდეგ ის უკვე იმყოფებოდა იტალიაში, სადაც "ბიანკონერის" წარმომადგენლებს შეხვდა და სავარაუდოდ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდიც სწორედ მაშინ გაიმართა. იანვარში მისი გადაბირება "ინტერსაც" უნდოდა, თუმცა "ნერაძურიმ" **ლეონარდოსთან** მოლაპარაკება მალე მოახერხა და სპალეტის კანდიდატურა ამიტომ მოიხსნა დღის წესრიგიდან. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს "ზენიტის" წარმომადგენლებმა.

თემის დასასრულს გეტყვით, რომ სპალეტისა და "ზენიტს" შორის ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის იანვარში გასდის.

"რომასთან" გასვლით შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტები "იუვენტუსის" რომაელ ნახევარმცველ **ალბერტო აკვილანის** მიადგნენ და გამოჰკითხეს, თუ რას გრძნობდა ის მშობლიურ ქალაქში მისი აღმზრდელი კლუბის წინააღმდეგ თამაშისას. გეტყვით, რომ ალბერტომ ფეხბურთის თამაში "რომას" საფეხბურთო სკოლაში დაიწყო და პროფესიული კარიერის დიდი ეტაპიც იქ გაატარა. ის 2009 წელს 20 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ "ლივერპულში" გადავიდა, სადაც აშკარად ვერ გაამართლა და იჯარის წესით სათამაშოდ სამშობლოში დაბრუნდა. აი, რა განუცხადა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს: *"თამაშამდე ტოტისა და დე როსის კარგა ხანს ვესაუბრე. დავურეკე სხვა ყოფილ თანაგუნდელებსაც. "ოლიმპიკოზე" ასპარეზობა ჩემთვის განსაკუთრებული ემოციაა, თუმცა დაიწყო თუ არა შეხვედრა, ეს გრძნობა სადღაც გაქრა და თავში მხოლოდ "იუვეს" ინტერესები მიტრიალებდა. ყველანი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, რომ კარგად გვეთამაშა და ეს მოვახერხეთ კიდეც. მოგებამ ყოველ ჩვენგანს განუმეორებელი სიხარული მიანიჭა. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ ყოველ დარჩენილ შეხვედრას ასეთი განწყობით შევხვდეთ და ყოველი ამოცანა წარმატებით გადავჭრათ. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ზაფხულში ყველაფერი გაირკვევა. იმედია, ისევ "ბიანკონერის" დავუბრუნდები, კლუბს, რომელმაც იტალიაში თამაშისა და ნაკრებში დაბრუნების შანსი მომცა".*

● მილანი



ინტერის გამო ექსმილანელ ლეონარდოს ფანებმა იუდა უწოდეს

# კასანო ბოდიშს იხდის

"მილანის" თავდამსხმელმა **ანტონიო კასანომ** გუნდის გულშემატკივრებს მიმართა და "ინტერთან" მატჩისას გაძევებისთვის ბოდიში მოუხადა. *"ყველაფერი ძალიან სულელურად გამოვიდა. გოლი რომ გავიტანე, ემოციებს ავყევი და მაისურა გავიხადე, რის გამოც პირველი ყვითელი დავიმსახურე, შემდეგ თამაშის წესები უაზროდ დავარღვიე და მეორე ბარათი მივიღე. მესმის, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა და ვაღიარებ, რომ მკაცრი საყვედური მეკუთვნის. ასეთი სისულელეები მე ადრეც ჩამიდენია და ახლაც ჩავიდინე. იმედია, სამომავლოდ მაინც გავითვალისწინებ ჩემს შეცდომებს და უფრო თავშეკავებული გავხდები. თუმცა სადღაც გულის სიღრმეში მაინც მიხარია, რომ მილანურ დერბიში თავის გამოჩენა შევძელი. თანაც ჩემთვის ეს მე-5 გოლი იყო, რომელიც სხვადასხვა ქალაქის დერბებში გავიტანე,"* – განაცხადა ანტონიო კასანომ.

ფედერკალჩომ "მილანი" თან დააჯარიმა და თან დაინდო. "როსონერის" ფანების მიერ მოწყობილი "ლაზერული შოუ" და **ლეონარდოს** შეურაცხმყოფელი ბანერი სულ რაღაც 20 ათასი ევრო დაუჯდება. "მილანის" ფანებმა მატჩის მე-16 წუთზე **ვესლი სნეიდერის** მიერ ჯარიმის შესრულების დროს მასა და ლეონარდოს ლაზერული სხივები პირდაპირ სახეზე მიუშვირეს. გარდა ამისა, მათ "ინტერის" ბრაზილიელ მწვრთნელს უზარმაზარი ბანერი გადმოუფინეს, სადაც ის იუდას როლში ჰყავდათ გამოყვანილი. ბუნებრივია, ისეთი ღრმად მორწმუნე ადამიანისთვის, როგორიც ლეონარდოა, ეს ერთობ მიუღებელი გამოდგა. იტალიის პროფესიულმა ლიგამაც ასე მიიჩნია და საერთო ჯამში ორივე ინციდენტისთვის კლუბი ზემოთ აღნიშნული თანხით დააჯარიმა.

● დანიშვნა

# პარმა კოლომბას ჩააბარეს

"პარმამ" კვირას შინ "ბარისთან" 1:2-ზე წაგებული მატჩის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლა **პასკუალე მარინო** და მის ადგილას გუშინ საღამოს **ფრანკო კოლომბა** დანიშნა. ემილიელებმა ახალ თავკაცთან კონტრაქტი ჯერჯერობით სეზონის დასრულებამდე გააფორმეს. კლუბმა შუადღეზე მისი წარდგენა მოაწყო ჟურნალისტთა წინაშე. კოლომბამ გუნდს გუშინ უკვე უხელმძღვანელა პირველ ვარჯიშზე. აი, რა განაცხადა ახალმა თავკაცმა პირველივე პრესკონფერენციაზე: *"ჩვენ წინაშე ამწუთას ერთადერთი ამოცანა დგას, შევინარჩუნოთ ადგილი იტალიის საფეხბურთო ელიტაში. შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ "პარმა" სერიოზული კლუბია, რომელიც კვალიფიციური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ამის მიუხედავად, გუნდი ამჟამად რთულ ვითარებაშია. ჩემთვის პატივი იყო "ბოლონიაში" მუშაობა და ასეა ახლაც. ამწუთას "პარმას" კონკრეტულ პრობლემებზე ლაპარაკი შეიძლება ნაადრევი იყოს, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთელებს ერთიანობის განცდა აკლიათ - მათ უნდა დაიჯერონ საკუთარი თანაგუნდელების და ბოლომდე იბრძოლონ,"* – თქვა მან.

კოლომბას საკმაოდ რთული დებიუტი ელის, "ლაციოსთან" "სტადიო ოლიმპიკოზე". წინა სეზონში სწორედ მან დატოვა "ბოლონია" სერია A-ში, თუმცა ამის მიუხედავად ის მაინც გაუშვეს თანამდებობიდან.



● ამბები

## მექსე უფეხბურთოდ 4–6 თვე

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "რომას" ფრანგმა მცველმა **ფილიპ მექსემ** "იუვენტუსთან" (0:2) შეხვედრაში მუხლზე ჯვარედინი იოგები დაიზიანა და ამ მიზეზით ფეხბურთს ჩამოშორდება. მას ოპერაცია ორშაბათსვე გაუკეთეს და ექიმების თქმით, ფეხბურთელი მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 6 თვე ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.

## სანტოსში ცვლილებაა

"სანტოსის" მთავარ მწვრთნელად ზეგამოცდილი **მაურისიო რამალიო** დაინიშნა. სეუ მაურისიოს თავისი გუნდები ოთხჯერ გაუჩემპიონებია (სამჯერ "სანპაულუ" 2006, 2007, 2008 წლებში და ერთხელ "ფლუმინენსე" 2010-ში) და **პელეს** მშობლიურ კლუბშიც სწორედ ამისი იმედი აქვთ. სავარაუდოა, რომ ის მწვრთნელის რანგში "სანტოსის" ვარჯიშებს პირველად სწორედ დღეს წარუძღვება. აღსანიშნავია, რომ "ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, რამალიომ დაჟინებით მოითხოვა ხელმძღვანელობისგან **ნეიმარისა** და **განსოს** შენარჩუნება, თუმცა სავარაუდოდ ამის გაკეთება ძალზე გაჭირდება...

## ინგლისური ფეხბურთი უფრო იაფად

ინგლისის საფეხბურთო ლიგამ და მისმა ძველისძველმა პარტნიორმა "სქაი სპორტსმა" ახალი ხელშეკრულება გააფორმეს, რის თანახმადაც, 3 წლის განმავლობაში სატელევიზიო გიგანტი პირველს 195 მილიონ ფუნტს გადაუხდის. ხელშეკრულება ძალაში 2012/13 წლების სეზონიდან შევა. საინტერესოა, რომ ამერიკული კომპანია ინგლისელებს აღნიშნულ პერიოდში მთელი 69 მილიონით ნაკლებს გადაუხდის, ვიდრე მოქმედი კონტრაქტით, რომელიც 2009 წელს გაფორმდა. თუმცა თავის მხრივ მომავალი კონტრაქტის თანხა ბევრად აღემატება 2006 წელს ხელმოწერილ დოკუმენტში გათვალისწინებულს. ეს უკანასკნელიც 3 წელზე იყო გათვლილი და მასში "სულ რაღაც" 109,5 მილიონზე იყო ლაპარაკი. *"მოლაპარაკებები საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივედით, რომ ტელეკომპანიასთან საკმაო დათმობაზე უნდა წავსულიყავით. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი კომპრომისი კლუბების შემოსავლებს პირდაპირ დაეტყობა, იმედია, ისინი მაინც კმაყოფილნი დარჩებიან ახალი ხელშეკრულების პირობებით,"* – განაცხადა საფეხბურთო ლიგის თავკაცმა **გრეგ კლარკმა**.

## ესპანეთი კოპა ამერიკაზე?

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები შეიძლება კოპა ამერიკაზე გაემგზავროს. სამხრეთამერიკული ფეხბურთის მამების გათვლით, იაპონიის ნაკრები სწორედ ევროპელებმა უნდა შეცვალონ. აზიელებმა კოპაზე მონაწილეობა მათ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო იუარეს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა **მიგელ ანხელ ვილიარმა** აღნიშნული ცნობა დაადასტურა. *"დიახ, არგენტინაში გამგზავრების წინადადება მართლა მივიღეთ. ვფიქრობ, ყველაზე გვიან მომავალ კვირაში მათ შემოთავაზებას განვიხილავთ და პასუხსაც გავცემთ. ჩვენი გადაწყვეტილება დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ამაზე ლაპარაკისგან თავს შევიკავებ. მე მხოლოდ იმის გარანტიას გაძლევთ, რომ ამ საკითხს ფედერაციის სხდომაზე გავიტან,"* – თქვა ვილიარმა.

თუკი ესპანელები ამ წინადადებას დათანხმდებიან, მათ ჯგუფში არგენტინასთან, ბოლივიასა და კოლუმბიასთან დაპირისპირება მოუწევთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXX ტურის მიმოხილვა

# მკვლელი, როგორც კემპესი

## პიკემ არ იცის, ხელით ითამაშა თუ არა


პოკერის ავტორი რობერტო სოლდადო

**გთავაზობთ** ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის 30-ე ტურის სრულ მიმოხილვას. ტურისას, რომელმაც, ვფიქრობთ, მთავარ კითხვას უპასუხა - ვინ გახდება ჩემპიონი. სეზონის დასრულებამდე 8 ტურით ადრე ხოსეპ გვარდიოლას გუნდი არ ჰგავს იმ კოლექტივს, რომელიც 8-ქულიან უპირატესობას გაანიავებს, თუნდაც მდევარი „რეალი" იყოს...

### ოლტრა ზვარაკად შესწირეს



ჩვენს მიმოხილვას, ტრადიციულად, ორშაბათის მატჩით დავიწყებთ - ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთის გუნდი ბილბაოს „ატლეტიკი" უკიდურეს სამხრეთში ჩავიდა და „ალმერიას" 3:1 მოუგო. ამით ბასკებმა ევროთასებისთვის ბრძოლა განაგრძეს. არადა, თავიდან აუტსაიდერი **პაბლო პიატის** გოლის წყალობით დაწინაურდა. „ლომები" აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, ამიტომაც საკვირველი არაა, რომ მალე **იკერ მუნიაინმა** ახლო მანძილიდან გაათანაბრა. მეორე ტაიმში კი ჯერ **ფერნანდო ლორენტეს** პასით **გაიზკა ტოკერომ** დააწინაურა ბასკები, შემდეგ **პაბლო ორბაისმა** შორეული დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. „ალმერია" უკვე 4 ქულით ჩამორჩება გადარჩენის ზონას, ანდალუსიური კლუბი გავარდნის პირასაა.

ეს მატჩი ბოლო გამოდგა **ხოსე ლუის ოლტრას** ალმერიულ კარიერაში - ნოემბერში დანიშნული თავკაცი (მან მაშინ **ხუან მანუელ ლილო** შეცვალა) „ბილბაოსთან" ნაგებისთვის მოხსნეს. ოლტრამ 18 თამაშში 4 მოგებას მიაღწია და „ალმერიას" „ყულაბა" 17 ქულით შეავსო. მისი ყველაზე დიდი მიღწევა გუნდის ესპანეთის თასის ნახევარფინალში გაყვანაა. „ალმერიას" „კამპ ნოუზე" ვიზიტამდე ახალი მწვრთნელი ეყოლება.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

Goal.com (3-4-3)

**მეკარე**

**ხუან პაბლო** (სპორტინგი, 1): „სანტიაგო ბერნაბეუზე" კარის „მშრალად" შენახვა ძალზე რთული საქმეა. ალბათ, გახსოვთ, თუ რა ხდებოდა ხუან პაბლოს კართან ბოლო წუთებში, ასტურიელთა გოლკიპერის არ შეგშურდებოდათ - გაცოფებული „რეალი" შტურმზე გადავიდა, მაგრამ მეკარემ გაძლო, ისევე როგორც მთელმა „სპორტინგმა".

**მცველები**

**სერხიო ბალესტეროსი** (ლევანტე, 3): ვეტერანი მცველი ლოგიკას ებრძვის, ისევე როგორც მისი გუნდი 2011 წელს - ის შესაძლოა ველარ დარბის სათანადოდ, წონის პრობლემაც აწუხებს (აშკარად), მაგრამ ბალესტეროსი „ლევანტეს" სული და გულია. ის ნამდვილი ლიდერი და დაცვის ხაზის შემდუღაბებელია. „მალაგას" 3:1 დამარცხების შემდეგ, „ლევანტემ" ჩემპიონატის ზედა ნახევარში აინაცვლა.

**ალბერტო ბოტია** (სპორტინგი, 2): „ბარსელონას" ყოფილმა ფეხბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა მისი საჩემპიონო შანსების გაზრდაში. ბოტია კედელივით იდგა დაცვაში, ბოლო წუთზე კი კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი და მოურინიოს 9-წლიანი რეკორდის დამხობა გაუფორმა.

**ჟერარდ პიკე** (ბარსელონა, 3): „ბარსას" ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ „რეალის" წაგების შემდეგ „ვილიარეალთან" გამარჯვება მათ თითქმის მოუტანდა ჩემპიონობას. ეს კი ჟერარდ პიკემ შეძლო, მცველმა გოლი გაიტანა, რომელიც, შესაძლოა, ჩემპიონატში გადამწყვეტი გახდეს.

**ნახევარმცველები**

**როისტონ დრენტე** (ერკულესი, 3): დრენტე „ერკულესში" ხელახლა დაიბადა. გუნდში მწვრთნელის გამოცვლა წაადგა ჰოლანდიელს, მას უკვე ენდობიან. ბასკთა ქვეყნის შიგ გულში, სან სებასტიანში დრენტემ 2 გოლი გაიტანა და „ერკულესს" პრიმერაში ადგილის შენარჩუნების შანსი გაუზარდა.

**ხუან მატა** (ვალენსია, 1): მართალია, „ხეტაფესთან" მატჩში ოვაციები მისმა თანაგუნდელმა რობერტო სოლდადომ დაიმსახურა, მაგრამ რომ არა მატა, სოლდადოს გაბრწყინება არ შედგებოდა - მის ანგარიშზე ორი საგოლე პასი და კრეატიული თამაშია.

**ხავიერ მასკერანო** (ბარსელონა, 3): არგენტინელს წაადგა ბუსკეტსის დაცვაში დახევა, ის სასტარტოში ხვდება და ამტკიცებს, რომ „ბარსელონას" მისი იმედი ტყუილად არ აქვს. კარგი იყო ართმევაში და შეტევების წამოწყებაშიც.

**ხუანფრანი** (ატლეტიკო, 1): ის პირველად არის ჩვენს სიმბოლურ ნაკრებში - ყოფილი გუნდის წინააღმდეგ (ზამთრამდე ხუანფრანი „ოსასუნაში" თამაშობდა) დიდებულად გაისარჯა. დიეგო კოშტას ორი საგოლე პასი მიაწოდა.

**თავდამსხმელები**

**იკერ მუნიაინი** (ბილბაო, 2): „ბილბაომ" „ალმერიასთან" შემტევი ტაქტიკით ითამაშა, ახალგაზრდა გარემარბიც წინ წასწიეს. სწორედ მისმა გოლმა შემოატრიალა შეხვედრის ჩარხი. მუნიაინმა სეზონი ცუდად დაიწყო, თუმცა ახლა უკვე ბრწყინვალედ ათამაშდა.

**რობერტო სოლდადო** (ვალენსია, 3): პოკერის შემსრულებელს სიმბოლურში ადგილი ავტომატურად ეკუთვნის. ამიტომ ბევრი არც გვიფიქრია. აღსანიშნავია, რომ სოლდადო ადრე სწორედ „ხეტაფეში" თამაშობდა, ვის კარშიც შეასრულა კარიერაში პირველი პოკერი. ვფიქრობთ, ამით მან საბოლოოდ დაიმკვიდრა „ვალენსიას" სასტარტოში ადგილი.

**დიეგო კოშტა** (ატლეტიკო, 1): „ვალიადოლიდის" ყოფილმა ფორვარდმა პამპლონაში ჰეთ თრიკი შეასრულა. ერთადერთი, რაც ბრაზილიელს აკლია, სტაბილურობაა.

### ტურის გმირი

**რობერტო სოლდადო** - 30 წუთი და 20 წამი დასჭირდა „ხეტაფეს" ყოფილ ფორვარდს თავისი ყოფილი გუნდის კარში 4 გოლის გასატანად. ეს მან მეორე ტაიმში გააკეთა, როცა „ვალენსია" აგებდა. შეტევის წვერზე სოლდადომ მაღალი კლასის ცენტრფორვარდივით იმოქმედა. წლევანდელ პრიმერაში მას სულ 6 გოლი ჰქონდა გატანილი, ნახევარ საათში კი კიდევ 4 დაამატა. „ვალენსიას" ბოლო ფეხბურთელი, რომელმაც 3 გოლზე მეტის გატანა ერთ თამაშში შეძლო, იყო ლეგენდარული არგენტინელი **მარიო კემპესი** (1977/78 წლების სეზონში).

აქვე შეგახსენებთ, ამ სეზონში ერთი პოკერი უკვე იყო - კრიშტიანო რონალდომ „მალაგას" გაუტანა 7:0 დასრულებულ შეხვედრაში.

### ტურის ფრაზები

*„რეალს" თასის ფინალშიც 5:0-ს მოვუგებთ"*, - **სანდრო როსელი** („ბარსელონას" პრეზიდენტი).

*„მე შემეძლო მეთქვა, რომ 5:0-ს კი არა, 60:0-ს მოვუგებთ, მას კი არა"*, - ხოსეპ გვარდიოლა როსელის გამონათქვამზე.

*„ჩვენ არ გვსურდა ვინმესთვის შეურაცხყოფა მიგვეყენებინა. ბოდიში, ასე არ უნდა მეთქვა"* - ისევ სანდრო როსელი.

*„ეს ჩემი პირველი პოკორია კარიერაში. სამწუხაროდ, ეს „ხეტაფესთან" მატჩში მოხდა"* - რობერტო სოლდადო „ხეტაფესთან" (თავის ყოფილ გუნდთან) 4:2 მოგების შემდეგ.

*„მადრიდში უხარიათ, პამპლონაში კი იგინებიან - აი, ერთადერთი, რასაც აქვს მნიშვნელობა"* - **ხოსე ლუის მენდილიბარი** („ოსასუნა") „ატლეტიკოსთან" 2:3 მარცხის შემდეგ.

*„ჩვენ წავაგეთ პრიმერას სეზონის მეორე ნახევრის საუკეთესო გუნდთან, „ბარსასა" და „რეალის" შემდეგ"* - „მალაგას" მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** „ლევანტესთან" მარცხის შემდეგ.

*„არასოდეს ცხოვრებაში არ მილაპარაკია შესვენებაზე გასახდელში ასე ცოტა, როგორც დღეს"* - „რასინგის" თავკაცი **მარსელინო** „ესპანიოლთან" 2:1 გამარჯვების შემდეგ (შესვენებისთვის „რასინგი 0:1-ს აგებდა).

*„ჩვენ რაკიტიჩი გვყავს, ჩვენ უკვე ვოცნებობთ მე-4 ადგილზე"*, - **გრეგორიო მანსანო** („სევილია"), მას შემდეგ, რაც **ივან რაკიტიჩმა** „სარაგოსასთან" მატჩში მასტერკლასი ჩაატარა.

*„ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ არ ვიცი, წავალ და ტელევიზორში ვნახავ"*, - ჟერარდ პიკე, მას შემდეგ, რაც ჰკითხეს, შემთხვევით, ხელით ხომ არ ჩამოიღე ბურთი გოლის გატანისას.

### ტურის მსხვერპლნი

**ჟერემი მატიო**: „ვალენსიას" ფრანგმა მცველმა გულ-მკერდში მწვავე ტკივილი იგრძნო და ის სასწრაფოდ ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც მთელი ღამე გაატარა.

**დავიდ გარსია**: „ესპანიოლის" მცველმა „რასინგთან" ბარძაყის მე-2 კატეგორიის დაზიანება მიიღო და 6 კვირას გამოტოვებს.

**მარკუს როზენბერგი**: „რასინგის" შვედი ფორვარდი თამაშის შემდეგ ვარჯიშზე დაშავდა და 1 თვეს დაისვენებს.

XXX ტურის სიმბოლური ნაკრები





ხავიერ პორტილიოს გოლი

### პირველად... 2008 წლის შემდეგ

„ერკულესის" ფორვარდმა **ხავიერ პორტილიომ** 2008 წლის შემდეგ პირველად გაიტანა პრიმერადივიზიონის მატჩში. მან „რეალ სოსიედადს" გაუტანა. სხვათა შორის, **მიროსლავ ჯუკიჩის** გუნდმა სექტემბრის შემდეგ სტუმრად პირველად გაიტანა. ხავიერ პორტილიო 29 წლისაა, ის „რეალის" აკადემიის აღზრდილია. სხვათა შორის, იქ მან რაულის რეკორდი დაამხო და 150-ზე მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ დიდ „რეალში" პორტილიომ ვერ გაამართლა, ჯამში სულ 6 გოლი გაიტანა. „რეალის" გარდა პორტილიოს „ფიორენტინაში", „ბრიუგეში", „ხიმნასტიკში" და „ოსასუნაში" უთამაშია.

### პირველად... სასტარტოში



**19 წლის ტიაგო ალკანტარამ** ლა ლიგაში პირველად ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში, თანაც როგორ მატჩში! ტიაგო „ვილიარეალთან" გასვლით შეხვედრაში დისკვალიფიცირებულ ჩავის ცვლიდა. მან 136 პასი გააკეთა, ყველაზე მეტი მინდორზე მყოფთა შორის. ვინც არ იცის ვეტყვით, სხვებს შევახსენებთ - ტიაგო ალკანტარა ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონის, **მაზინიოს** ვაჟია. ის იტალიის ქალაქ ბარიში დაიბადა, სადაც იმ დროისთვის მაზინიო თამაშობდა. მისი უმცროსი ძმა **რაფინია** „ბარსას" სარეზერვო გუნდის ფეხბურთელია, ორივე ესპანეთის მოქალაქეა და ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშობს. ასე რომ, ტიაგო ალკანტარა **ოთარ გაბელიას** გუნდის მეტოქეა.

**ლეო VS რონალდო დუელი 30 ...კი არ შედგა.**

**ტურის სტატისტიკა**

35 გოლი, 3,5 გოლი თამაშში

3 მატჩი მოიგეს მასპინძლებმა, 7 სტუმრებმა (ფრე არ ყოფილა)

52 ყვითელი ბარათი, 2 წითელი ბარათი

**ყველაზე მეტი მაყურებელი:**
სანტიაგო ბერნაბეუ, 77 000
**ყველაზე ნაკლები მაყურებელი:**
მედიტერანეო, 10 564
**ყველაზე მეტი დარტყმა კარში:**
13 - რეალი
**ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ:**
33 - რეალი
**ყველაზე მეტი ჯარიმა:** 26 - რასინგი
**ყველაზე მეტი კუთხური:** 10 - რეალი
**ყველაზე მეტი თამაშგარე:**
6 - რეალ სოსიედადი
**ყველაზე დიდი ბურთის ფლობის %:**
72 - რეალი

**ტოპ-10 დონ ბალონის მიხედვით**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლეო მესი | ბარსელონა | 203 (27) | 7,52 |
| 2. კრ. რონალდო | რეალი | 194 (27) | 7,19 |
| 3. ჯუზეპე როსი | ვილიარეალი | 200 (28) | 7,14 |
| 4. ანდრეს ინიესტა | ბარსელონა | 210 (30) | 7,00 |
| 5. ბორხა ვალერო | ვილიარეალი | 196 (28) | 7,00 |
| 6. სანტი კასორლა | ვილიარეალი | 202 (29) | 6,97 |
| 7. დიეგო ალვესი | ალმერია | 206 (30) | 6,87 |
| 8. დანი ალვესი | ბარსელონა | 183 (27) | 6,78 |
| 9. ხოსე რეიესი | ატლეტიკო | 182 (27) | 6,74 |
| 10. ჩავი | ბარსელონა | 167 (25) | 6,68 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ეპოქალური დუელი: აქეთ კარლო, იქით ფერგი

## პრემიერლიგის სუპერჯახი ჩემპიონთა ლიგაში, პირველი რაუნდი

**1/4 ფინალი. პირველი მატჩი**

**ჩელსი (ინგლისი) VS მანჩესტერი (ინგლისი)**

6 აპრილი. ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი - ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი, მალუდა - დროგბა, ანელკა.

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ფაბიო და სილვა, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა - ნანი, ქერიკი, სქოულზი, გიგზი - რუნი, ერნანდესი.

**მსაჯი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

„ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" უმძაფრესი დუელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ცენტრალური მატჩია - დაპირისპირება, რომელსაც მთელ ევროპაში, განსაკუთრებით კი ინგლისში, მოუთმენლად ელოდებიან. მარტო ის ფაქტი, რომ პრემიერლიგა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ყველაზე მეტი, სამი გუნდითაა წარმოდგენილი, ინგლისისთვის უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფინალი ლონდონში გაიმართება. ამთავითვე ვიცით, რომ ინგლისურ ფეხბურთს ნახევარფინალში აუცილებლად ეყოლება მინიმუმ ერთი გუნდი და ეს ან „ჩელსი" იქნება, ანაც „მანჩესტერ იუნაიტედი".

„არისტოკრატებისა" და მანკუნიანელების პირველი დუელი ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე" შედგება და ეს დაპირისპირება არაერთ დამაინტრიგებელ მოგონებას აღძრავს. პირველი, რაც გვახსენდება, ჩემპიონთა ლიგის 2008 წლის ფინალია, რომელიც მოსკოვში გაიმართა და რომელიც „იუნაიტედმა" პენალტების სერიით მოიგო. გვახსენდება, როგორც დაუცდა **ჯონ ტერის** ფეხი თერთმეტმეტრიანის დარტყმისას, რამაც მანჩესტერელთა ტრიუმფი სრული ყო. გვახსენდება „ჩელსისა" და „მანჩესტერის" რამდენიმე კვირის წინანდელი დუელიც, რომელშიც ლონდონელებს ძალიან გაუმართლათ და 2:1 გაიმარჯვეს - იმ მატჩს **სერ ალექს ფერგიუსონის** განრისხება და მსაჯებთან ჩხუბი მოჰყვა.

ცალკე სალაპარაკო თემაა მწვრთნელების დაპირისპირება: **კარლო ანჩელოტი** ფერგიუსონის წინააღმდეგ. როგორც ერთი, ასევე მეორე, ჩემპიონთა ლიგის სპეციალისტებად მიიჩნევიან და მართალია, ფერგიუსონმა „მანჩესტერში" გაცილებით დიდი და განუმეორებელი ეპოქა შექმნა, მაგრამ არც ანჩელოტის მილანური ეპოქაა ხელწამოსაკრავი მიღწევა. მთავარი კი ისაა, რომ კარლიტოსაც და სერ ალექსსაც, ჩემპიონთა ლიგა ორ-ორჯერ აქვთ მოგებული.

*„მანჩესტერთან" ორი განსაკუთრებული დუელი გველის. შეუძლებელია, გამარჯვებული ერთმა მატჩმა გამოავლინოს, ორი შეხვედრის ჯამში კი, წარმატებას ის გუნდი მიაღწევს, რომელიც მოცემული მომენტისთვის უკეთ მომზადებული და უფრო მოტივირებული იქნება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ასეთი „ჩელსი" იყოს,"* - ეს ანჩელოტის სიტყვებია და ჩვენ ვიცით, რომ კარლიტოს ძალიან კარგად ეხერხება გუნდის ერთი კონკრეტული, სეზონის უმნიშვნელოვანესი თამაშისთვის კარგად მომზადება.



**კარლო ანჩელოტი და სერ ალექს ფერგიუსონი: დღეს დიდი დუელის პირველი რაუნდია**

ფერგიუსონი მატჩის წინ უფრო კონკრეტულად საუბრობს. მისი თქმით, *„მანჩესტერმა" დღესვე უნდა მიაღწიოს ისეთ შედეგს, რომელიც მას საპასუხო მატჩის წინ უპირატესობას მიანიჭებს. გვაძლევს, თუ არა ხელს ლონდონში ფრე? არ მაწყობს! თუ ნახევარფინალში გასვლა გვინდა, „სტემფორდ ბრიჯზეც" მხოლოდ მოგებაზე უნდა ვიფიქროთ,"* - თქვა ფერგიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ერთი სიტყვით, ინტრიგა უდიდესია და ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ თამაშის დაწყებას დაველოდოთ. დღევანდელი შეხვედრის წინ, სტატისტიკა „ჩელსის" სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან „მანჩესტერს" „სტემფორდ ბრიჯზე" 2002 წლის აპრილის შემდეგ არ მოუგია. რაც შეეხება პრემიერლიგაში გამართულ ბოლო შეხვედრებს: „ჩელსიმ" „სტოკთან" მხოლოდ 1:1 ითამაშა და ფრის მიღწევაც გაუჭირდა, „მანჩესტერი" კი „ვესტ ჰემთან" 0:2-ს აგებდა და საბოლოოდ, 4:2 მოიგო, რის შემდეგაც, ფერგიუსონის გუნდი ძალიან ახლოსაა ინგლისის მორიგ, „იუნაიტედისთვის" რიგით მე-19 ჩემპიონობასთან.

საინტერესოა, ვის ათამაშებს ანჩელოტი თავდასხმაში. გამორიცხული არაა, რომ კარლიტომ **ნიკოლა ანელკას** ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში **ფერნანდო ტორესი** გაამწესოს. მართალია, ეს უკანასკნელი არ არის კარგ ფორმაში, მაგრამ მაინც ტორესია და მან იცის, როგორ უნდა გაუტანოს გოლი „მანჩესტერ იუნაიტედს". ლოგიკურად კი, ანჩელოტიმ ესპანელ გოლეადორს ფრანგი ანელკა უნდა ამჯობინოს. შეგახსენებთ, რომ „ბენფიკადან" ნაყიდ ცენტრალურ მცველ **დავიდ ლუისს** ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის" ფორმით თამაშის უფლება არ აქვს.

„მანჩესტერის" დაცვის ბურჯმა **რიო ფერდინანდმა** ვარჯიში განაახლა და გამორიცხული არაა, რომ ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ, რაც „ჩელსისთვის" ცუდი სიურპრიზი იქნებოდა. თუ ფერგიუსონის რიოს სასტარტოში გამწესებას ვერ გარისკავს, **ნემანია ვიდიჩის** გვერდით ისევ **სმოლინგს** ათამაშებს. ნახევარდაცვის ცენტრში ფერგიუსონი ალბათ ისევ **სქოულზსა** და **ქერიკს** ენდობა, თუმცა არის **ფლეტჩერის**, **ანდერსონისა** და **გიბსონის** ალტერნატივებიც. თავდასხმაში, **უეინ რუნისა** და „ჩიჩარიტოს" წყვილს წყალი არ გაუვა, სათადარიგოთა სკამზე კი, სერ ალექსს **დიმიტარ ბერბაროვი** ჰყავს, რომელსაც „იუნაიტედის" წინა ხაზის გაძლიერება ნებისმიერ დროს შეეძლება.

# მესი ისევ სკამზე?

## გვარდიოლამ იცის: შახტარი ხათაბალაა!

**1/4 ფინალი. პირველი მატჩი**

**ბარსელონა (ესპანეთი) VS შახტარი (უკრაინა)**

6 აპრილი. ბარსელონა. კამპ ნოუ. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, ბუსკეტსი, პიკე, ადრიანო - ჩავი, მასკერანო, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი - მხითარიანი, ჰიუბშმანი - დუგლას კოშტა, ჟადსონი, ვილიანი - ლუის ადრიანო.

**მსაჯი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

მართალია, დონეცკის „შახტარი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში პირველად გავიდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ უკრაინულმა გრანდმა მერვედფინალში იტალიური „რომა" საკმაოდ მარტივად გააგდო, მხოლოდ რომაელებისთვის (თანაც, არა ყველასთვის) იყო სენსაცია. მირჩა ლუჩესკუს „შახტარი" ძალიან აზრიან და საკმაოდ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, სადაც ბრაზილიური წინა ხაზი უსწრაფესი და თანაც, კრეატიული კონტრშეტევების გარანტიაა. არცაა გასაკვირი, „ბარსელონას" თავკაცმა **პეპ გვარდიოლამ** მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის წილისყრის შემდეგ რომ თქვა, „შახტარი" ჩვენთვის სასურველი მეტოქე ნამდვილად არ იყოო. მართალია, გვარდიოლას დიპლომატია არ ეშლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დონეცკური კლუბი თვით „ბარსასთვისაც" არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე.

კატალონიურ სუპერგრანდს საკმაოდ ბევრი საკადრო პრობლემა ჰქონდა და დღევანდელ შეხვედრაში **ლეო მესის** ასპარეზობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, მაგრამ პრობლემების უმრავლესობა მოგვარებულია. მაგალითად, **მაქსველმა** და **პედრომ** ორშაბათს სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლეს, დაცვის ბურჯი **კარლეს პუიოლიც** ნელ-ნელა მომჯობინდა, თუმცა დღეს მას სასტარტო შემადგენლობაში არ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება მესის: გვარდიოლამ არგენტინელი „ვილიარეალთან" (1:0 კატალონიელთა სასარგებლოდ) მხოლოდ მეორე ტაიმში ათამაშა და შესაძლოა, მესის ძირითად შემადგენლობაში გამწესება დღესაც ვერ გარისკოს. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, „ბარსელონა" დღეს უპირობო ფავორიტია, „შახტარი" კი აუტსაიდერი.

დონეცკელები უკრაინის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს 12-ქულიანი უპირატესობით ლიდერობენ, გასულ უქმეებზე კი მარიუპოლში 3:1 გაიმარჯვეს - ეს იყო „შახტარის" მე-20 მოგებული თამაში მაშინ, როცა უკრაინის ჩემპიონატში მხოლოდ 23 ტურია გასული. **ლუჩესკუ**



ლიონელ მესი ვილიარეალთან სათადარიგოთა სკამზე იჯდა და თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთო. გვარდიოლამ, ლეოს სასტარტოში გამწესება, შესაძლოა, დღესაც ვერ გარისკოს

შეგირდებს მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოუწოდებს: *„რომას" ბარიერი იმდენად იოლად გადავლახეთ, რომ მეშინოდა, ფეხბურთელები არ მოეშვან-მეთქი, მაგრამ როცა გაირკვა, რომ მეოთხედფინალში ჩვენი მეტოქე „ბარსელონა" იქნებოდა, მას მერე ყველა ჩემი შეგირდი ძალიან მონდომებულია. ასე რომ, კონცენტრაციის პრობლემა არ გვექნება,"* - აცხადებს დონეცკელთა დამრიგებელი.

„ბარსასთან" ორივე დუელში, ყველაზე მოტივირებული მცველი **დმიტრი ჩიგრინსკი** იქნება, რომელიც 2009/2010 წლების სეზონში სწორედ კატალონიური გუნდის ღირსებას იცავდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ისევ უკრაინაში დაბრუნდა. 24 წლის ჩიგრინსკი ამბობს, გული დამწყდა, როცა ბარსელონადან წამოვედი, ეს მსოფლიოში საუკეთესო კლუბიაო.

„შახტარი" „ბარსელონასთვისაც" რომ არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი, ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ დონეცკელებს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში საკუთარ მოედანზე ჩატარებული ოთხივე მატჩი მოგებული აქვთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრანდებიდან მხოლოდ „რომა" კი არა (3:0 დონეცკში), ლონდონის „არსენალიც" დაამარცხეს (ჯგუფურ ეტაპზე, 2:1) და საერთოდ, ჯგუფში ექვსიდან ხუთი თამაში მოიგეს და მერვედფინალში პირველი ადგილით გავიდნენ.

მოკლედ, რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, „ბარსას" „შახტართან" სიფრთხილე მართებს.

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/4 ფინალი. პირველი მატჩები

## 1/4 ფინალი. პირველი მატჩი

**ინტერი (იტალია) 2:5 შალკე (გერმანია)**

5 აპრილი. მილანი. ჯუზეპე მეაცა. 80 000 მაყურებელი

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, რანოკია, კივუ, ძანეტი – სტანკოვიჩი (24. ხარჯა – 62. კორდობა), მოტა (76. ნაგატომო), კამბიასო – სნეიდერი – ეტოო, მილიტო.

**შალკე (4-4-2):** ნოიერი – სარპეი, უჩიდა, ჰიოვედესი, პაპადოპულოსი – ბაუმიოჰანი (76. შმიცი), ხურადო (83. დრაქსლერი), მატიპი, ფარფანი – რაული (87. კარიმი), ედუ.

**გოლები:** 1:0 სტანკოვიჩი (1), 1:1 მატიპი (17), 2:1 მილიტო (34), 2:2 ედუ (40), 2:3 რაული (53), 2:4 რანოკია (57-საკ. კარში), 2:5 ედუ (75).
**გაძევება:** კივუ (62).

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: შალკე | |
| | პირველი კუთხური: ინტერი | |
| | პირველი ჯარიმა: ინტერი | |
| | პირველი გაფრთხილება: ინტერი | |
| 12 (6) | დარტყმა | 15 (11) |
| 8 | ჯარიმა | 19 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 4 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

**არბიტრი:** ატკინსონი (ინგლისი)



## 1/4 ფინალი. პირველი მატჩი

**რეალი (ესპანეთი) 4:0 ტოტენჰემი (ინგლისი)**

5 აპრილი. მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. 70 000 მაყურებელი

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო – ჩაბი ალონსო, ხედირა (61. დიარა) – დი მარია (77. კაკა), იოზილი, რონალდო – ადებაიორი (75. იგუაინი).

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** გომეში – ჩორლუკა (80. ბასონგი), გალასი, დოუსონი, ასუ-ეკოტო – ჯენასი, სანდრო, მოდრიჩი, ბეილი – ვან დერ ვაარტი (46. დეფო) - კრაუჩი.

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (5), 2:0 ადებაიორი (57), 3:0 დი მარია (72), 4:0 რონალდო (87).
**გაძევება:** კრაუჩი (15).

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: რეალი | |
| | პირველი კუთხური: რეალი | |
| | პირველი ჯარიმა: რეალი | |
| | პირველი გაფრთხილება: ტოტენჰემი | |
| 25 (10) | დარტყმა | 4 (1) |
| 10 | ჯარიმა | 10 |
| 9 | კუთხური | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 64% | ბურთის ფლობა | 36% |

**მსაჯი:** ფელიქს ბრიხი



# ლეგენდა და ლეგენდის ყოფილი გუნდი წინ მიიწევენ

## ყველაფერი აქვე გადაწყდა: რეალი და შალკე ნახევარფინალში

ვერაფრით წარმოვიდგენდით თუ იმის დაწერა მოგვიხდებოდა, რომ "შალკემ" პრაქტიკულად პირველივე შეხვედრაში გადაწყვიტა ორმატჩიანი დუელის ბედი. დიახ, თუ სასწაული არ მოხდა, მომდევნო ეტაპზე სწორედ გელზენკირხენული კლუბი გავა და არა იტალიის მოქმედი ჩემპიონი, ევროპული ფეხბურთის აღიარებული გრანდი. არადა, თამაში ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე გაიმართა და ყველა კრიტერიუმით, ფავორიტად სწორედ მილანური გრანდი იყო მიჩნეული. თვითონ **რაულმაც** კი აღიარა, რომ "ინტერი"-"შალკეს" დაპირისპირებაში აშკარა ფავორიტი სწორედ "ნერაძური" გახლდათ. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, 5:2 გერმანელთა სასარგებლოდ და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სტუმრებს კიდევ მართებდათ გოლების გატანა. ალბათ თვითონაც არ დაიჯერეს იმის, რაც მოედანზე ხდებოდა, თორემ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, სხვაობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა.

არადა, "ინტერისთვის" ყველაფერი შესანიშნავად დაიწყო – მასპინძელთა პირველივე იერიშისას, **მანუელ ნოიერი** გამოვიდა კარიდან და ბურთი თავით მოიგერია ცენტრისკენ, იქიდან კი **დეიან სტანკოვიჩმა** გაისროლა უძლიერესად და ულამაზესი გოლის ავტორი შეიქმნა. დასაწყისი მართლაც ფანტასტიკური იყო, თუმცა მალე გამოჩნდა, რომ "ინტერს" დაცვით ფაზაში უჭირს და თანაც ძალიან. **ანდრეა რანოკიასა** და **კრისტიან კივუსგან** შემდგარი დაცვის ცენტრი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, რასაც შუახაზელების უჩვეულოდ ინტერული თამაშიც თან დაერთო. ყველა გოლის აღწერა შორს წაგვიყვანს, ეს საქმე ხვალინდელი ნომრისთვის გადავდოთ – ერთი კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: **ლეონარდო** ემოციური ადამიანია, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი და შესაძლოა შესანიშნავი პიროვნება, მაგრამ ფაქტია, რომ სამწვრთნელო საქმეში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს სასწავლი....

პირველივე შეხვედრაში გადაწყვიტა ორმატჩიანი დუელის ბედი მადრიდის "რეალმაც" – **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა ოთხი უპასუხო ბურთი "მიართვეს" ლონდონის "ტოტენჰემს" და შეუძლიათ მშვიდად მოემზადონ ნახევარფინალებისთვის. ზოგადად, "რეალი" რომ უკეთესი გუნდია, ვიდრე "ტოტენჰემი", ცხადზე ცხადია, მაგრამ ასეთ იოლ გამარჯვებას **პიტერ კრაუჩის** ნაადრევმა წითელმა ბარათმაც შეუწყო ხელი. ინგლისელებმა პრაქტიკულად მთელი შეხვედრა ათი ფეხბურთელით ითამაშეს და რა გასკვირია, რომ მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. სტატისტიკური მონაცემები ყველაფერზე ნათლად მეტყველებს: მადრიდელებმა 25-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით, მაშინ როდესაც სტუმრებმა მხოლოდ ოთხჯერ სცადეს ბედი და იქიდან სამჯერ, სულაც ასცდა ბურთი კარს. მოკლედ, სამეფო კლუბმა დაჯაბნა მეტოქე და სრულიად დამსახურებულად მოიპოვა სოლიდური, გადამწყვეტი უპირატესობა.

უბრალო გულშემატკივრებმა კი ჩვენი ვიკითხოთ, განმეორებით შეხვედრებში ალარაფერია საყურებელი...

**ლაშა წიკლაური**

● განაჩენი



ზანკტ პაულისა და შალკეს მატჩი პარასკევს 88-ე წუთზე შეწყდა

# შალკეს ზანქტ პაულისთან 2:0 ჩაეთვალა

პარასკევს, ბუნდესლიგის 28-ე ტურის პირველი მატჩი „ზანკტ პაულისა" და „შალკეს" შორის 88-ე წუთზე იმის გამო შეწყდა, რომ ლაინსმენს ტრიბუნიდან ლუდის კათხა პირდაპირ თავში მოარტყეს. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთი რჩებოდა, მთავარმა მსაჯმა **დენიზ აითექინმა** მატჩი შეწყვიტა. იმ დროისთვის „შალკე" 2:0-ს იგებდა და თანაც, „ზანკტ პაულის" ორი ფეხბურთელი ჰყავდა გაძევებული. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ განაჩენი გუშინ გამოიტანა: 88-ე წუთისთვის დაფიქსირებული ანგარიში საბოლოო შედეგად გამოცხადდა. კიცელთა პრესმდივნის, **კრისტიან ბიონიგის** თქმით, „ზანკტ პაულის" ხელმძღვანელები სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას ელოდებოდნენ და არ ჰქონდათ იმის ილუზია, რომ მატჩი თავიდან ჩატარდებოდა.

ეს პირველი ვერდიქტია და „ზანკტ პაულის" ხელმძღვანელები ამ დღეებში უარესებსაც უნდა ელოდონ. დიდი შანსია, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის წინაშე მდგარ „პაულის" ამ სეზონში დარჩენილი საშინაო მატჩების ჩატარება ცარიელი ტრიბუნების ფონზე მოუხდეს და გუნდს საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმის გადახდაც დააკისრონ. გერმანიის საფეხბურთო კავშირი „ზანკტ პაულის" საბოლოო განაჩენს ამ კვირის ბოლომდე გამოუტანს.

**გოტფრიდ ლენცი**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნოიერს ბაიერნისთვის სიტყვა მიცემული აქვს?

## მანუელი უარყოფს, მაგრამ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს...



მანუელ ნოიერი

„ბილდის" ინფორმაციით, **მანუელ ნოიერმა** „შალკეს" ხელმძღვანელებს უთხრა, რომ გელზენკირხენულ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს, არსებულ ხელშეკრულებას კი ვადა 2012 წლის ივნისში გასდის. ამავდროულად, გერმანიაში უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, ნოიერს მიუნხენის „ბაიერნისთვის" სიტყვა ჰქონდეს მიცემული, ან სულაც წინასწარი კონტრაქტი ჰქონდეს გაფორმებული.

თვითონ მანუელი ამას უარყოფს, ჩემი კონტრაქტის შესახებ ახალი არაფერიაო და ამას ამბობს „შალკეს" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტიც**. ეს უკანასკნელი გამორიცხავს იმას, რომ ნოიერს „ბაიერნთან" წინასწარი კონტრაქტი ჰქონდეს გაფორმებული. გერმანიის ნაკრების მეკარესთან შეთანხმებას უარყოფენ მიუნხენშიც: „ბაიერნის" მენეჯერ **კრისტიან ნერლინგერის** თქმით, მანუელს რეკორდმაისტერისთვის არც სიტყვიერი პირობა მიუცია.

მიუნხენური გრანდის შეფებს ნოიერთან ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყების უფლება არც აქვთ, რადგან მანუელი „შალკეს" საკუთრებაა და მასთან მხოლოდ მას მერე ექნებათ მოლაპარაკებების დაწყების უფლება, როცა „შალკეს" მოურიგდებიან ან მას მერე, როცა ნოიერი თავისუფალი აგენტი გახდება. გერმანიის საფეხბურთო კავშირის კოდექსის მიხედვით, კლუბს ფეხბურთელთან მოლაპარაკებების დაწყება კონტრაქტის ამოწურვამდე 6 თვით ადრე შეუძლია, ან პირველ რიგში კლუბს უნდა შეუთანხმდეს სატრანსფერო თანხაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს მოთამაშეს. არსებობს გამონაკლისიც და ამ შემთხვევაში, „შალკემ" „ბაიერნს" ნოიერთან მოლაპარაკებების ნება უნდა დართოს.

ჩვენი გერმანელი კოლეგებიც სწორედ ამას ვარაუდობენ. მათი აზრით, ნოიერი დიდი ხანია, „ბაიერნს" მოურიგდა და ეს „შალკეს" ხელმძღვანელებისთვის გვერდის ავლით არ გაუკეთებია. ეჭვებს ისიც აღრმავებს, რომ რეკორდმაისტერის შეფები ჯიუტად ამბობენ, მანუელის ყიდვა გვინდაო – მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის" ფანების დიდი ნაწილი ტრანსფერის კატეგორიული წინააღმდეგია. „ბილდის" ვარაუდით, **ული ჰიონესი** იმიტომაც აგრძელებს ნოიერზე ღიად საუბარს, რომ ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია.

შეგახსენებთ, რომ „შალკეს" ნოიერის სანაცვლოდ ფულის მიღება მხოლოდ ზაფხულში შეუძლია, რადგან 2012 წლის ზაფხულში ბუნდესმეკარე უკვე უფასო იქნება. მანუელ ნოიერი 20 მილიონ ევროდაა შეფასებული.

**გოტფრიდ ლენცი**

● დორტმუნდის ბორუსია

# გიოტცე არ იყიდება!

ორშაბათს, გერმანულ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" უნიჭიერეს ნახევარმცველ **მარიო გიოტცეს** თვალი „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ბარსელონამ" დაადგეს. „ბორუსიას" მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ინგლისური და ესპანური სუპერგრანდების შეფებს გიოტცეზე ოცნებისას წარმატებებს უსურვებს: „ასტრონომიული თანხებიც რომ შემოგვთავაზონ, მარიოს არაფრისდიდებით არ გავყიდით. გიოტცეს ჩვენთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი გაყიდვა წარმოუდგენელია. მარიო ჩვენთან მინიმუმ 2014 წლამდე, მაქსიმუმ კი მთელი კარიერის მანძილზე ითამაშებს," - თქვა გუშინ ვატცკემ.

**გოტფრიდ ლენცი**

ჭიდაობა. პრესკონფერენცია

# მოჭიდავეები პოზიციების დათმობას არ აპირებენ

გერმანიიდან ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებიც დაბრუნდა, რომელიც იქ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდა. მონაგარი ერთი მედალია, თუმცა ოქროსი - ის 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ბორჯომელმა **რევაზ ლაშხმა** მოიპოვა. ამით გუნდმა უჩემპიონობის სამწლიანი ხანა დაასრულა - კონტინენტის პირველობაზე ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა ბოლოს 2007 წელს გაიმარჯვეს, რაც იმხანად ჯერ კიდევ მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** (74) და წინა ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **რამაზ ნოზაძემ** (96) შეძლეს. ჩვენს ფედერაციას, ეროვნულ ნაკრებთა დონეზე ბოლო ევროპული ოქრო თავისუფალ ჭიდაობაში მოასპარეზე **გიორგი გოგშელიძემ** (96) 2008 წელს მოუტანა.

გუშინ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული მედალოსნები, მწვრთნელები და ნაკრებთა ხელმძღვანელები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს. შეხვედრას მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გენაძეც** ესწრებოდნენ. გენაძე გერმანიაშიც იმყოფებოდა კონტინენტის პირველობაზე და პირველი სიტყვაც მან თქვა.

„მინდა, ყველას მოგილოცოთ ეს მართლაც მნიშვნელოვანი წარმატება. ბოლო წლებში გარკვეული სირთულეები იყო ფედერაციაშიც და გუნდებშიც, რადგან მოდიოდა ახალი თაობა და გვინდოდა, ისინი კარგად შერწყმოდნენ ეროვნულ ნაკრებს. ჩვენი მთავარი მიზანი ოლიმპიადაა და გვინდოდა, მთავარი გუნდები მანამდე შევსებულიყვნენ, ჩანაცვლება კანონზომიერად მომხდარიყო. დღევანდელი შედეგი გვაძლევს იმის იმედს, რომ მსოფლიოს მომავალ პირველობაზეც კარგად გამოვალთ და ოლიმპიადაზეც. მსოფლიოს ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იქ ლიცენზიები თამაშდება. ოლიმპიადამდე კიდევ რჩება დრო საიმისოდ, რომ ამ ბიჭებმაც უფრო გაიმყარონ პოზიციები და სხვა პერსპექტიულმა ფალავნებმაც შეძლონ წარმატებით გამოსვლა. ჩვენი დევიზი იყო „ლონდონში უკეთ, ვიდრე - პეკინში", რისი განხორციელებაც ძნელი იქნება, მაგრამ ყველანაირად შევეცდებით. წინა მაჩვენებლის გაუარესება არ გვინდა არც რაოდენობრივად და არც ხარისხობრივად.

ეს შედეგი ბიჭების მაქსიმალურმა მონდომებამ, მწვრთნელთა კორპუსის თავდაუზოგავმა შრომამ და სახელმწიფოს დიდმა დახმარებამ გამოიღო. მინდა, ბატონ მინისტრს დიდი მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა ხელი არ შეგვეშალოს და მომავალში კიდევ უფრო წარმატებით ვიასპარეზოთ. ეს არა მარტო ჩვენი ფედერაციის, არამედ მთელი ქართული სპორტის წარმატებაა" - აღნიშნა გენაძემ.

ვლადიმერ ვარძელაშვილი: „მოგესალმებით და გილოცავთ ყველას ამ წარმატებას. სპორტის სხვა სახეობების გასაგონად მინდა აღვნიშნო, რამ განაპირობა ასეთი შედეგი, თუმცა ჯერ იმას გეტყვით, რომ ოლიმპიადის შემდეგ მსგავსი მიღწევა არ გვქონია. წლის დასაწყისში ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო არა დიდი შედეგები, არამედ ეროვნული ნაკრებების ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბება, რომელსაც ექნებოდა ლონდონის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლის პერსპექტივა, თუმცა ბიჭებისა და მწვრთნელების მონდომებით ასეთ შედეგს მივაღწიეთ. ევროპის ჩემპიონატზე ოთხი მედლის მოპოვება და ისიც სეზონის დასაწყისში კარგი შედეგია, რაც ფედერაციისა და მწვრთნელთა კორპუსის შეთანხმებულმა მუშაობამ განაპირობა. სწორედ ეს მინდა განვაცხადო სხვა სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჰარმონიული თანამშრომლობა. გერმანიაში მოპოვებული წარმატება ჭიდაობის ფედერაციის სწორი მენეჯმენტის, მწვრთნელთა კორპუსისადმი სწორი მიდგომის და ამ კორპუსის გამართული მუშაობის შედეგია. სამწუხაროდ, ყველა ფედერაციაში ასე არაა. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა - მაგალითი აიღონ ჭიდაობის ფედერაციისგან, თუ როგორ უნდა თანამშრომლობდნენ ფედერაცია და მწვრთნელთა კორპუსი. გერმანიაში მოპოვებული მედლები ქვეყნის წარმატებაა, მადლობას კი, პირველ რიგში, მედალოსანთა მწვრთნელებს გადავუხდი. ეს ის ხალხია, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს, რათა სპორტსმენებმა შედეგებს მიაღწიონ. შარშან ძალიან კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ახალგაზრდულ გუნდებს და მისასალმებელია, რომ მათ წარმატებული გამოსვლა წლეულსაც გააგრძელეს უკვე ეროვნულ ნაკრებში. სპორტსმენების შრომას სახელმწიფოც დააფასებს და ყველა პირობას შევუქმნით, რათა მომავალშიც მაღალი შედეგები აჩვენონ. სახელმწიფო მათ პრემიებით დააჯილდოებს, რაც ელემენტარული ყურადღება და მათი გარჯის დაფასება იქნება. მით უფრო, ამ ასაკში ეს უფრო მეტად სტიმულია, რათა მეტი იშრომონ და მეტს მიაღწიონ. რევაზ ლაშხი პრემიად 20 ათასი დოლარის ექვივალენტს მიიღებს, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და დავით მარსაგიშვილი - 15-15 ათასს, ხოლო დავით ხუციშვილი - 10 ათასი დოლარის შესაბამისს. ეს მცირე დახმარებაა, რათა ბიჭებს კიდევ უფრო მეტი მოტივაცია გაუჩნდეთ, მაგრამ გაძლევთ პირობას, შედეგებს თუ გააუმჯობესებთ, უფრო მეტს მიიღებთ. თქვენ გექნებათ ყველანაირი პირობა შექმნილი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადისთვის ნაყოფიერად მოემზადოთ. ასევე აღსანიშნავია ხელფასები - ის თქვენი შრომით და თავდადებით გაგიორმაგდებათ, რაც ასევე დამატებითი მოტივაცია იქნება. სახელმწიფო დააფინანსებს ყველა იმ სპორტსმენს, ვინც კარგად იმუშავებს და შედეგს გვაჩვენებს. კიდევ ერთხელ ვულოცავ სპორტსმენებს ამ გამოსვლას და ვუსურვებ წარმატებებს. თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ საიმისოდ, რომ ლონდონის ოლიმპიადიდან უფრო წარმატებით დაბრუნდეთ, ვიდრე - პეკინიდან".

კახა გენაძემ ისიც აღნიშნა, რომ ასეთ შედეგს ნამდვილად ელოდნენ, რადგან გუნდში მუდამ ჰყავთ კარგი სპორტსმენები, რომლებსაც ოქროს მედლისთვის შეუძლიათ ბრძოლა. მარსაგიშვილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჩვენმა ნაკრებმა ის შეხვედრა კი არ წააგო, არამედ ოქრო წაგვართვეს. თანაც, იმდენად უნამუსოდ, ამას თვითონაც ვერ მალავდნენო. მისი თქმით, იმ შეხვედრის მსაჯები დაუსჯიათ კიდეც, თუმცა ეს ჩვენთვის ახლა ვერაფერი ნუგეშია. ისე, გასაკვირია - მთავარ მსაჯს რას ერჩოდნენ - მას არაფერი დაუშავებია და საბოლოო შედეგით თვითონაც გაკვირვებული დარჩა, შეხვედრის ბედი კი მსაჯთა მაგიდასთან გადაწყდა. ყველაფრის მიუხედავად, გენაძემ მაინც განაცხადა, იმდენს მაინც მივაღწიეთ, პირდაპირ ველარ გვჩაგრავენო!

ბუნებრივია, ფედერაციის პრეზიდენტმა ყველაზე მეტად ევროპის ჩემპიონი ლაშხი შეაქო და ხაზი გაუსვა მისი ჭიდაობის ლამაზ, ქართულ სტილს. თურმე ჩვენებურის გამოსვლა დარბაზსაც ძალიან მოეწონა და ერთგულადაც ქომაგობდა მას.

**რევაზ ლაშხი პრემიად 20 ათას დოლარის ექვივალენტს მიიღებს, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და დავით მარსაგიშვილი - 15-15 ათასს, ხოლო დავით ხუციშვილი - 10 ათასი დოლარის შესაბამისს**



ფოტო: www.msy.gov.ge

**ირაკლი თავაძე**

ქართული ჭიდაობა



# საფალავნო დედა ენა

ბოლო პერიოდში ქართულ ჭიდაობაში კალენდარული შეჯიბრებები ეკონომიკური პირობების გამო ერთი დღეში სრულდებოდა. გასულ უქმეებზე კი საქართველოს ჭაბუკთა (უმცროსი ასაკი) პირველობამ ორ დღეს გასტანა. ეს განაპირობა მონაწილეთა სიმრავლემ და ასპარეზობაც უფრო მოწესრიგებულად წარიმართა.

12-13 წლის ყმაწვილებმა ისეთი ჟინი და შემართება აჩვენეს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, თუ მათ შემდგომშიც სწორ გზაზე დააყენებენ თავიანთი მწვრთნელები, ჩვენს ფალავნებს შესანიშნავი შემცვლელები გამოუჩნდებათ...

აშკარად იგრძნობა ზოგიერთ რაიონში ქართული ჭიდაობისადმი საქმიანი დამოკიდებულება. ესენია: დმანისი, საჩხერე, ფოთი, მესტია. კრიტიკას იმსახურებს სამცხე-ჯავახეთისა და რაჭის რაიონები. ქართულ ჭიდაობას ხომ დიდი ინვესტიცია არ უნდა. გარკვეული ფინანსური წახალისება და შედეგი ორმაგად ანაზღაურდება...

უფროსი ასაკის საქართველოს ჭაბუკთა პირველობის შემდეგ, წლეულს ეს მეორე შეჯიბრებაა ქართულ ჭიდაობაში, სადაც ჩემპიონ-პრიზიორებმა ადრინდელისგან განსხვავებით გამორჩეულად კარგი საჩუქრები დაიმსახურეს ფედერაციისგან.

გავესაუბრეთ ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს **თემურ გიორგაძეს**, რომელმაც თქვა: „სავსებით სწორი და მართებული გადაწყვეტილება იყო, როცა ამას წინათ კვლავ დავაბრუნეთ ქართულ ჭიდაობაში მოკლემკლავიანი საჭიდაო ჩოხები, რომელიც ერთი საუკუნეა, რაც ჩვენს მოჭიდავეებს ამშვენებს ორთაბრძოლებში. ამით ჭიდაობის ხერხები, რომ უფრო ეფექტური და ხშირია, ჭაბუკთა უმცროსი ასაკის ამ შეჯიბრებაზეც აშკარად გამოჩნდა.

ეს ასპარეზობა კარგად იყო ორგანიზებული. მართალია, უპრეტენზიოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ისიც ბოლომდე გაირკვა. მსაჯობასაც დამაკმაყოფილებლად ვაფასებ.

ერთი ხარვეზი რაც თვალში მომხვდა, ხშირი იყო ფეხში ხელით შესვლები, რაც აკრძალულია ქართულ ჭიდაობაში. ამ ხარვეზსაც მწვრთნელებთან ერთად მალე აღმოვფხვრით.

ჩვენი აქცენტები ანი ჭაბუკებზე და ახალგაზრდებზე გაკეთდება. რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს პირველობები უმცროსებს შორის. ვფიქრობთ, ჭაბუკთა გუნდურ პირველობებსაც ხშირად გავმართავთ.

ბოლოს საქართველოს სასკოლო ფესტივალის შესახებ. ჭიდაობის სახეობებიდან ქართული ჭიდაობა ერთადერთია, რომელშიც წლეულს მასშტაბური ფესტივალი ანუ რაიონული, რეგიონული და ფინალური შეჯიბრებები ჩატარდება უამრავი სკოლის მონაწილეობით. ეს კიდევ ერთი სიახლეა ჩვენს ეროვნულ ჭიდაობაში, რომელიც აპრილის ბოლოს დაიწყება და ივლისამდე გასტანს. ამით უფრო მეტად გამოჩნდება, თუ რისი იმედი უნდა გვქონდეს და როგორ უნდა ვიმუშაოთ ახალბედებთან" - დასძინა ფედერაციის პრეზიდენტმა.

ჩვენი აზრით, ქართული ჭიდაობის რუკაზე ცარიელი წერტილი არ უნდა იყოს, როგორც წესი, სპორტის ეს სახეობა, როგორც დედა ენა, ყველა რაიონში, სოფელში, თუ ქალაქში უნდა ისწავლებოდეს. ეს ყურად უნდა ილონ რაჭისა და სამცხე ჯავახეთის რაიონებმაც და სხვებმაც, სადაც ჯერ კიდევ ამრეზად უყურებენ ჩვენს მშობლიურ ჭიდაობას.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

**კვარცხლბეკი**

**35 კგ.** 1. თემურ ნოზაძე (ხაშური), 2. გიორგი გივიაშვილი (თბილისი), 3. ელგუჯა ბარბაქაძე (რუსთავი).

**40 კგ.** 1. ბაგრატ ნინიაშვილი (დმანისი), 2. ზვიად ბერუაშვილი (თბილისი), 3. ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა).

**45 კგ.** 1. ნიკა ბოგველი (კასპი), 2. მიხეილ დოფიძე (თბილისი), 3. ნიკა ლაბაძე (კახეთი).

**50 კგ.** 1. გიორგი ლიპარტელიანი (თბილისი), 2. გიორგი გოგოლიძე (საჩხერე), 3. ირაკლი გულედანი (მესტია).

**55 კგ.** 1. დავით წურწუმია (ფოთი), 2. ტატო კაციაშვილი, 3. ბექა უდესიანი (ორივე-თბილისი).

**60 კგ.** 1. სიმონ მამარდაშვილი, 2. გიორგი შალვაშვილი (ორივე-საგარეჯო), 3. ანრი ნამიჭეიშვილი (ქუთაისი).

**65 კგ.** 1. გიორგი მულაძე, 2. დავით იმერლიშვილი (ორივე-ქარელი), 3. გუჯა ადუაშვილი (თბილისი).

**+65 კგ.** 1. გიორგი გველესიანი (თბილისი), 2. დავით რაზმაძე (თელავი), 3. ტრისტან თედორაძე (ქუთაისი).

ჩოგბურთი

# დოკიჩი დამარცხებულია, შემდეგი კირილენკო

გუშინ **ანა ტატიშვილმა** (115) საქვეყნოდ ცნობილ ჩოგბურთელ **ელენა დოკიჩს** (68) მოუგო - ეს ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში WTA-ს ტურნირ „ფემილი საირქლ ქაფზე" მოხდა, რომლის საპრიზო ფონდი 721 ათასი ამერიკული დოლარია. 21 წლის ქართველმა 28 წლის ავსტრალიელს (ერთ დროს მსოფლიოს მე-4 ჩოგანს) სამ სეტში, ცოტა უცნაურ მატჩში სძლია - 7:5, 2:6, 6:4. შეხვედრა 2 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა, ჩვენებური უფრო მალეც შეძლებდა მოგებას, თავის მოწოდებაზე უკეთ, რომ ეთამაშა. მესამე სეტში ანა მუდმივად იღებდა მოწინააღმდეგის მოწოდებას, მაგრამ საკუთარზე ველარ უმკავდებოდა დოკიჩს. ტატიშვილმა 17-დან 8 ბრეიქ პოინტი მოიგო, დოკიჩმა - 18-დან - 8. ელენას ანგარიშზე 5 ეისია (ანა - 2), სამაგიეროდ მან 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა (ანამ 3).

შეგახსენებთ, რომ ანამ ჯერ საკვალიფიკაციო ბადე მოიგო და ისე მოიპოვა ძირითადში თამაშის უფლება. მეორე ეტაპზე ქართველი მე-9 ნომრად განთესილ **მარია კირილენკოს** შეხვდება, რომელმაც გუშინ ძალზე იოლად მოუგო ამერიკელ **ვარვარა ლეპჩენკოს** - 6:4, 6:0. 24 წლის მარია კირილენკო მსოფლიოს 28-ე ჩოგანია. პრემიერკატეგორიის ტურნირში მეორე წრეში გასვლისთვის ანას 40 ქულა დაერიცხება, ამას დავუმატოთ 12 ქულა საკვალიფიკაციოს მოგებისთვის და გამოდის, რომ ანამ, რომც წააგოს, ძალზე მიუახლოვდება საწუკვარ ასეულს, კირილენკოს დამარცხების შემთხვევაში კი ქართველი საჩოგბურთო ელიტაში შევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## განცხადება

8 მაისს ტარდება ქ. თბილისის მშვილდოსნობის ფედერაციის ყრილობა.

ტელ: 897 77 10 42; 879 47 74 07

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა


რობერტ შავლაყაძე (მარცხნივ) და ალექსი ახვლედიანი

# სპორტის დედოფალს ზამთრის სასახლეს განუახლებენ

ამას წინათ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში სახელოვანი ათლეტის - **რობერტ შავლაყაძის** 78-ე წლისთავი საზეიმოდ აღნიშნეს. ოლიმპიური ჩემპიონისთვის იუბილეს მისალოცად მოსულმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** დამსწრეთ კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ ქართული სპორტისთვის მძლეოსნობა პრიორიტეტული სახეობა გახდება და საამისო ინფრასტრუქტურის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. კერძოდ, ქვეყნის ოთხ რეგიონში - მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში ოთხი სტადიონი აშენდება თანამედროვე სარბენი ბილიკებით, სახტომი ორმოებითა და სხვა მძლეოსნური სექტორებით.

- ჩვენი სახეობის ინფრასტრუქტურის აღდგენა-კეთილმოწყობით თვით ქვეყნის პრეზიდენტია დაინტერესებული, - გვითხრა მძლეოსნობის ფედერაციის თავკაცმა **ალექსი ახვლედიანმა.** - მხარს გვიჭერს სპორტის სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. მალე მთავრობაში განსახილველად და დასამტკიცებლად წარვადგენთ „სპორტის დედოფლის" განვითარების ოთხწლიან გეგმას. 1952 წლიდან ქართველ მძლეოსნებს სხვადასხვა სინჯის თერთმეტი ოლიმპიური მედალი აქვთ მოპოვებული. უწინდელი ტრადიციები უნდა ალვადგინოთ, რომ ჩვენი ათლეტები ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. საამისოდ კი სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნაა აუცილებელი - ჩვენს გოგო-ბიჭებს ნორმალური ვარჯიშის პირობები უნდა ჰქონდეთ. ოთხი სტადიონის მშენებლობის თაობაზე სპორტის მინისტრის ინფორმაცია სიურპრიზიც იყო და ფრიად სასიხარულოც.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, რომ აპრილიდან დიდუბის მანეჟის რეაბილიტაციას დაიწყებდით...**

- დიახ, საპროექტო სამუშაოები, ფაქტობრივად, დამთავრებულია. 10 აპრილიდან სპორტსმენები ეროვნულ სტადიონზე გადაინაცვლებენ და მანეჟის რემონტსაც დავიწყებთ. უპირველესად, წყალსაკანალიზაციო და ელექტროგაყვანილობა შეიცვლება, პარალელურად გათბობის სისტემა დამონტაჟდება. სახურავს მცირედი შეკეთების შემდეგ თბოიზოლაცია გაუკეთდება. კეთილმოეწყობა სატრენაჟორო და ძალოსნობის დარბაზები, გასახდელები, საშხაპეები. ერთი სიტყვით, სამუშაო ბევრია, შემოდგომამდე დრო კი ცოტა რჩება.

**- სარბენ ბილიკებზე არაფერი გითქვამთ.**

- ჩვენთვის ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია. მოვიწვიეთ ფრანგი და ბერძენი სპეციალისტები, რომლებმაც უკვე ხარჯთაღრიცხვა წარმოგვიდგინეს. ახალი ბილიკების დაგება ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ ორ ვარიანტს განვიხილავთ: არსებულის რეაბილიტაციას ან ახლის დაგებას. ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. საკუთარი ძალებით სრულ გაახლებას ვერ შევძლებთ, ამიტომ დახმარებისთვის ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციას მივმართეთ. თუ ისინი ხელს გაგვიმართავენ, მაშინ საფარს მთლიანად შევცვლით, არადა, რეაბილიტაციას მაინც შევძლებთ. დიდუბის მანეჟი არა მარტო მძლეოსნების, არამედ სხვა სახეობათა წარმომადგენლებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო სასპორტო კომპლექსად უნდა იქცეს.

**- ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადებაზე რას იტყვით?**

- სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის უკვე ვემზადებით. პროგნოზებისგან ჯერ თავს შევიკავებ, რადგან არ ვიცი, მაისში ეროვნულ ჩემპიონატზე ვინ რა შედეგს აჩვენებს. აპრილში საწვრთნელი შეკრების ჩატარება ტრაბზონში გვინდოდა, მაგრამ ახლახან მასპინძლებისგან თავაზიანი უარი მივიღეთ - ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალთან დაკავშირებით ბაზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს და ვერ გიმასპინძლებთო. თუმცა, ჩვენს სპორტსმენებს შეკრება მაინც არ ჩაეშლებათ. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები ახალციხესა და ფოთში გაივლიან წვრთნას. მოწინავე ათლეტთა ერთ ჯგუფს კი წლეულს საფრანგეთთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ალბათ, პარიზში გავგზავნით. არ გამოვრიცხავთ მინსკსა და კიევში სტუმრობასაც. ყოველივე ეს აუცილებელია, რათა საფუძვლიანად მოვემზადოთ ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც რეიკიავიკი უმასპინძლებს. იქ 30-კაციანი ნაკრები გაემგზავრება. ტრაბზონის ოლიმპიურ ფესტივალზე 3-4 სპორტსმენს წარვადგენთ, რომლებსაც არა მარტო მონაწილეობის, არამედ საპრიზო ადგილებზე გასვლის პრეტენზიაც ექნებათ.

ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე გამოსასვლელად ჯერჯერობით სიგრძეზე მხტომელ ლაშა ღულელაურსა და სპრინტერ სალომე სირაძეს აქვთ ლიცენზია მოპოვებული. შესაძლოა, ეს უფლება სხვებმაც მოიპოვონ. რაც შეეხება აგვისტოში კორეაში გასამართავ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატს, იქ საასპარეზოდ რამდენიმე სპორტსმენი ემზადება. ჯერჯერობით რეალური კანდიდატები არიან ბირთვისმკვრელი მარიამ ქევხიშვილი და თარჯმრბენი დავით ილარიანი.

გვაქვს ერთი სიახლეც: ეროვნულ ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ახლო წარსულში წარმატებული სპორტსმენი თამარ შანიძე. იგი დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით შეუდგა საქმეს. საკმაოდ კარგი პროგრამა აქვს. იმედია, ერთმანეთის თანადგომით შედეგები გაუმჯობესდება და მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ლიდერის და ქულათა სხვაობაც შეიცვალა

ინდონეზიის დედაქალაქში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა დიდოსტატმა **მერაბ გაგუნაშვილმა** წინა ხუთი ტურის მონაგარს 1,5 ქულა შესძინა. საქმე ის არის, რომ ორგანიზატორებმა გუშინ ერთბაშად ორი ტურის პარტიები გამართეს. გაგუნაშვილმა მე-6 ტურში შავი ფიგურებით მასპინძელ **არდიანსიანს** სძლია, მეშვიდეში კი თეთრებით სინგაპურელ **ჟან ჟონგს** დაუზავდა, მოაგროვა 5,5 ქულა და მეორე-მეშვიდე ადგილებს იყოფს. ერთპიროვნულ ლიდერ **სადიკინ ირვანტოს** (ინდონეზია), რომელმაც გუშინ გათამაშების ცხრილში ორი ქულა ჩაიწერა, ნახევარი ქულით ჩამორჩება. დღეს გაგუნაშვილი თეთრი ფიგურებით სწორედ მას შეხვდება. მოგების შემთხვევაში დაწინაურებასაც შეძლებს. მე-8 ტურში, ასევე, ინტერესს იწვევს ჟან ჟონგი (5.5, სინგაპური)-**ეუგენიო ტორეს** (5.5, ფილიპინები), **ჰაი დაო** (5.5, ვიეტნამი)-**სუჟენ პრაიიტნოს** (5.5, ინდონეზია), **გერდას ბარუსი** (5.5, ინდონეზია)-**იოჰან გუნავანის** (5.5, ინდონეზია) ორთაბრძოლები.

გამარჯვებული ხვალ გამოვლინდება.

**ვაჟა დანელია**

# ხუთგზის ჩემპიონი სწრაფში მეორეა

კურმაიერში ვეტერანმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. იტალიურ ქალაქს ისინი სენიორთა ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ ეწვივნენ. 100 მონაწილიდან ორი ქართველია — ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** და ვეტერანთა პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი **თამარ ხმიადაშვილი.** ტურნირის პირველი ორი დღე სწრაფ ჭადრაკში ტიტულის გათამაშებას დაეთმო.

ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი ბელარუსმა **ვიქტორ კუპრეიჩიკმა** დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვეს **ნიკოლა მიშუჩკოვმა** (რუსეთი) და **მიშო ცებალომ** (ხორვატია), რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. ქალებში 5,5 ქულით ჩემპიონი გახდა **გალინა სტრუტინსკაია,** რომელსაც გაფრინდაშვილი მხოლოდ უარესი კოეფიციენტით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი ერგო. მესამე იყო **ელენა ფატალიბეკოვა** (რუსეთი). 4,5 ქულით თამარ ხმიადაშვილი მე-19 ადგილზე გავიდა. არადა, შარშან იტალიაშივე გამართულ ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ხმიადაშვილმა, გაფრინდაშვილმა და ესტონელმა ტატიანა ფომინამ 7-7 ქულით, შესაბამისად, პირველი-მესამე ადგილები გაინაწილეს.


ნონა გაფრინდაშვილი

დღეიდან მოჭადრაკეები ევროპის ჩემპიონობისთვის კლასიკური პარტიებით იბრძოლებენ. ამ შეჯიბრების საერთო საპრიზო ფონდია 10350 ევრო. ასპარეზობა 14 აპრილს დასრულდება.

**ვაჟა დანელია**

ეტიუდები



# საოცარი ხსნა

მოჭადრაკეები ზოგჯერ ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად ამბობენ, რომ დანებება არასდროს არისო გვიანი. ზოგჯერ ასეთი ოპტიმიზმი ამართლებს, თუმცა, შესაძლოა, მისთვის სათანადო საფუძველი არც არსებობდეს.

ზემოთ მოყვანილ პოზიციაში თეთრების საქმე შავადაა - კუ აკლიათ. ერთადერთ ხსნად a პაიკი რჩებათ, რომელსაც მე-8 ჰორიზონტალამდე დიდი გზა აქვს გასავლელი. ყოველივეს მიუხედავად, თეთრები ამ შანსის გამოყენებას ცდილობენ.

თავიდან შავების კუს უნდა შეექმნას ბარიერი: 1. d6! exd 2. მფd3! როგორც ირკვევა, თეთრების a პაიკის შეჩერება შეიძლება მხოლოდ ამ სვლებით: 2.... კxg3 3. a5 d5 4. a6 კb8 5. a7 კxa7 და პატი.

# 111 წლის წინათ

აქვე გთავაზობთ პირველი ჩეხი დიდოსტატის ოლდრიჯ დურასის ეტიუდს, რომელიც 111 წლის წინათ გამოქვეყნდა და დღემდე არ დაუკარგავს მომხიბვლელობა.



1. ეd2+ მფe7 2. ეd6! (3. ეc6 სვლის მუქარით) 2... ეc3 (2... მფxd6 3. მფc8 ეc3+ 4. მფd8 ეh3 5.b8ლ+) 3. ეc6! ეxc6 (3...ეd3 4. ეc5 და შემდეგ ეa5 და მფa7) 4. მფa7 და თეთრები იგებენ.

**მოამზადა ვაჟა დანელიამ**

კარატე

# ქართული კარატეს წარმატება ბუდაპეშტში

უნგრეთის დედაქალაქმა 21 წლამდე ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა კარატეში. კონტინენტის 2011 წლის ამ პრესტიჟულ ჩემპიონატზე 30 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის ეროვნული ნაკრებიც ასპარეზობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ნაკრებს ჩემპიონატზე ელოდნენ როგორც ერთ-ერთ ლიდერს სპორტის ამ სამყაროში. მოლოდინი გამართლდა.

*„ჩვენ, როგორც პატარა ქვეყანას, შესაბამისი - პატარა 5-კაციანი ჯვაროსანთა ნაკრები გვყავდა წარგზავნილი. მიუხედავად სპორტსმენთა მცირერიცხოვნებისა, საქართველო მაინც ღირსეულად წარმოჩნდა ჩემპიონატზე - **ჰენრი ვეკუამ** (-75 კგ) ოქრო მოგვიპოვა დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ, **შოთა გორელაშვილმა** (-75) კი - ვერცხლი. ქართველებმა გუნდურ სამკაციან კუმიტეშიც გამოიჩინეს თავი და მესამე ადგილს დასჯერდნენ.*

*ორ კვირაში ჩვენი ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში - ლას ვეგასში მიემგზავრება, „ოფენ ამერიკაზე". ესეც ერთ-ერთი მაღალი დონის შეჯიბრებაა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატსაც არ ჩამოუვარდება"* - აღნიშნა ბუდაპეშტიდან დაბრუნებულმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ.**

ევროპულ ჩემპიონატში წარმატებული ნაკრების მომზადების მთავარმა ოსტატმა კახა ბასილიამ ისიც გვითხრა, რომ საქართველოს კარატეს ეროვნულ ნაკრებს ყველა პირობა აქვს შექმნილი საიმისოდ, რომ გაემგზავროს და წარმატებით იასპარეზოს ამერიკაში. თუმცა აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია: „ოფენ ამერიკაზე" მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებ გუნდებს იწვევენ, რომელთა რაოდენობამ წლეულს 50-ს მიაღწია, თუმცა საქართველოს კარატე პირველ ათეულში ლიდერობს.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი**
საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი

®



ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის აზრი



# მასობრიობა

ნებისმიერ ცხოვრებისეულ საკითხში საჭიროა სხვისი აზრის მოსმენა და სწორი დასკვნების გამოტანა. ეს კალათბურთსაც ეხება - საქართველოში სპორტის ეს სახეობა სადაცაა საუკუნეს მიუკაკუნებს და მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნახავს ლეგენდარული ოთარ ქორქიას თამაში და დღესაც პატარებს ავარჯიშებენ.

ასეთთა შორისაა **თამაზ ოქრუაშვილი,** რომლის ხელში საქართველოს ნაკრების არაერთ თაობას გამოუვლია. იგი ეროვნული გუნდის დღევანდელ ბირთვსაც ავარჯიშებდა - 1986 წელს დაბადებულთა ნაკრები **(მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე...)** ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე ათამაშა.

გადავწყვიტეთ ბატონ თამაზთან ერთად თვალი გადავავლოთ ქართული კალათბურთის დღევანდელობას ანი-დან ჰაე-მდე.

### ანი

- ბავშვთა კალათბურთში დიდი პრობლემებია. საქართველოს დარ პატარა ქვეყანაში წარმატებებზე თუ ვფიქრობთ, კალათბურთი საყოველთაო სპორტად უნდა ვაქციოთ, რათა ნებისმიერ მწვრთნელს საუკეთესოთა არჩევის საშუალება ჰქონდეს. სკოლებში შემოილეს კალათბურთის გაკვეთილები, თუმცა ვარჯიშებს არ დავსწრებივარ და არ ვიცი, როგორ მიმდინარეობს მეცადინეობები. თუ ეს სისტემა სრულყოფილად გაიმართა, დადებით შედეგს გამოიღებს.

### რაგბი

- მხოლოდ კალათბურთის ფედერაცია საქმეს ვერ გასწვდება, საჭიროა შეიქმნას კალათბურთის განვითარების პროგრამა, რათა ნიჭიერი სპორტსმენები არ დაიკარგონ. სადღეისოდ სექციები ფასიანია და ამის გამო ბევრი ბავშვი ვერ ახერხებს კალათბურთზე სიარულს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რაგბის წარმატებებმა ბევრი ბავშვი სპორტის ამ სახეობისკენ მიატრიალა - მორაგბეთა ნაკრებმა ერთხელ მოუგო რუსეთს, მეორედ, მესამედ და მშობელმა რაგბიში პერსპექტივა დაინახა. პატარებში ფეხბურთის პოპულარობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

### სელექცია

- საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა ამ სეზონში 18-მდე გაიზარდა. 18 კი არა, ათჯერ 18 გუნდი უნდა თამაშობდეს. სელექციის გარეშე სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარება წარმოუდგენელია.

### მწვრთნელი

- ბევრი რამ დამოკიდებულია მწვრთნელებზეც, რომლებსაც პროგრესისთვის მოტივაცია უნდა ჰქონდეთ, რაც დღევანდელ პირობებში რთული მისაღწევია. საიდან ექნება მოტივაცია, როცა ფინანსური დაინტერესება მინიმალურია. არადა, ნებისმიერი მწვრთნელი უნდა ფიქრობდეს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამას პირველ რიგში საკუთარ თავზე ინდივიდუალური მუშაობით უნდა მიაღწიოს.

### 16-წლამდელთა ნაკრები

- თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე წარუმატებელი გამოსვლა ტრაგედია ნამდვილად არ არის. საქართველოს მსგავს ქვეყანას ყოველთვის ეტყობა თაობათა ცვლილება. არის ციკლი, როცა ერთბაშად რამდენიმე კარგი მაღალი კალათბურთელი ჩნდება. ზოგჯერ პირიქითაა. უნდა გამოვყო 1976 წელს დაბადებულთა თაობა, რომელშიც ბევრი ნიჭიერი ტანმაღალი კალათბურთელი გამოჩნდა - **ვახტანგ ნაცვლიშვილი, ვლადიმერ სტეფანია, დავით ბერძენიშვილი...** ასევე კარგი თაობაა 1986-წლიანებისა - მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე. გარდა იმისა, რომ 1995-წლიანთა თაობაში ტანმაღალი კალათბურთელების დეფიციტია, არ უნდა დავივიწყოთ: კადეტთა ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე პირველად გავიდა. ეს ბიჭები კიდევ მოუმატებენ და მერწმუნეთ, B დივიზიონის ბევრ ძლიერ ნაკრებს დაამარცხებენ. კარგია, რომ მაღალი დონის გუნდებთან ითამაშეს. ეს მათ სამომავლოდ აუცილებლად გამოადგებათ. არ შეიძლება ამა თუ იმ ნაკრებს ერთბაშად ვარსკვლავების მოწყვეტა მოვთხოვოთ.

### ჩინეთი

- როცა სელექციაზე ვლაპარაკობთ, ჩინეთის მაგალითი უნდა მოვიხმოთ. ამ ქვეყნის კადეტებმა თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ყველა მეტოქე დაამარცხეს. მასპინძლებსაც აჯობეს. ეს მაშინ, როცა თურქეთშიც საკალათბურთო ბუმია. როგორც ჩანს, ჩინელები სელექციაზე სერიოზულად მუშაობენ, 16-წლამდელთა ნაკრებში უკვე 216 და 208 სმ სიმაღლის კალათბურთელები ჰყავთ. მეტიც - 216 სმ-ის მოთამაშე პლეიმეიქერის ფუნქციებს ასრულებს. საქართველოსგან განსხვავებით თაობათა შორის ჩავარდნები ჩინელებს არასოდეს დაეტყობათ.

### გამოსავალი

- სადღეისოდ ნელ-ნელა უმჯობესდება უმაღლესი ლიგის კლუბების მდგომარეობა. ჩემი აზრით, გამოსავალი სწორედ მათშია: თითოეული გუნდი უნდა დაინტერესდეს სათანადო შევსებით, რისთვისაც აუცილებელია ახალგაზრდული და ბავშვთა გუნდების შექმნა. შედეგად კალათბურთით დაინტერესებული ბავშვების რაოდენობაც მოიმატებს... პატარებისთვის სპორტი ზეიმი უნდა იყოს - ხშირად იმართებოდეს ფესტივალები.

***...გაგრძელებას ხვალ შემოგთავაზებთ: თამაზ ოქრუაშვილი სუპერლიგასა და საქართველოს ჩემპიონატზე მოგვითხრობს.***

ინტერვიუ გიგა კვეტენაძესთან

# ბაგაცკისმა ბევრი რამ შეცვალა

**დოსიე**
**დაიბადა:** 16.01.1990
**სიმაღლე:** 202 სმ.
**წონა:** 98 კგ.
**პოზიცია:** ფორვარდი

მეოცე ტურში სოხუმმა დაისვენა, მეცხრამეტეში კი სტუ-ს 98:55 აჯობა. როგორც ყოველთვის ამ მატჩშიც **ლაშა ფარლალავა** და **იუჯინ ჰარისი** გამოირჩნენ. ასევე ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა ახალგაზრდა **გიგა კვეტენაძეს** - 17 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა. მან ბოლოს და ბოლოს თავი დააღწია ტრავმებს და „სოხუმის" ახალი მწვრთნელის, **აინარს ბაგაცკისის** ხელში საკუთარი თამაშიც იპოვა.

გადავწყვიტეთ, სუპერლიგის ახალგაზრდა კალათბურთელები მკითხველს რეგულარულად გავაცნოთ. დღეს გიგა კვეტენაძეს წარმოგიდგენთ.

თუმცა, ახლა თავს კარგად ვგრძნობ, რაც სათამაშო ფორმაზეც დადებითად ისახება.

**- ბოლო მატჩში ნაყოფიერად იმუშავე...**

- 17 ქულა ჩავაგდე. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, რაც პირველ რიგში მწვრთნელის, აინარს ბაგაცკისის დამსახურებაა. მან ერთ მუშტად შეგვკრა. სეზონის წინ „სოხუმის" შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და ისეთი კალათბურთელები შევიკრიბეთ, რომლებსაც ერთმანეთთან მანამდე ნათამაშები არ გვქონდა. შეთამაშებას კი დრო უნდა.

**- აინარს ბაგაცკისის მოსვლის შემდეგ განსაკუთრებით დაცვაში თამაში გამოსწორდა...**

- იგი ამ კომპონენტს დიდ ყურადღებას აქცევს. ბევრს ვმუშაობთ და სასიამოვნოა, რომ შედეგს თვალნათლივ ვხედავთ. „სოხუმის" თამაში დასტაბილურდა, შეცდომების რაოდენობაც განახევრდა და მოგებების რიცხვმაც იმატა.



- სუპერლიგაში მეორე წელია, რაც ვთამაშობ. მანამდე ცოტა ხნით ესპანეთის კლუბ „ბარბერაში" ვიყავი, კატალონიის ჩემპიონატში ვთამაშობდი. ესპანური გამოცდილება აქაც ძალიან მადგება.

**- 2009 წლიდან „სოხუმში" ხარ.**

- კატალონიიდან ჩამოსული „სოხუმში" ჩავირიცხე, 2010 წლის ზამთარში იტალიაში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ავტოსაგზაო შემთხვევაში მუხლის ტრავმა მივიღე. გასული სეზონი ტრავმების გამო სათანადოდ ვერ ჩავატარე.

**- წლეულსაც გამოტოვე რამდენიმე მატჩი...**

- მუხლის ტრავმის გამო მცირე დრო გამიცდა, ხოლო 26 თებერვალს „არმიასთან" მატჩში ტვინის შერყევა მივიღე და რამდენიმე შეხვედრა გამოვტოვე.

**- ამ სეზონში „სოხუმისგან" რას უნდა ველოდეთ?**

- რაც შეიძლება მაღალი ადგილის დასაკავებლად ვიბრძვით, თუმცა შარშანდელთან შედარებით ეს რთული მისაღწევია, რადგან ამ სეზონში სუპერლიგის კლუბები თანაბრად დაკომპლექტდა და სადღეისოდ ბევრი კონკურენტუნარიანი გუნდია. შესაბამისად დაძაბულობამ და საინტერესო თამაშების რაოდენობამაც იმატა.

**- დაბოლოს, მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავებიდან ვის ქომაგობ?**

- საქართველოდან ზაზა ფაჩულიას და საქართველოს ნაკრების ყველა წევრს. საერთოდ კი ლებრონ ჯეიმსის თამაში მომწონს. თუმცა, ჯორდანი ჯერაც ყველაზე მაღლა დგას...

საქართველოს ნაკრების მეტოქე



საქართველოს ნაკრების პარალელურად მოსამზადებელი გეგმა ჩვენმა მეტოქემ ბელგიამაც ჩამოწერა.

*- გუნდი 25 ივლისს შეიკრიბება. იმ დროისთვის საბოლოოსთან მიახლოებული შემადგენლობა გარკვეული გვექნება. სადღეისოდ 38 კალათბურთელს ვაკვირდებით, გვინდა ევრობასკეტზე საუკეთესო შემადგენლობა წავიყვანოთ. ლიტვაში ხომ სპორტის სახელით ბელგიას წარმოვადგენთ, - თქვა „წითლების" თავკაცმა* ***ედი კასტელსმა.***

...38-ს თუ არა, საქართველოს ნაკრების თავკაცი **იგორ კოკოშკოვი** 25-25 კანდიდატს მაინც რომ ნახავდეს, ურიგო არ იქნებოდა.

# ბელგია ამერიკაში მოემზადება

ბელგიელები 1 აგვისტოს ამერიკაში გაფრინდებიან და დალასში მოემზადებიან, საიდანაც 10 აგვისტოს კანადაში გადავლენ, 13 და 14-ში „ნეკერჩხლის ფოთლებს" ამხანაგურად გაეჯიბრებიან. კანადიდან ჩვენი მეტოქე გერმანიაში ჩაფრინდება და ბამბერგის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას: 19 აგვისტოს გერმანიას შეეჭიდება, 20-ში - თურქეთს, ხოლო 21-ში - საბერძნეთს.

ევრობასკეტამდე კასტელსის გუნდი კიდევ ორ მატჩს ჩაატარებს: 25 აგვისტოს ოოსტენდეში ბოსნიას დაუხვდება, ხოლო 27-ში ლიევენში საფრანგეთს ეწვევა.

31 აგვისტოს საქართველო-ბელგიაა...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სოხუმი

# ბალოჩკა ბრუნდება

„სოხუმში" დეკემბერში ხუთი ლეგიონერი ირიცხებოდა: **კარლ და რიჩარდ დამუსები, მაიკ მაქქერი, იუჯინ ჰარისი** და **პეტრას ბალოჩკა**. ლიტველი მეფარე საქართველოში დროებით იყო - საფრანგეთში აპირებდა წასვლას. წინასაახალწლოდ მან კონტრაქტი გააფორმა ფრანგულ „ლიევენთან" და პირველი მატჩი 7 იანვარს ითამაშა. მას მერე რიგით მესამე ფრანგულ დივიზიონში ბალოჩკამ 11 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 22.2 წუთში 10 ქულასა და 8.8 მოხსნას აგროვებს.

როგორც შევიტყვეთ, იგი საქართველოში დაბრუნებას აპირებს და „სოხუმს" პლეი ოფებში დაეხმარება. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რა ეტაპიდან შეუერთდება იგი სოხუმელებს - მეოთხედფინალებიდან თუ ნახევარფინალებიდან (იმ შემთხვევაში თუ გუნდი ამ ეტაპზე გავა).

აქვე შეგახსენებთ, რომ „სოხუმის" განაცხადში ერთი ისეთი კალათბურთელია, რომელსაც ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია: **ლევან ფაცაცია** ამჟამად ამერიკაშია და „ტროას" კოლეჯში სწავლობს. მან იქაურ ლიგაში სეზონი უკვე დაასრულა და საქართველოში მას შემდეგ ჩამოვა, რაც კოლეჯში გამოცდებს ჩააბარებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სტადიონები


რუსთავის სტადიონი

# რუსთავში მშენებლობა დაიწყო

გუშინ რუსთავში სარაგბო კომპლექსის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. სტადიონი მე-18 მიკრორაიონში, 5 ჰექტარზე აშენდება. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია თითო მინდვრისსაფარიანი და ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული ზომის მოედნების მოწყობა. გაკეთდება ასევე ერთი მოედანი ქვიშის რაგბისთვის. მშენებლობა წელიწადნახევარში უნდა დასრულდეს.

ორივე მოედანთან აშენდება ტრიბუნები. მინდვრისსაფარიანი სტადიონი სამი ათას მაყურებელს დაიტევს, ხელოვნურსაფარიანი - ათასს. აღსანიშნავია, რომ უკვე დაწყებულია კიდევ სამი სტადიონის მშენებლობა. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე სარაგბო კლუბ „ლელოს" სტადიონი შენდება. პროექტით გათვალისწინებულია ერთი ხელოვნური და ერთიც მინდვრისსაფარიანი მოედნების მოწყობა. ტრიბუნები ათას მაყურებელზეა გათვლილი.

შესანიშნავი ბაზა შენდება ასპინძაში, სადაც ერთი ბუნებრივსაფარიანი მოედანი გაკეთდება ტრიბუნებით, რომელიც 500 მაყურებელს დაიტევს. იქვე აშენდება სასტუმროც.

ორი მოედანი გაკეთდება მარტყოფშიც (ერთი ხელოვნური საფარით, ერთიც ბუნებრივით). სტადიონის ტრიბუნები 700 მაყურებელზეა გათვლილი.


ლელოს სტადიონი


ასპინძის სტადიონი


მარტყოფის სტადიონი

ლეგიონერები

# ფრანგული ლეგიონის ავან-ჩავანი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდი, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე, სხვადასხვა მიზნის მისაღწევად იბრძვის. ამჯერად იმ გუნდებზე გიამბობთ, რომლებსაც დივიზიონის დატოვება ემუქრებათ.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ელიტური დივიზიონი ორმა გუნდმა უნდა დატოვოს. ერთის ვინაობა უკვე ცნობილია, ეს ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილი „ბურგუენია". მისი ბედის გაზიარება კი კიდევ სამს, „ლა როშელს", **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს", **ვასილ კაკოვინისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივს" ემუქრება.

„აჟენმა" 23-ე ტურში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის, **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრის" დამარცხებით საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. მომდევნო ტურში ჩვენებურის გუნდი სტუმრად ეთამაშება უშუალო კონკურენტ „ლა როშელს", რომელსაც უკვე ცხრა ქულით უსწრებს.

აჟენელები მეორე წრეს შესანიშნავად ატარებენ, 2011 წელს მათ საკუთარ მოედანზე ჯერ არ წაუგიათ. „ბიარიცის", „მეტრო რასინგის", „ბაიონისა" და „ტულონის" დამარცხების შემდეგ მათ „კასტრის" ძლევაც შეძლეს.

*„მართალია, „ლე როშელთან" საკმაოდ დიდი, ცხრაქულიანი ჰანდიკაპი გვაქვს, მაგრამ ჯერ არაფერი დამთავრებულა. ყველაზე დაძაბული ბრძოლები წინ გველის."* - თქვა „აჟენის" მწვრთნელმა **კრისტიან ლანტამ.**

„აჟენი" პირველი ტაიმის შემდეგ 6:13 აგებდა, თუმცა მერე ძალა მოიკრიბა, სამ წუთში ორი ლელო მიითვალა და მატჩის ბედი სათავისოდ შემოატრიალა.

*„ბედნიერი ვარ. ჩვენმა გუნდმა შინ „ტულუზთან" მარცხის შემდეგ ზედიზედ ორი თამაში მოიგო. ბიჭებმა საბრძოლო სულისკვეთება, გუნდური სოლიდარობა, განსაკუთრებით „კასტრთან" თამაშისას გამოავლინეს. ამ შეხვედრაში დავამტკიცეთ, რომ ელიტურ დივიზიონში თამაშს ვიმსახურებთ"* - დარწმუნებულია „აჟენის" პრეზიდენტი **ალენ ტენგო.**

აღსანიშნავია, რომ „აჟენის" შერკინების ქართველი ბურჯი ბექა შეყლაშვილი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. მისი მომავალი კარიერა იმაზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა „აჟენი" ადგილს პირველ დივიზიონში. ამ შემთხვევაში, გამორიცხული არაა, შეყლაშვილის თანაგუნდელი, მინიმუმ კიდევ ორი ქართველი მორაგბე გახდეს.

როგორც უკვე ვთქვით, დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის ვასილ კაკოვინისა და დავით ხინჩაგიშვილის „ბრივიც". ჩვენებურთა ამ გუნდმა 23-ე ტურში შინ სწორედ „ლა როშელი დაამარცხა და ახლა მას ცხრა ქულით უსწრებს.

*„თამამად შეიძლება ითქვას, რომ გავარდნას გადავურჩით. თუმცა ჯერ სეზონი არ დამთავრებულა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბიჭები არ მოდუნდნენ."* - თქვა „ბრივის" მწვრთნელმა **უგო მოლამ.**

„ბრივმა", რომელიც ბოლო წლებში მუდმივად პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოდა, წლევანდელი სეზონი არასტაბილურად ჩაატარა. თავიდან კარგად დაიწყო, მერე საქმეები აიწენ-დაიწენა და ახლა მაქსიმალური ძალისხმევა მართებს, ელიტაში ადგილი რომ შეინარჩუნოს.

ჩვენებურთა გუნდმა შეძლო საკუთარი ხელწერის მონახვა. სწრაფი, მძლავრი შეტევებით თამაში, რომელიც წლევანდელ გათამაშებაში არ ახასიათებდათ. შედეგად, „ბრივი" ფაქტობრივად გადარჩენილია. ახლა ბრიველები „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების მეოთხედფინალისთვის ემზადებიან, სადაც საფრანგეთის ჩემპიონატისაგან განსხვავებით, შესანიშნავად ასპარეზობენ. „ბრივმა" B ჯგუფში ექვსი თამაშიდან ექვსივე მოიგო, პირველ ადგილზე გავიდა და ახლა ირლანდიურ „მანსტერს" დაუპირისპირდება.

ამასობაში საკმაოდ სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა საფრანგეთის ჩემპიონ, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს". არადა, გუნდს პლეი ოფში მოხვედრისთვის სერიოზული ბრძოლების გადატანა მოუწევს. ტრავმირებულია თვითონ ზირაქაშვილიც, რომელიც ამ უქმეებზე ევროთასების გათამაშებაშიც ვერ იასპარეზებს.

„ბიარიცთან" ბოლო შეხვედრაში დაშავდნენ **ენტონი ფლოში, ვესელი ფოფანა, ალექსანდრ ლაპანდრი** და **სიონე ლაუკი.** ტრავმირებულნი არიან და დიდხანს ვერ ითამაშებენ: **ტომას დომინგო, გევინ ვილიამსი, ჯიმი კუდმორი, ბრენტ რასელი, ჟულიენ მალზიო** და **ჯეისონ ვაითი.**


ბურთით ბექა შეყლაშვილი

მსოფლიოს თასი

# მარტინ ჯონსონი რაგბიში ბრუნდება

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცი, **მარტინ ჯონსონი** შესაძლოა მწვანე მინდორს დაუბრუნდეს.

„პომების" მთავარი მწვრთნელი 2003 წლის მსოფლიო თასზე გუნდის კაპიტანი და ლიდერი იყო. მაშინ ჯონსონმა და კომპანიამ შესანიშნავად იასპარეზა და მსოფლიოს თასი ავსტრალიიდან ლონდონში ჩაიტანა. ჯონსონს ამ ნაბიჯის გადადგმა ჯერ არ გადაუწყვეტია. რაგბიში დაბრუნება კი ახალზელანდიელი შუამარბის, **ტანა უმაგას** მაგალითმა აფიქრებინა. უმაგა ევროპული სამწვრთნელო კარიერის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ზე რაგბის გათამაშებაში წარმატებით ასპარეზობს.

*„გასახდელში, თამაშის წინ ის მორაგბეებზე არანაკლებ შემართულია საბრძოლველად. სათამაშო ინსტიქტები ისევ ძველებურად აქვს გამძაფრებული და ბიჭებს ძალიან მოსწონთ, რა ემოციით გვიხსნის ვარჯიშზე ამა თუ იმ დეტალს"* - თქვა **ტომ კროფტმა.**

ახლა ძნელი სათქმელია, მართლა დაუბრუნდება თუ არა ჯონსონი ნაკრებს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი დონის მეორეხაზელი „პომებს" ნამდვილად აკლიათ.

*„ექვსი ერის გათამაშებაში ირლანდიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მისი დონის მოთამაშე, ლიდერი ძალიან გვჭირდება. - განაგრძობს კროფტი. - მით უფრო, რომ ახლახან ორი კაპიტანი, ლუის მუდი და მაიკ თინდოლი დაგვიშავდნენ. „ჯონო" შესანიშნავ ფორმაშია, ძალოსნობის დარბაზში ბევრ ახალგაზრდას ჯაბნის. ის ნამდვილი მონსტრია, 200-კილოგრამიან შტანგას ეზიდება".*

ზე რაგბი

# მრავალფეროვანი სიმბოლური

ზე რაგბის გათამაშების მე-7 ტურის სიმბოლური ნაკრები წინა ტურებისგან განსხვავებით საკმაოდ მრავალფეროვანია. საუკეთესოთა შორის ერთბაშად ცხრა გუნდის მორაგბე მოხვდა. ყველაზე მეტი, სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავს დანიდინის „ჰაილენდერზს" და მელბურნ „რებლზს".

**სიმბოლური ნაკრები**

15. ისაია ტოეავა (ბლუზი), 14. კადე პოკი (ჰაილენდერზი), 13. დიგბი იოანი (რედსი), 12. ლუკ მაკალისტერი (ბლუზი), 11. ლუკ მორანი (რედსი), 10. დენი სიპრიანი (რებლზი), 9. ფური დუ პრი (ბლუ ბულზი). 1. ჯიმი მაკინტოში, 2. ჯეისონ რათლიჯი (ორივე-ჰაილენდერზი), 3. ვერნერ კრუხერი (ბლუ ბულზი), 4. სემ ვიკსი (ფორსი), 5. ჰუგ ფილი (რებლზი), 6. ჯეკ ლამი (ჰარიკენზი), 7. სხალკ ბურხერი (სტორმერზი), 8. გარეთ დელვი (რებლზი)

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA

## კვირის მოთამაშეები

„ნიუ იორკ ნიქსის" მსუბუქი ფორვარდი **კარმელო ენტონი** და „მემფის გრიზლისის" მძიმე ფორვარდი **ზაკ რენდოლფი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ენტონი გასულ კვირას 34.3 ქულით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 8.3 მოხსნა და 3.3 შედეგიანი პასი იყო. ამის წყალობით „ნიუ იორკმა" სამიდან სამი მატჩი მოიგო და 2003-04 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოხვდა პლეი ოფში. კარმელოს თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 50.0 პროცენტი ჰქონდა, ხოლო საჯარიმოებს 87.5 პროცენტის სიზუსტით ესროდა. ენტონიმ ზედიზედ ორ მატჩში დააგროვა 39 ქულა და 10 მოხსნა.

დასავლეთში საუკეთესო რენდოლფმა „მემფისს" ასევე სამიდან სამჯერ მოაგებინა. ის ერთადერთი კალათბურთელია მიმდინარე რეგულარულში, ვინც საშუალოდ ერთ მატჩში მინიმუმ 20 ქულას, 10 მოხსნასა და 5 შედეგიან პასს აგროვებს. რენდოლფი ამ სეზონში მესამედ დასახელდა კვირის საუკეთესო მოთამაშედ.

### ენტონის კვირა

**28 მარტი. ნიუ იორკი-ორლანდო 113:106.** 39 ქულა, 10 მოხსნა.

**30 მარტი. ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი 120:116.** 39 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი.

**3 აპრილი. ნიუ იორკი-კლივლენდი 123:107.** 25 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა.

### რენდოლფის კვირა

**30 მარტი. მემფისი-გოლდენ სტეიტი 110:91.** 20 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი.

**1 აპრილი. მემფისი-ნიუ ორლეანი 93:81.** 28 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი.

**2 აპრილი. მემფისი-მინესოტა 106:89.** 30 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დარენ კოლისონი** („ინდიანა"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **კარლ ლენდრი** („ნიუ ორლეანი"), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო") და **ჯორდან კროუფორდი** („ვაშინგტონი").

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-ჩიკაგო | 76 | 56 | 20 | 73.7 |
| 2. y-მაიამი | 77 | 54 | 23 | 70.1 |
| 3. y-ბოსტონი | 76 | 53 | 23 | 69.7 |
| 4. x-ორლანდო | 77 | 48 | 29 | 62.3 |
| 5. x-ატლანტა | 77 | 44 | 33 | 57.1 |
| 6. x-ფილადელფია | 77 | 40 | 37 | 51.9 |
| 7. x-ნიუ იორკი | 76 | 38 | 38 | 50.0 |
| 8. ინდიანა | 78 | 35 | 43 | 44.9 |
| 9. შარლოტი | 76 | 32 | 44 | 42.1 |
| 10. მილუოკი | 76 | 31 | 45 | 40.8 |
| 11. დეტროიტი | 76 | 26 | 50 | 34.2 |
| 12. ნიუ ჯერსი | 76 | 23 | 53 | 30.3 |
| 13. ტორონტო | 76 | 21 | 55 | 27.6 |
| 14. ვაშინგტონი | 76 | 20 | 56 | 26.3 |
| 15. კლივლენდი | 76 | 15 | 61 | 19.7 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-სან ანტონიო | 77 | 58 | 19 | 75.3 |
| 2. y-ლეიკერსი | 76 | 55 | 21 | 72.4 |
| 3. x-დალასი | 77 | 53 | 24 | 68.8 |
| 4. x-ოკლაჰომა* | 76 | 50 | 26 | 65.8 |
| 5. x-დენვერი | 76 | 47 | 29 | 61.8 |
| 6. პორტლენდი | 77 | 45 | 32 | 58.4 |
| 7. ნიუ ორლეანი | 77 | 44 | 33 | 57.1 |
| 8. მემფისი | 77 | 44 | 33 | 57.1 |
| 9. ჰიუსტონი | 77 | 41 | 36 | 53.2 |
| 10. ფინიქსი | 76 | 37 | 39 | 48.7 |
| 11. იუტა | 77 | 36 | 41 | 46.8 |
| 12. გ. სტეიტი | 77 | 33 | 44 | 42.9 |
| 13. კლიპერსი | 77 | 30 | 47 | 39.0 |
| 14. საკრამენტო | 76 | 22 | 54 | 28.9 |
| 15. მინესოტა | 77 | 17 | 60 | 22.1 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 26.6 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.7 |
| ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ) | 25.6 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 25.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.2 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 25.2 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.2 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.2 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.3 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.1 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 10.3 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.2 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 9.8 |

### პასი

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.3 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 10.1 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.9 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.5 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 8.4 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.2 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.1 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.8 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 1.7 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.6 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.4 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.0 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.0 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 1.9 |

● კალათბურთი

# მარტის საგიჟეთი კონექტიკუტმა მოიგო

დასრულდა „მარტის საგიჟეთი" - ასე უწოდებენ სტუდენტური საკალათბურთო ლიგის (NCAA) პლეი ოფს. გუშინ ჰიუსტონში ახალი ჩემპიონის ვინაობა გაირკვა.

ფინალში „კონექტიკუტი" და „ბატლერი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. „ბატლერი" ზედიზედ მეორედ თამაშობდა გადამწყვეტ მატჩში და შარშანდელი წარმატების გამეორებას ლამობდა, მაგრამ არ გამოუვიდა. **ჯიმ კალჰუნმა** მესამე ტიტული მოუტანა „კონექტიკუტს". ჩემპიონობის მოპოვებით, კალჰუნი NCAA-ის ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული მწვრთნელი გახდა - ის 68 წლის გახლავთ. გარდა ამისა, კალჰუნი მეხუთე მწვრთნელია ისტორიაში, ვინც თავისი გუნდი სამჯერ გააჩემპიონა.

სანახაობრივი თვალსაზრისით ეს იყო სტუდენტური ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ულიმღამო ფინალი. ბურთი ჯიუტად არ ჩადიოდა ფარში, თითქოს მისი დიამეტრი ორჯერ პატარა იყო ბურთის დიამეტრზე. სხვანაირად ვერ აიხსენება ის ფაქტი, რომ „ბატლერმა" თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის ყველაზე დაბალი პროცენტი დააფიქსირა - 18.8 (!). ამავე გუნდმა ფინალების ისტორიაში ყველაზე ნაკლები ქულა დააგროვა.



კონექტიკუტი ზეიმობს

„კონექტიკუტმა" სამწამიან ზონაში 26:2 დაამარცხა მეტოქე, მთლიანად გადაკეტა საკუთარი ფარისკენ მიმავალი გზები და ჯამში ათი დაფარება შეასრულა. მეორე ტაიმში „ბატლერმა" ცამეტნახევარი წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო მოწინააღმდეგის ფარში. მომავალმა ჩემპიონმა ასევე მოიგო ფარქვეშ ბრძოლა - 51:40 მოხსნების რაოდენობით. „ბატლერს" მისმა ვარსკვლავებმა - **შელვინ მაკმა** და **მეტ ჰოვარდმაც** ვერ უშველეს. პირველმა თამაშიდან 4 ბურთი ჩააგდო (15-დან), მეორემ - ერთი (13-დან).

პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა იყო და გუნდები თითქმის ერთნაირი ტემპით მიიწევდნენ წინ. „ბატლერმა" პირველი ნახევრის მოგებაც კი შეძლო - 22:19, მეორე ტაიმის დასაწყისში კი მისი უპირატესობა ექვს ქულამდე გაიზარდა. და სწორედ აქედან მოყოლებული დაიწყო ის „მშრალი" სერია, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. „კონექტიკუტი" არა მარტო დაეწია მეტოქეს, არამედ 13 ქულით წინ გასვლაც მოახერხა - 41:28.

როგორც ყოველთვის, გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო მათი ლიდერი და მთავარი ვარსკვლავი **კემბა უოკერი**. სწორედ მან მიიღო ფინალის საუკეთესო მოთამაშის პრიზი. ჩვეულებრივ, უოკერს ყველაზე მეტი მხარდაჭერა **ჯერემი ლამბისგან** ჰქონდა, რომელმაც „კონექტიკუტის" გადამწყვეტი გაქცევისას ექვსი ქულა დააგროვა. **ალექს ორიაკი** კი, როგორც ყოველთვის, ფარქვეშ იყო აქტიური.

ჩემპიონი პლეი ოფში მართლაც ყველაზე ძლიერი გუნდი იყო. რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ „კონექტიკუტს" 11-მატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა. „ბატლერს" კი ფინალში არ გაუმართლა და ამ გუნდის კალათბურთელებს ისღა დარჩენოდათ, ნაღვლიანად ეცქირათ ფარიდან ბადის მაკრატლით მოჭრის ტრადიციული ცერემონიისთვის.

| კონექტიკუტი-ბატლერი | 53:41 |
|---|---|

**19:22, 34:19**

**კ:** უოკერი (16+9 მოხსნა), ლამბი (12+7 მოხსნა), ორიაკი (11+11 მოხსნა).

**ბ:** მაკი (13+9 მოხსნა).


დიდების დარბაზის წევრები

# დაფასებული საბასი

გუშინ გაირკვა იმ კალათბურთელების ვინაობა, რომლებსაც წელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდების დარბაზში შეიყვანენ. ოფიციალური ცერემონია აგვისტოში ამერიკის ქალაქ სპრინგფილდში გაიმართება.

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ სკანდალურად ცნობილმა **დენის როდმანმა** ნაადრევად გაუმხილა საზოგადოებას იმის შესახებ, რომ წელს ის დიდების დარბაზის წევრი გახდებოდა. დანარჩენების ვინაობა კი მხოლოდ გუშინ გახდა ცნობილი. ერთ-ერთი მათგანია ლეგენდარული ლიტველი ცენტრი **არვიდას საბონისი**. მასთან და როდმანთან ერთად დიდების დარბაზში შეიყვანენ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, „გოლდენ სტეიტისა" და „ინდიანას" ყოფილ მოთამაშეს **კრის მულინს**, NBA-ის ვარსკვლავებს **ერტის გილმორსა** და **ტომ სანდერსს**, „ჩიკაგოსა" და „ლეიკერსში" **ფილ ჯექსონის** ყოფილ ასისტენტს **ტექს უინტერს**, ცნობილი საკალათბურთო გუნდის „ჰარლემ გლობტროტერსის" წევრ **რიზ ტატუმს**, მწვრთნელებს - **ჰერგი მაგისა** და **ტარა სანდერვირსა** და ქალებს შორის ოლიმპიურ ჩემპიონ **ტერეზა ედვარდსს**.

■ ■ ■

არვიდას საბონისმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში თამაშისას გაითქვა სახელი. მას 1981 წლის ოქტომბერში, 16 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი კაუნასის „ჟალგირისის" შემადგენლობაში, მომდევნო წელს კი უკვე სსრკ-ის ნაკრებში მიიწვიეს. საბასმა პირველად „ჟალგირისი" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1985 წელს გახადა და მომდევნო სეზონში გაიმეორა ეს წარმატება. იმავე 1986 წელს ის „პორტლენდმა" NBA-ის დრაფტში 24-ე ნომრად აირჩია. სხვათა შორის, წინა წელს „ატლანტამ" 77-ე ნომრად აიყვანა, მაგრამ იმ დრაფტის შედეგი გააუქმეს, რადგან მაშინდელი წესების თანახმად, ლიტველს თავისი ასაკის (20 წლის) გამო არ შეეძლო დრაფტზე გასვლა.

1987 წელს აქილევსის მყესის დაზიანების მიუხედავად, საბონისმა „ჟალგირისს" ზედიზედ მესამე ჩემპიონობა მოაგებინა. ამის შემდეგ ტრავმა გაიმიზეზა და ერთი წელი მკურნალობამ მოუნია. ამერიკელი ექიმების დახმარებით ის ფეხზე დადგა და სეულის ოლიმპიადაზე (1988) გაემგზავრა, სადაც სსრკ-ის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიგო.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1995 წელს მოხვდა მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალთან" ერთად კლუბებს შორის ევროპის ჩემპიონი გახდა. სექტემბერში „პორტლენდთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. 1997-98 წლების სეზონში მან NBA-ში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - ერთ მატჩში 33 ქულა ჩააგდო. მისთვის საუკეთესოდ 1998-99 წლების სეზონი მიიჩნევა, როცა „პორტლენდმა" NBA-ის ფინალში ითამაშა, 2000 წელს კი „ბლეიზერსს" დასავლეთის ფინალში გასვლაში დაეხმარა, სადაც „ლეიკერსთან" დამარცხდა. კარიერის ბოლო წლები საბონისმა „ჟალგირისში" გაატარა.

ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში ვეტერანმა ცენტრმა ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მიიღო, ასევე საპრიზო სამეულში შევიდა ბარსელონასა და ატლანტას ოლიმპიადებზე. 2001 წელს საბონისმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან უმაღლესი ჯილდო - ოლიმპიური ორდენი მიიღო.

# გასოლი წესრიგშია

მოახლოებული პლეი ოფის წინ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის დაკარგვას გადაურჩა ასოციაციის მოქმედი ჩემპიონი „ლოს ანჯელს ლეიკერსი". „დენვერთან" ბოლო ტურის მატჩში ესპანელი **პაუ გასოლი** ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში **ნენე ილარიოს** შეეჯახა, რის შემდეგაც მოედნის დატოვებამ მოუწია. გასოლმა მხოლოდ მეოთხე მეოთხედში შეძლო მოედანზე დაბრუნება.

გუშინ ესპანელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და „ლეიკერსის" ხელმძღვანელთა და გულშემატკივართა გასახარად, პაუს დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა. ასე რომ, გასოლი ჩემპიონს უახლოეს მატჩში დაეხმარება.

წელს ესპანელი ლეგიონერის საშუალო მონაგარი 18.9 ქულასა და 10.2 მოხსნას შეადგენს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



პაუ გასოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL

**რეინჯერსი-ბოსტონი 5:3**

**0:2, 2:1, 3:0**

**გოლები:** 0:1 პეი-5 (ბოიჩუკი-12, რაიდერი-22), 0:2 ჰორტონი-25 (კრეისი-49, ლუჩიჩი-31), 0:3 კელი-13 (ტ. კაბერლე-42, საიდენბერგი-24), 1:3 პროსპალი-7 (ვოლსკი-22, მ. სტაალი-22), 2:3 პროსპალი-8 (ვოლსკი-23, სტეპანი-23), 3:3 დუბინსკი-24 (კელეჰანი-25, ანისიმოვი-25), 4:3 ზაუერი-3 (გაბორიკი-25, ბ. ბოილი-14), 5:3 სტეპანი-21 (ფედოტენკო-14, ზაუერი-11).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 6:1**

**2:0, 4:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 პაველსკი-19 (ტ. მიტჩელი-11, უელვუდი-4), 2:0 ვლასიჩი-4 (უელვუდი-5, პაველსკი-46), 2:1 ჰანძუში-12 (მეტ გრინი-9, მარტინესი-11), 3:1 უელვუდი-5 (ვლასიჩი-14, დეჟარდენი-1), 4:1 დ. ბოილი-8 (ჯ. ტორნტონი-48, დ. მიურეი-11), 5:1 ჯ. ტორნტონი-20 (მარლო-33), 6:1 სეტოგუჩი-22 (მარლო-34, დ. ბოილი-41).

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ანაჰაიმ დაქსის" ფორვარდი **კორი პერი** დაასახელა. ეს ჰოკეისტი 8 ქულით (3+5) წინა შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ფორვარდი ლიგის ლიდერია გატანილი გოლების (47) რაოდენობით, მეორეა გამარჯვების გოლების (10) მიხედვით და მესამე ადგილზე იმყოფება ბომბარდირთა შორის (93 ქულა). პერის ანგარიშზე ამჟამად ცხრამატჩიანი სერიაა, რომლის დროსაც ის უქულოდ არ ტოვებს მოედანს. ამ მონაკვეთში კორის მონაგარი 18 ქულას (11+7) შეადგენს. ამ დღეებში პერი მარტისთვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

მეორე ვარსკვლავი გახდა „კალგარი ფლეიმზის" ფორვარდი **ჯერონ იგინლა**, რომელმაც სამ მატჩში 6 ქულა (3+3) დააგროვა. კანადელისთვის გასული კვირა იმით იყო ალსანიშნავი, რომ კარიერაში მე-1000 ქულა დააგროვა და NHL-ის ისტორიაში 77-ე მოთამაშე გახდა, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. იგინლა ამ სეზონის ბომბარდირებს შორის მეექვსე ადგილზეა 81 ქულით (39+42). ბოლო ათი სეზონია ის მინიმუმ 30 შაიბით ასრულებს რეგულარულ ჩემპიონატს.

მესამე ვარსკვლავი მეკარე გახლავთ - „ბაფალო სეიბრზის" კარის დარაჯი **იონას ენროტი**. ის გუნდში ტრავმირებულ **რაიან მილერს** ცვლის. ენროტი სამ მატჩში საშუალოდ 1.94 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.6 პროცენტს იგერიებდა. 22 წლის შვედმა განსაკუთრებით „რეინჯერსთან" მატჩში გამოიჩინა თავი, როცა კარიერაში პირველი შათაუტი შეასრულა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-ფილადელფია* | 79 | 46 | 22 | 11 | 103 |
| 2. x-ვაშინგტონი* | 79 | 46 | 22 | 11 | 103 |
| 3. y-ბოსტონი* | 79 | 44 | 24 | 11 | 99 |
| 4. x-პიტსბურგი | 79 | 46 | 25 | 8 | 100 |
| 5. x-ტამპა ბეი | 79 | 44 | 24 | 11 | 99 |
| 6. მონრეალი | 79 | 42 | 30 | 7 | 91 |
| 7. რეინჯერსი | 80 | 43 | 32 | 5 | 91 |
| 8. ბაფალო | 79 | 40 | 29 | 10 | 90 |
| 9. კაროლინა | 79 | 38 | 30 | 11 | 87 |
| 10. ტორონტო | 79 | 37 | 32 | 10 | 84 |
| 11. ატლანტა | 78 | 33 | 33 | 12 | 78 |
| 12. ნიუ ჯერსი | 78 | 36 | 37 | 5 | 77 |
| 13. აილენდერსი | 79 | 30 | 37 | 12 | 72 |
| 14. ოტავა | 79 | 30 | 39 | 10 | 70 |
| 15. ფლორიდა | 79 | 29 | 38 | 12 | 70 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ვანკუვერი* | 79 | 52 | 18 | 9 | 113 |
| 2. y-სან ხოსე* | 79 | 47 | 23 | 9 | 103 |
| 3. y-დეტროიტი* | 79 | 46 | 23 | 10 | 102 |
| 4. ფინიქსი | 79 | 42 | 25 | 12 | 96 |
| 5. ლოს ანჯელესი | 79 | 45 | 28 | 6 | 96 |
| 6. ნეშვილი | 79 | 42 | 26 | 11 | 95 |
| 7. ანაჰაიმი | 79 | 44 | 30 | 5 | 93 |
| 8. ჩიკაგო | 78 | 42 | 28 | 8 | 92 |
| 9. კალგარი | 80 | 40 | 29 | 11 | 91 |
| 10. დალასი | 78 | 39 | 28 | 11 | 89 |
| 11. მინესოტა | 79 | 37 | 34 | 8 | 82 |
| 12. სტ. ლუისი | 79 | 36 | 33 | 10 | 82 |
| 13. კოლამბუსი | 79 | 34 | 32 | 13 | 81 |
| 14. კოლორადო | 78 | 29 | 41 | 8 | 66 |
| 15. ედმონტონი | 78 | 24 | 43 | 11 | 59 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 100 (41+59) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 94 (30+64) |
| კორი პერი (ანა) | 93 (47+46) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 92 (19+73) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 89 (44+45) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 81 (30+51) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 81 (39+42) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 80 (24+56) |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 76 (28+48) |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 75 (31+44) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| კორი პერი (ანა) | 47 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 44 |
| დანიელ სედინი (ვან) | 41 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 39 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 37 |
| რაიან კესლერი (ვან) | 37 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 36 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 34 |
| ბობ რაიანი (ანა) | 34 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 33 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 73 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 64 |
| დანიელ სედინი (ვან) | 59 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 56 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 52 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 51 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 50 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 49 |
| დავიდ კრეისი (ბოს) | 49 |

## ჩოგბურთი

# კიმი ერთი თვე დაისვენებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** დახლოებით ერთი თვე დაისვენებს აქტიური ჩოგბურთისგან - მან ინდიან უელსისა და მაიამის სუპერტურნირების დროს მიღებული მხარისა და მაჯის ტრავმას უნდა უმკურნალოს. ასე რომ, ბელგიელი გამოტოვებს ფედერაციის თასის ნახევარფინალს ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ (16-17 აპრილი), აგრეთვე ვერ ვიხილავთ მას მადრიდის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე, რომელიც 30 აპრილს დაიწყება ესპანეთის დედაქალაქში.


კიმ კლაისტერსი

სავარაუდოდ, კლაისტერსი პროფესიულ ტურს 9 მაისს დაუბრუნდება, როცა რომში სტარტს აიღებს უმაღლესი კატეგორიის კიდევ ერთი ტურნირი, რომელიც წინ უძღვის როლან გაროსს.

*„ძალიან ვწუხვარ, რადგან ფედერაციის თასის ნახევარფინალს მოუთმენლად ველოდი. ვგრძნობდი, რომ ყველაფერი წესრიგში არ მქონდა. ამ ბოლო დროს ტრავმებმა ძალიან შემაწუხეს და მინდა დროულად ვიმკურნალო, რათა ეს ყველაფერი ქრონიკულ დაზიანებებში არ გადაიზარდოს"*, - ამბობს კლაისტერსი.

# ცონგაც მწვრთნელს იცვლის


ჟო-ვილფრიდ ცონგა

მამაკაცთა პროფესიული ტურის კიდევ ერთმა წამყვანმა მოთამაშემ გადაწყვიტა მწვრთნელის შეცვლა. ეს ჩოგბურთელი გახლავთ ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელმაც შეწყვიტა თანამშრომლობა თავის პირად მწვრთნელთან **ერიკ ვინოგრადსკისთან**. ამის შესახებ ინფორმაცია საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა.

*„ჟო-ვილფრიდ ცონგამ და ერიკ ვინოგრადსკიმ შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც შეწყდა მათი მრავალწლიანი თანამშრომლობა"*, - ვკითხულობთ ვებგვერდზე.

ფედერაციის წარმომადგენლებმა ისიც დაამატეს, რომ ცონგა მომავალში ახალ მწვრთნელთან დაიწყებს მუშაობას, თუმცა მანამდე ინდივიდუალური პროგრამით იმუშავებს.

ცონგასა და ვინოგრადსკის თანამშრომლობა 2004 წელს დაიწყო. ამ დროის განმავლობაში ფრანგმა მოასწრო 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლა, აგრეთვე იმავე სეზონში პარიზის „მასტერსზე" გაიმარჯვა. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში ცონგას უმაღლესი მიღწევა მეექვსე ადგილია - ეს 2008 წლის 17 ნოემბერს მოხდა.

ეს სეზონი ფრანგისთვის წარუმატებლად მიმდინარეობს - ამ მომენტისთვის მას 11 მოგება და 6 წაგება აქვს.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მწვრთნელი შეიცვალა ბრიტანელმა **ენდი მიურეიმაც**. ამჟამად შოტლანდელი ჩოგბურთელი გრუნტის სეზონისთვის ემზადება და უახლოესი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს - მონაკოს მასტერსი (10-17 აპრილი) იქნება. გუშინ ტურნირის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ უაილდ-ქარდი მიანიჭეს მიურეისა და რეიტინგის ათეულის კიდევ ერთ წევრს - ჩეხ **ტომაშ ბერდიხს**. ეს იმიტომ გახდა საჭირო, რომ ენდი და ტომაში არ აპირებდნენ ამ მასტერსზე გამოსვლას და განაცხადი არ ჰქონდათ შეტანილი.

ასე რომ, მონაკოს მასტერსის შემადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდა: მიურეი და ბერდიხი დაემატნენ ესპანელ **რაფაელ ნადალს**, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**.

23 წლის ბრიტანელისთვის მონაკოში საუკეთესო შედეგი ნახევარფინალში გასვლაა (2009), იგივეს მიაღწია ბერდიხმა, ოღონდ 2007 წელს.

# რუსეთს ვერა დაუბრუნდა


ვერა ზვონარევა

მორიგი გუნდი, რომელმაც ფედერაციის თასის ნახევარფინალისთვის შემადგენლობა დაასახელა - რუსეთის ნაკრებია. ქალთა არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის კაპიტანმა გუშინ დაასახელა იმ ჩოგბურთელების ვინაობა, რომლებიც 16-17 აპრილს მოსკოვში დაუპირისპირდებიან მოქმედ ჩემპიონ იტალიას. რუსების შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ვერა ზვონარევა, სვეტლანა კუზნეცოვა, ანასტასია პავლიუჩენკოვა** და **ეკატერინა მაკაროვა**.

მსოფლიოს მესამე ჩოგანს ზვონარევას 2008 წლის შემდეგ არ უთამაშია ნაკრებში, როცა რუსებმა ბოლოჯერ მოიპოვეს ფედერაციის თასი. კუზნეცოვა WTA-ის რეიტინგის მე-14 ნომერია, პავლიუჩენკოვა - 21-ე, ხოლო მაკაროვა - 39-ე.

წინა წრეში რუსეთის ნაკრებმა საფრანგეთი გამოთიშა ბრძოლას. მაშინ ამ გუნდის ღირსებას იცავდნენ კუზნეცოვა, პავლიუჩენკოვა და **მარია შარაპოვა**.

იტალია ფედერაციის თასის რეიტინგის პირველ საფეხურზე იმყოფება. მეოთხედფინალში ამ გუნდმა **ფრანჩესკა სკიავონეს, ფლავია პენეტას, სარა ერანისა** და **რობერტა ვინჩის** დახმარებით ავსტრალიის ნაკრები დაამარცხა. თუმცა უკვე ცნობილია, რომ რუსების წინააღმდეგ ნახევარფინალში არ ითამაშებს როლან გაროსის ჩემპიონი სკიავონე.

ფედერაციის თასის მეორე ნახევარფინალში ბელგია და ჩეხეთი შეხვდებიან ერთმანეთს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ჩემპიონშიფი**

| | |
|---|---|
| რედინგი-პრესტონი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-ბორნმუთი | 1:0 |
| დაგენჰემი-პიტერბრო | 0:2 |
| ლეიტონი-პლიმუტი | 2:0 |
| ნოტსი-როჩდეილი | 1:2 |
| უენსლი-ტრანმერი | 4:0 |
| საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-საუთენდი | 3:1 |
| ბარტონი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| ჰერეფორდი-უიკომბი | 0:0 |
| მაკლსფილდი-ბრედფორდი | 0:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰისტონი-რაშდენი | 0:2 |
| ლუტონი-კეტერინგი | 2:2 |
| მენსფილდი-საუთპორტი | 2:2 |
| ნიუპორტი-დარლინგტონი | 2:1 |
| იორკი-ქროული | 1:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| კროტონე-ასკოლი | 1:0 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-კობლენცი | 2:2 |
| ბაიერნი A-რეგენსბურგი | 0:2 |
| ბურგჰაუზენი-ბაბელსბერგი | 1:2 |
| ზაარბრიუკენი-აალენი | 3:2 |
| შტუტგარტი A-ვეენი | 3:3 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-რეინჯერსი | 0:2 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მორტონი-სტირლინგი | 2:0 |
| კოუდენბითი-როსი | 2:1 |
| პარტიკი-ფალკირკი | გადაიდო |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფორფარი-ეირი | 3:2 |
| ბრეჩინი-ეირდრი | 1:2 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კლაიდი-მონროუზი | 1:1 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-მორავცე | 3:0 |
| სლოვანი-ტრნავა | 2:2 |

**ხორვატიის თასი**

| | |
|---|---|
| სიბალია-ვარტექსი | 1:0 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ნაფტა-რუდარი | 1:2 |
| მარიბორი-პრიმორიე | 2:0 |
| გორიცა-ტრიგლავი | 1:0 |
| ოლიმპია-დომჟალე | 0:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ვიქტორია-სპორტული | 1:1 |
| გლორია-უნივერსიტატეა (კლ) | 2:4 |
| სტიაუა-უნირეა | 5:0 |

**ბულგარეთის თასი**

| | |
|---|---|
| ცსკა-ჩერნო მორე | 2:0 |

**ბალტიის ლიგა**

| | |
|---|---|
| სკონტო-ეკრანასი | 1:1 |
| შიაულიაი-ლევადია | 0:0 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| სეპაჰანი-ალ გარაფა | 2:0 |
| ალ ჰილალი-ალ ჯაზირა | 3:1 |
| ალ სადი-ალ ნასრი | 1:0 |
| ბუნიოდკორი-პერსპოლისი | 0:0 |
| ალ ვეჰდა-ალ იტიჰადი | 0:3 |
| ჯეჯუ-გამბა | 2:1 |
| ტიანიინი-მელბურნი | 1:1 |
| არემა-შანდონგი | 1:1 |
| სერეზო-ჩეონბუკი | 1:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| გოტინგენი-გოსენი | 78:51 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 2:5 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-დიუსელდორფი | 5:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-ფრედრიკშავნი | 3:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სპარტა-სტავანგერი | 3:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-ლუკო | 7:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-კლოტენი | 1:0 (ო) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფერიესტადი-შელეფტეო | 5:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. კასაბლანკა**

| | |
|---|---|
| სტარაჩე-**ბრანდსი** | 7:5, 6:2 |
| დევილდერი-**ბერერი** | 3:6, 3:6 |
| ბენეტო-**ვოლანდრი** | 5:7, 3:6 |
| **კავჩიჩი**-ელ ამრანი | 3:4 უარი |
| მაშადო-**რამირეს იდალგო** | 5:7, 1:6 |
| **ჟილი**-ბოლელი | 6:3, 6:1 |
| **გრანოლერსი**-**ფონინი** | 2:6, 6:4, 3:6 |
| **კუზნეცოვი**-გუტიერესი | 6:1, 7:6 |

**ATP. ჰიუსტონი**

| | |
|---|---|
| **დევარმანი**-კენდრიკი | 6:2, 6:1 |
| **კუნიცინი**-ზვერევი | 7:6, 6:2 |
| სმიშეკი-**სვიტინგი** | 2:6, 2:6 |
| **გაბაშვილი**-კაპდევილე | 6:4, 7:6 |
| ბეკერი-**კარლოვიჩი** | 6:7, 4:6 |
| სკუგორი-**ნიშიკორი** | 3:6, 2:6 |

**WTA. ჩარლსტონი**

| | |
|---|---|
| **ლისიცკი**-ვორაკოვა | 3:6, 6:4, 6:2 |
| **ბ. ზახვალოვა**-ხლავაჩკოვა | 6:2, 2:6, 7:6 |
| ჰემპტონი-**გალოვიტცი** | 6:7, 5:7 |
| **დოკიჩი**-**ტატიშვილი** | 5:7, 6:2, 4:6 |
| **კირილენკო**-ლეპჩენკო | 6:4, 6:0 |
| ოუდინი-**პაშეკი** | 1:6, 5:7 |
| **ჰანტუხოვა**-კუდრიავცევა | 6:1, 7:6 |
| **შუაი ჟენგი**-მეირი | 6:2, 6:1 |
| გორჯესი-ბირნეროვა | 1:6, 7:5, 2 |
| კლეიბანოვა-**მაკჰეილი** | 1:6, 0:6 |
| **სხეპერსი**-კრეიბასი | 6:3, 6:2 |
| **პენგი**-მორიტა | 6:2, 6:1 |

**WTA. მარბელია**

| | |
|---|---|
| **ბარიოსი**-ფლიპკენსი | 6:3, 7:5 |
| **პირონკოვა**-ტორო ფლორი | 6:2, 6:2 |
| ნიკულესკუ-**არუაბარენა** | 5:7, 4:6 |
| **კაბესა**-რეზაი | 6:3, 6:0 |
| **ბეგუ**-ბრიანტი | 6:4, 6:1 |
| რუსი-**საფინა** | 6:3, 2:6, 4:6 |
| **დომინგეს ლინო**-კერბერი | 6:4, 3:6, 6:3 |
| **შავაი**-ლარსონი | 6:1, 6:1 |

## TV პროგრამა

**6 აპრილი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხიხონი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ჩელსი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია.
20:55 ჟურნალი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
21:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-უდინეზე.
00:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე - პსვ.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.
13:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-კევინ ანდერსონი.
15:40 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. პერპინიანი-ტულუზა.
17:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბიარიცი.
19:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
19:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.
21:00 კონტაქტური კარატე. საქართველოს ჩემპიონატი.
21:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
23:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
00:25 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
00:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.

**I არხი**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-შახტარი (LIVE).

**რუსთავი 2**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

22:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-შახტარი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

04:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სანტოსი-კოლო კოლო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კასაბლანკა. მაროკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დენვერი (LIVE).

**SPORT+**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**EUROSPORT**

18:30 კერლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. დანია-ნორვეგია. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

19:30 ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ალ რაიიანი (კატარი)-ზობაჰანი (ირანი) (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი




# საჩუქარიც ამას ჰქვია!

უცნაური საჩუქარი მიიღო სეზონის დასრულების შემდეგ გერმანულმა კლუბმა, რომელსაც „ფრანქფურტელი ლომები" ჰქვია. შარშან ამ გუნდს ფინანსური პრობლემების გამო გერმანიის ჩემპიონატის დაბალ დივიზიონში დაქვეითებამ მოუწია, მაგრამ წლევანდელ სეზონში „ლომებმა" დამაჯერებლად დაიბრუნეს უმაღლეს დივიზიონში თამაშის უფლება. რა თქმა უნდა, მათი მიღწევა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ერთ-ერთმა ფრანქფურტულმა რადიოსადგურმა მოთამაშეებს შიშველი ქერათმიანი გოგონა აჩუქა.

სეზონის ბოლო მატჩის მოგების შემდეგ ჰოკეისტები საშხაპეში შევიდნენ და იქ 21 წლის ქერათმიანი ლამაზმანი **საბინა** დახვდათ, რა თქმა უნდა, სრულიად შიშველი. გოგონას სულაც არ მორიდებია 22 ჰოკეისტის წინაშე თავისი მომხიბვლელობის დემონსტრირება. იმის შესახებ არაფერია ცნობილი, რით დასრულდა საბინას ვიზიტი საშხაპეში, თუმცა სავარაუდოდ, უკმაყოფილო წესით არავინ დარჩებოდა.

აღსანიშნავია, რომ ჰოკეისტების წინაშე ტანსაცმლის გარეშე ვიზიტის უფლებისთვის კონკურსიც კი გაიმართა. საშხაპეში მოსახვედრად 18 გოგონა იბრძოდა და საბოლოოდ, საბინას გაუმართლა.

სავარაუდოდ, ასეთი საჩუქარი მორიგი გმირობებისკენ უბიძგებს „ფრანქფურტელ ლომებს" და იქნებ მათ გერმანიის ჩემპიონის ტიტულიც კი დაიბრუნონ, რომელიც ბოლოს 2004 წელს მოიპოვეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე"

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰაინეკენი
და შანსი გაემგზავროთ უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან - 16-მდე.




FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA TV-RADIO

ავტოსპორტი

# ტრაგედია ინტერლაგუშზე

ტრაგიკულად დასრულდა 29 წლის ბრაზილიელი პილოტისთვის - **გუსტავო სონდერმანისთვის** წინა სარბოლო უქმეები. გუსტავო ბრაზილიურ „ინტერლაგუშზე" სტოკკარის კლასის ჩემპიონატში Chevrolet Montana-ის თასის გათამაშებაზე გამოდიოდა. წვიმიან რბოლაში სონდერმანმა ბოლო მოსახვევში მანქანა ვერ დაიმორჩილა და მას მეორე პილოტი - **პედრო ბოზელი** დაეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ სონდერმანმა თავისა და სასუნთქი ორგანოების მძიმე დაზიანებები მიიღო და ექიმებმა პილოტის სიცოცხლე ვერ გადაარჩინეს.

სონდერმანის კარიერა ბევრისთვის ნაცნობი სცენარით მიმდინარეობდა - რეგიონულ დონეზე წარმატების მიღწევის შემდეგ ევროპაში გადაბარგდა, სადაც ორი წელი „ფორმულა-რენოს" სერიაში გამოდიოდა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. მისმა თანამემამულეებმა - **რუბენს ბარიკელომ, ბრუნო სენამ, ნელსინიო პიკემ** და **ლუჩანო ბურტიმ** თავიანთ მიკრობლოგებში გამოთქვეს მწუხარება ამ ტრაგედიის გამო.

ეს „ინტერლაგუშზე" სიკვდილის პირველი შემთხვევა არ არის. 2007 წელს კიდევ ერთი ბრაზილიელი პილოტი **რაფაელ სპერაფიკო** დაიღუპა რბოლის დროს ავარიის გამო. 26 წლის პილოტმა ვერ დაიმორჩილა მანქანა მეექვსე წრეზე, დამცავ კედელს დაეჯახა და ინერციით ტრასაზე დაბრუნდა, იქ კი მეორე პილოტის **რენატო რუსის** მანქანა დაეჯახა. სპერაფიკო თავის უმძიმესი ტრავმებით საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.



გუსტავო სონდერმანი

# ელექტრომობილებითაც ირბოლებენ

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან ტოდტმა** განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია მუშაობს ფორმულა 1-ის მსგავსი სერიის შექმნაზე, რომელშიც ელექტრონული ავტომობილები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ფედერაცია ამ პროექტს ევროპულ კომისიასთან ერთად ამზადებს.



*„ჩვენ გვსურს, რაც შეიძლება მალე დავიწყოთ ახალი კატეგორიის რბოლა ახალი „საწვავით". შესანიშნავი იქნება, თუ ის მთელ მსოფლიოში მოიპოვებს პოპულარობას. ავტოსპორტის სამყაროში დაინტერესებული არიან სანახაობრივი მხარის ამაღლებით, მწარმოებლებს კი სურთ დანერგონ და განავითარონ ახალი ტექნოლოგიები, რაც ნაკლებად აინტერესებთ სპორტულ გუნდებს, რადგან ტექნიკური სიახლე და კვლევა დამატებით თანხებს მოითხოვს და ყოველთვის მოაქვს შედეგების გაუმჯობესება"*, - განაცხადა ტოდტმა.

*„ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია - ევროპული საავტომობილო ინდუსტრიის გარდაქმნა. იმედია, ეს ჩემპიონატი აამაღლებს ელექტრომობილების პოპულარობას მომხმარებლებს შორის"*, - ამბობს ევროპული კომისიის შეფი წარმოების საკითხებში ანტონიო ტაიანი.

ამბები

## კუბიცას პირველი ნაბიჯი

თითქმის ორი თვე გავიდა იმ საშინელი ავარიის შემდეგ, რომლის დროსაც „ლოტუს-რენოს" პილოტმა **რობერტ კუბიცამ** მძიმე ტრავმები მიიღო და სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა. ახლა ავტომრბოლი სარეაბილიტაციო კურსს გადის, თუმცა ეს პროცესი თვეების მანძილზე გაიწელება.

ექიმებს ყველაზე მეტად მარჯვენა ხელის შენარჩუნება გაუჭირდათ, თუმცა ფეხიც ძალიან იყო დაზიანებული. კუბიცას მუხლი ისეთ მდგომარეობაში ჰქონდა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ერთხელაც არ დამდგარა ფეხზე. მხოლოდ ორი დღის წინ მისცეს ექიმებმა დამოუკიდებლად პირველი ნაბიჯის გადადგმის უფლება.

## მონტეძემოლო პოლიტიკაში მიდის

იტალიურ პრესაში ისევ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** პოლიტიკაში აპირებს წასვლას. ამასთან დაკავშირებით ბევრს ბჭობენ - შეელევა თუ არა ცნობილი ჩინოვნიკი „სკუდერიაში" თავის ამჟამინდელ პოსტს.

*„დღეს ახალი პოლიტიკოსები გვჭირდება, რომლებიც კი არ ჰგლეჯენ ქვეყანას, არამედ რაღაც ახალს მისცემენ მას. ერთი გუნდივით უნდა ვიმუშაოთ"*, - ამბობს დე მონტეძემოლო.

ქალაქ ვენეციის ყოფილმა მერმა **მასიმო კაჩარიმ** განაცხადა, რომ „ფერარის" პრეზიდენტმა უკვე მიიღო თავის მომავალთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, თუმცა თავდაპირველად „სკუდერიასთან" ურთიერთობაა გასარკვევი.

## ტორო როსოში კონფლიქტია

როგორც ფორმულა 1-ის მიმომხილველები წერენ, ავსტრალიის გრანპრის შემდეგ „ტორო როსოს" პილოტებს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გართულდა. საქმე ისაა, რომ შვეიცარიელი **სებასტიან ბუემი** თავის თანაგუნდელს, ესპანელ **ხაიმე ალგერსუარის** სახიფათო მანევრის განხორციელებაში ადანაშაულებს.

ფრაქფურტიდან მალაიზიაში 12-საათიანი გადაფრენის დროს პილოტები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ.

*„ჩვენ განვიხილეთ მისი შეცდომა მელბურნში. ამ ინციდენტთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გვაქვს. იმედია, ახლა ყველაფერს სწორად გააკეთებს და უფრო მეტი პატივისცემით მომეპყრობა. აღარ მინდა ამ თემაზე კომენტარის გაკეთება"*, - ამბობს ბუემი.

## კიმი ერთ ეტაპში 100 ათასს იხდის

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ფინელი **კიმი რაიკონენი** ოკეანის გაღმა ნასკარის სერიაში იწყებს გამოსვლას. ფრანგულმა პრესამ გაარკვია **კაილ ბუშის** გუნდთან კონტრაქტის ფინანსური დეტალები.

როგორც ირკვევა, ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი თითო რბოლაში მონაწილეობისთვის 100 ათას დოლარს გადაიხდის. ფინელი დაახლოებით ოთხ-ხუთ რბოლაში აპირებს მონაწილეობის მიღებას, ასე რომ, მაქსიმუმ ნახევარი მილიონის გაღება მოუწევს თავისი ახალი გატაცებისთვის.

სავარაუდოდ, ამ თანხას რაიკონენის სპონსორები გადაიხდიან. კაილ ბუშმა განაცხადა, რომ ფინელს სამი სპონსორი ჰყავს, თუმცა მათი სახელები არ დაუკონკრეტებია.